გიორგი ალხაზიშვილი

# იყო და... იყო

გიორგი აღნიაშვილი

# იყო და... იყო

(მოთხრობა, ზღაპრები, პიესა)

„ეროვნული მწერლობა“
თბილისი 2010

UDK (უაკ) 821.353.1-3
ა-949

რედაქტორი: გულო კობიაშვილი

დიზაინერი: ლექსო ოთარაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ვერიკო ზამთარაძე

ISBN 978-9941-0-2433-7

# დღე ყოველი... დებიუტი

— ირაკლი, იმ ემოციას, რასაც შენ სიტყვებით გადმოსცემ, მე სცენაზე ვერ გადავიტან, გესმის ჩემი?

— რას მთხოვ? მე ის დავწერე . . .

— ირაკლი, შენ პროფესიონალი მწერალი ხარ, აღიარებული ნოველისტი, მაშინ, როცა მე მხოლოდ — დამწყები რეჟისორი და ეს სპექტაკლი კი ჩემი სავიზიტო ბარათი. იცი, რა განსხვავებაა ლიტერატურულ ნაწარმოებს და სცენარს შორის? სცენარი ცხოვრებაა, ის რეალური განცდების აღქმის საშუალებას იძლევა, ხოლო ნოველა, რომანი, აბსტრაქტული ან უკეთ რომ ვთქვა... როგორ აგიხსნა? წარმოიდგინე მსახიობი და ნაწარმოების პერსონაჟი. წიგნის პერსონაჟი მითია, მწერლის შთაგონების, ფანტაზიის ნაყოფი. მისი პიროვნების მსაზღვრელი მხოლოდ მკითხველია და ეს უკანასკნელიც სხვადასხვაგვარად აღიქვამს შენი ნაწარმოების გმირს. მსახიობი კი სანთელია. ის სანთელია მლოცველის ხელში, ხატის წინ რომ დგას მუხლმოდრეკილი წმინდანებს სთხოვს წყალობას. იგი ბოლომდე იწვის და მაყურებლის სულში იღვენთება. თეატრში მაყურებელი სპექტაკლს კი არ უყურებს არამედ სარკეში იხედება, რათა საკუთარი თავი აღმოაჩინოს. თუ სარკე ირიბია, სილუეტს აღიქვამ მხოლოდ, თუ სანთელი ბჟუტავს, კოშმარულ აჩრდილთა გარემოცვაში ეხვევი. ეს დასია მუხლმოყრილი მლოცველი და თითოეული მათგანი — ანთებული კელაპტარი, მათი ტაძარი ეს თეატრია და წმინდა ხატი — მაყურებელი.

— ლაშა, იცი შენგან ბევრად უკეთესი მსახიობი გამოვიდოდა, ვიდრე რეჟისორი.

— არ ვიცი, მადლობა გითხრა თუ... ყოველ შემთხვევაში პიესა გავარჩიოთ ახლა, აქ.

— კი, ბატონო.

— ერთი წუთით, მე მინდა მსახიობებს შეხვდე, ესაუბრო, შენ დასმა უნდა მიგიღოს, ირაკლი.

— სიამოვნებით.

დარბაზში მსახიობები შემოვიდნენ.

— გაიცანით, ჩვენი მომავალი სპექტაკლის სცენარის ავ-

ტორი და ჯერ არშემდგარი დრამატურგი ბატონი ირაკლი ვეზირიშვილი.

–სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ბატონო ირაკლი, მე ინგა მქვია.

–მე ნატო, ან ნატალი.

–მე ლალი.

ლაშა – ირაკლი, ეს სამეული ითამაშებს მთავარ როლებს ჩემს სპექტაკლში.

ირაკლი – ...და რომელი თქვენგანი იქნება „ლაურა"? ან „ელენი", ან თუნდაც „ნატალი"?

ლაშა – მოვლენებს ნუ გაუსწრებთ, ბატონო დრამატურგო, ჯერ თქვენი პიესა განვიხილოთ. თანახმა ბრძანდებით?

ირაკლი – დმერთო, რა ძნელია მსახიობებთან ურთიერთობა. გისმენ ლაშა.

ლაშა – დავიწყოთ. პიესის სახელწოდებაა „მეძავი"...

ნატა – მშვენიერია...

ირაკლი – ნატა, მოკეტე!

ნატა – ბოდიში, ლაშა.

ლაშა – მოქმედება ვითარდება ძველ თბილისში.

„ჭაბუკი – ლაურა, მოდი ჩემთან, ჩემო სიცოცხლე.

ლაურა – რა გინდა?

ჭაბუკი – რომ გითხრა ანეგდოტებს მოგიყვები-მეთქი, დამიჯერებ?

ლაურა – აუუ, შენს ხასიათზე არა ვარ, რაა.

ჭაბუკი – გოგო, შენ ხომ  არ უბერავ?

ლაურა – დამანებე თავი, რა�ა.

ჭაბუკი ძალადობს.

ჭაბუკი – კაროჩე, აი შენ ოცი ლარი და ამ საღამოს გამობანილი დამხვდი."

ნატო – ირაკლი, ეს ძალიან პრიმიტიული სცენაა.

ირაკლი – შენ ასე გგონია?

ნატო – ხო, რაღაც უხამსი... ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნია.

ინგა –შეიძლება ჩემი მოსაზრებაც გამოვთქვა?

ირაკლი – ბრძანე!

ინგა – პიესაში წერია, რომ ლაურას ფული დის სწავლის ქირის გადასახდელად ჭირდება. ხომ არ აჯობებდა ლაურას ორგიაში მიეღო მონაწილეობა? ვთქვათ, ფულიან ხალხთან, ასაკოვან მამაკაცებთან, ისინი ბლომად აჩუქებდნენ ლაურას.

ირაკლი – ინგუშ, გატყობ, გარკვეული გამოცდილება გაქვს ამ საქმეში. ვცდები?

ინგა – მე მხოლოდ ჩემი ვარაუდი გამოვთქვი.

ლაშა – ირაკლი, შენი ვერსია!

„1 სტუმარი – ბატონებო, მე მინდა ამ სასმისით მსოფლიოს უძველესი პროფესიის წარმომადგენელთა სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. ლაურა, შენ გაგიმარჯოს, მსოფლიო ცივილიზაცია ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული ვალშია თქვენ კოლეგებთან დამოკიდებულებაში. იმედი მაქვს, რომ თქვენს ხელოვნებას ჩვენზე, სამივე მამაკაცზე გამოსცდი. გაგვახსენე, ლაურა, ერთ დროს რისთვის დავდიოდით ქალებში...

მე-2 სტუმარი – შენი არ ვიცი და მე რისთვის დავდიოდი და დავდივარ კარგად ვიცი.

მე-3 სტუმარი – ლაურა, ჩვენ ვლში არ დაგრჩებით.

მე-2 სტუმარი – გთხოვ „ტანეც ჟივატა” შეგვისრულე...

პირველი სტუმარი – ო-ო-ო... არც ერთი თმა სხეულზე, მომაჯადოებელი ხარ, ლაურა.

მე-3 სტუმარი – შენ თვითონ აირჩიე, ვინ იქნება ჩვენს შორის პირველი.

ლაურა – შენ გირჩევ, ჩემო კარგო, შენ იცი ჩემი ფასი.“

ლალი – თითქოს ვარგა, მაგრამ...

ლაშა – რა მაგრამ?

ლალი – ამას სცენაზე ვერ გადაიტან.

ირაკლი – „სალომეს ცეკვა”, ეს მგონი დასაწყისია.

ინგა – „ბიწიერება სულთა და ხორცთა”.

ირაკლი – სალომეს ცეკვით ვიწყებთ.

ლაშა – კარგი გამოვა, მაგრამ, ნატო, გაქაჩავ?
ნატო – მგონი კი.
ლაშა – ემოცია? ემოციურ დატვირთვას გაუძლებ?
ნატო – ასი პროცენტით.
ლალი – მერე რა ხდება პიესაში?

„თმაგაწეწილი, პირსახოცს შეხიზნული, შიშველი, გულადმა ეგდო საწოლზე ლაურა. მაგიდაზე მდგარი შანდლიდან თითქმის ჩაღვენთილი სანთელი ძლივსღა ანათებდა ჩაბნელებულ ოთახს. იატაკზე ფულის კუპიურები ეყარა. ლაურა მძიმედ წამოდგა, თმები უკან გადაიყარა.
ლაურა – პირუტყვები, ფულის ტომარა ნეხვები.
ლაურა ტიროდა.
ფულს კრეფდა იატაკიდან მეძავი.
ლაურა – შენ მაინც ივარგე, ჩემო დაიკო, ჩემო გოგონა, იქნებ შენ მაინც... მე ხომ ბოზი ვარ და მე ვყვირი, მე ვტირი, მეც ხომ ქალი ვარ...
იგი ხარხარებდა.
დაღლილი ლაურა სახლში შევიდა. ფულით სავსე ხელჩანთა მაგიდაზე დაახეთქა და დას დაუძახა.
ლაურა – ქეთი, ქეთევან...
ქეთი ოთახში შემოვიდა.
ქეთი – სად ხარ ამდენ ხანს? მოვკვდი ნერვიულობით.
ლაურა – სამსახურში ბევრი საქმე მქონდა, ეს ჩვენი მენეჯერი ნამდვილი პირუტყვია, ხო, მართლა, პატარა ფული გაიჭრა...
ლაურამ ფული მაგიდაზე დაყარა.
ქეთი – აუ, რამდენია? რა კარგია!
ლაურა – ხო, კარგია, ჩემო გოგო, ჯერ შენი სწავლის ქირას გადავიხდით და მერე ავოე და... აბა მომიყევი, რა ხდება შენს ინსტიტუტში საინტერესო.
ქეთი – ისეთი არაფერი, გენეტიკა დავიწყეთ.
ლაურა – აბა, შენ იცი... “

ლალი – ბატონო ირაკლი, რატომ მაინცდამაინც „გენეტიკა”?

ირაკლი – ამ კითხვზე პასუხი არ მაქვს.

ლაშა – ლალი, გთხოვ, აღარ გაგვაწყვეტინო, შევთანხმდით?

ლალი – ბოდიში.

„ლაურა – ყავა გვაქვს?

ქეთი – ახლავე მოგიტანთ.

ლაურა – აი, ეს ფული ხვალ ბუღალტერიაში შეიტანე, ქეთი, გთხოვ, არ შემარცხვინო, ამ ფულს მე დიდი შრომის შედეგად ვშოულობ. მშობლების ხსოვნა არ შებღალო, გაიგე?

ქეთი – ლაურა, გეფიცები, მე კარგი ექიმი ვიქნები...

ლაურა – ალბათ, კარდეოლოგი, არა?

ქეთი – ალა, ნევლოპატოლოგი მინდა ვიკო.

ლაურა – ენას ლატომ მიჩქლითავთ, ექიმო?

ქეთი – იმიტომ ლომმმ. . .

ლაურა – ესე იგი, აბი გლუკოზა თუ ბროწეულის ოყნები.

ქეთი – ოლივე.

ლაურა – კაგი.

ქეთი – მიყვარხარ, ლაურა,შენ ხომ დედა შემიცვალე.

ლაურა – ყავა აგიდუღდათ, ექიმო.

ქეთი – ვაააიიი.

ქეთი სამზარეულოში გაიქცა.

ნაღვლიანი თვალები გააყოლა დას ლაურამ. ფულის თვლას შეუდგა მარტო დარჩენილი.

ლაურა – ბლომად ამიღია „პრემია".

შემდეგ საკუთარ კალთას დახედა, ნაზად მოეფერა საკუთარ სხეულს.

ლაურა – ჩემო მშვენიერო „მენეჯერო", ცააცა, ცააცა.

ოთახში ქეთი შემოვიდა.

ქეთი – ლაურა, ყავა მოგართვი.

ლაურა – მომართვი, თორემ, მეც მნახე, რა.

ქეთი – დიახაც, გნახე.

ლაურა – ხო, კარგი, გმადლობთ.

ქეთი – ლაურა, სამეცადინო მაქვს და დაგტოვებ, რააა.

ლაურა – აბა ჰე.

ლაურამ ხელი დაუქნია ოთახისკენ მიმავალ დაიკოს და ტელევიზორის პულტი აიღო. ლაურა მარტო დარჩა.

ლაურა – ეს ოხერი მაინც ჩავრთო.

ტელევიზიით საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა მიმდინარეობდა.

ლაურა (თავისთვის) – ჩემი კლიენტების მთელი კოლექცია საღამოს ეთერში. თქვენი ძალად პატიოსანი დედა ვატირე. კაცუნები.

ლაურამ მწარედ ჩაიცინა.

ლაურა – ახლა კი შხაპი მივიღოთ და დავასვენოთ „სტანოკი".

ოთახში ქეთი შემოვიდა.

ქეთი – ლაურა, შეიძლება ერთი შეკითხვა დაგისვა?

ლაურა – რასაკვირველია.

ქეთი – ვინმე გყვარებია?

ლაურა – მე ეხლაც მიყვარს.

ქეთი – ვიინ?

ლაურა – ვინ და შენ.

ქეთი – კარგი რა�ა, ხომ შეიძლება ერთხელ მაინც დამელაპარაკო სერიოზულად!?

ლაურა – გისმენთ, დაიკო.

ქეთი – იცი, დღეს ერთმა ბიჭმა სიყვარული ამიხსნა და...

ლაურა – კაია, რას ერჩი.

ქეთი – ნუთუ შენი დის ბედი არ გაღელვებს?

ლაურა – მაღელვებს, მაგრამ ის ბავშვიც შემომენერვიულა.

ქეთი – ის? და რატომ?

ლაურა – იმიტომ რომ, სიყვარული ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადი.

ქეთი – გოგო, შენ შეიშალე?

ლაურა – ქეთი, თავი დამანებე, რა. ხვალ იმდენი საქმე მაქვს, რომ... მოკლედ, დავისვენო მინდა.

ქეთი – „ბუენოს ნოჩეს".

ლაურა – თუ და ხარ, ნუ მეჯღანები. მოკლედ მითხარი ვინაა და რას წარმოადგენს „ის".

ქეთი – იცი, შესანიშნავი ოჯახია, მამა ბიზნესმენია. დედა კი – პედაგოგი.

ლაურა – გოგო, თვითონ ის შენი „რომეო” რას წარმოადგენს?

ქეთი – ჩვენი კურსელია.

ლაურა – შენსავით პირველკურსელი, ხომ?

ქეთი – ხო.

ლაურა – თანაც შენსავით თვრამეტი წლის?

ქეთი – დიახ.

ლაურა – მერე, ძალიან უყვარხარ?

ქეთი – იცი რაა...

ლაურა – ვიცი! მამაკაცის გონება...

ქეთი – ...კუჭზე გადის.

ლაურა – არა, ჩემო გოგო, ეგ მერიდიანი კუჭზე დაბლაა. ჭკვიანი ქალი მამაკაცს მართავს, უტვინოს კი მარიონეტის ბედი ენატრება.

ქეთი – ამით რისი თქმა გსურს?

ლაურა – მამაკაცი, პირველ რიგში სუსტია. სუსტია იმით, რომ მისი იმიჯი შუშასავითაა. ის მყიფეა. თუ შენ შესძელი და ეს საოცარი მინა ხელთ იპყრე, მამაკაცი შენია.

ქეთი – და მე ეს მინა უნდა დავამსხვრიო?

ლაურა – არა, შენ მამაკაცი უნდა შეცვალო. მას სურს, რომ იყოს „იმედი”, სურს, რომ მბრძანებლობდეს, მას უყვარს დიდება. ქვეცნობიერად ეშინია გახდეს მხოლოდ „ფორმა”, მას უნდა იყოს „შინაარსი”.

ქეთი – რისი „შინაარსი”, ლაურა?

ლაურა – შენი, ქალის ცხოვრების „შინაარსი”.

ქეთი – მე რა უნდა ვქნა?

ლაურა – ეს „შინაარსი” შენ უნდა იყო, და თუ არ ხარ, უნდა გახდე.

ქეთი – როგორ?

ლაურა – აჩვენე, რომ მასზე ხარ დამოკიდებული და არ გინდა შეიმჩნიო, უგულებელყავი, როგორც კაცი და აღიარე, როგორც პიროვნება, უგულებელყავი, როგორც მბრძანებელი და აღიარე, როგორც რაინდი...

ქეთი – და თუ არ მიიღო შეთავაზება?

ლაურა – მოძალადეა?
ქეთი – ...ვთქვათ.
ლაურა – შეურაცხყავი მისი ღირსება.
ქეთი- ვისთან?
ლაურა – ყველაზე აუღიარებელთან.
ქეთი – და ეს რას მომცემს?
ლაურა – მამრთა რკენას.
ქეთი – ...და?
ლაურა – იკაიფე.
ქეთი – ამით რას მოვიგებ?
ლაურა – ჩამოიშორებ.
ქეთი – თუ გაგულისდა?
ლაურა – მაშინ მე მითხარი.
ქეთი (გაბრაზებით) – ...ლაურა, იცი რაა?
ლაურა – ქეთი, დაღლილი ვარ და მეძინება, შემეშვი რაა".

ლაშა – ირაკლი, მე მგონი, ჩვენ ზღვარზე ვართ. თქვენ რას იტყვით, გოგოებო?
ნატო – მე მგონი, ლაურა ბოღმას ანთხევს.
ინგა – მე მგონი, ლაურას მოსაზრება არარეალურია.
ლაშა – შენ რას იტყვი, ირაკლი?
ირაკლი – ამ დიალოგთან დაკავშირებით ერთ „მამაშას" ვესაუბრე და...
ლაშა – თქვენ მსოფლმხედველობას იფართოებთ, მოწყალეო ბატონო?
ირაკლი – გეთანხმები, ქალის გონება დიდი ლაბირინთია და გზის გაკვლევაც მხოლოდ ქალს შეუძლია.
ლალი – ...და ამ ლაბირინთში გზის გასაკვლევად ამ ხერხს მიმართეთ?
ირაკლი – ლალი, ის ქალი ადამიანური ვოილერის მეპატრონეა.
ლაშა – ალბათ, ეს სცენა დასახვეწია. ირაკლი ჩავუღრმავდეთ ამ თემას და ამაში გოგოები დაგვეხმარებიან. ასე რომ, ვეძებ მოხალისეს.
ნატო – მე ვიქნები ეს კამიკაძე.

ლაშა – ირაკლი, თანახმა ხარ?

ირაკლი – „ვაფშე ტო და”.

ნატო – ირაკლი, მიბოძეთ თქვენი ხელი, რათა მას შევავედრო ჩემი ქალური უსუსურობის დაცვა მარადის.

ლაშა – ახლა გიჭირდეს, ბატონო მწერალო.

ირაკლი – ვაიმე!

ირაკლი და ნატო ქუჩაში გამოვიდნენ. წყნარი და თბილი საღამო იდგა.

ირაკლი – ნატო, ნება მიბოძეთ  სადმე დაგპატიჟოთ, თუნდაც ფინჯან ყავაზე.

ნატო – იცით, სახლამდე თუ მიმაცილებთ, მადლობელი დაგრჩებით.

ირაკლი – კეთილი.

ნატო – შეიძლება „შენობით” რომ მოგმართოთ?

ირაკლი – რა თქმა უნდა, თქვენ ხომ ჩემს მუზად უნდა იქცეთ.

ნატო – მუზის რა მოგახსენოთ და დაღლად ნამდვილად.

ირაკლი – რატომ?

ნატო – მე ვარკეთილში ვცხოვრობ.

ირაკლი – „ნეტარების შორი გზა”, სჯობს ტაქსი ავიყვანოთ.

ნატო – არა, ცოტა ფეხით გავისეირნოთ, პირველად მაქვს პატივი მწერალს ვესაუბრებოდე და თანაც მსურს, რომ თქვენს საზოგადოებაში შემნიშნონ.

ირაკლი – მაშინ გავუდგეთ გზას.

ნატო – ირაკლი, გთხოვ, ნურც ზედმეტ სითამამეში ჩამომართმევ და ნურც კადნიერებას დამწამებ, სათხოვარი მაქვს შენთან.

ირაკლი – ბრძანე.

ნატო – შენს „მამაშასთან” წამიყვანე.

ირაკლი – რااა?

ნატო – ხო, ალბათ მე ვიქნები „ლაურა”.

ირაკლი – დედას გაფიცებ, პრაქტიკის გავლა ხომ არ გინდა?

ნატო – არა, „კვალიფიკაციის” ამადლება მსურს მარტო.

ირაკლი – კეთილი, წავიდეთ.

ტაქსმა ვერის აღმართი აათავა და კოხტა კერძო სახლის წინ გაჩერდა.

ირაკლი – აი, აქ არის მისი რეზიდენცია.

ნატო – თამამად, ბატონი ირაკლი, თქვენ ხომ მისი მუდმივი სტუმარი ბრძანდებით.

ირაკლი – ღმერთო, გადავირევი...

ნატო – ...და მე სულაც არ მრცხვენია.

კარი სანდომიანმა ქალბატონმა გააღო.

ირაკლი – ელენ, შეიძლება გესტუმროთ?

ელენი – მობრძანდი, ირაკლი, გთხოვთ ქალბატონო...

ნატო – ...ნატო.

ელენი – მობრძანდით, ნატო, გთხოვთ.

ირაკლი – ელენ, ელოდები ვინმეს?

ელენი – არავის.

საკმაოდ მოხდენილად გამოიყურებოდა სასტუმრო ოთახი, სრული ინტიმის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენდა ოთახის ავეჯი და განათება.

ელენი – რით შემიძლია გემსახუროთ?

ნატო – ელენ, შეიძლება „შენობით" მოგმართოთ?

ელენი – რასაკვირველია.

ნატო – ირაკლის პიესაში, ალბათ, ერთ-ერთ მთავარ როლზე დამამტკიცებენ...

ელენი – ალბათ, „ლაურას" განასახიერებთ, არა?

ნატო – დიახ.

ელენი – გაგიჭირდება „ლაურას" სახის შექმნა, „ლაურას" ვერ ითამაშებ, „ლაურათი" უნდა იცხოვრო.

ნატო – რა გაქვთ მხედველობაში?

ელენი – „ლაურა" ყველა ქალის ოცნებაა...

ნატო – თქვენ მიგაჩნიათ, რომ ყველა ქალში „ცხოვრობს" მეძავი?

ელენი – ხო, ჩემო გოგო, მისი მეტნაკლები გამოვლინებით.

ნატო – ...და თქვენ ამ თეორიას ამტკიცებთ?

ელენი – ირონია არაფერ შუაშია. გსურთ საბუთი?

ნატო – მე მინდა ვნახო...

ელენი – და განიცადო?

ნატო – არა!

ელენი – ნატო, მე მგონი, თქვენი ვიზიტი უფრო სხვა დატვირთვას ატარებს, ვიდრე...

ნატო – გეთანხმებით. ირაკლის სცენარი, ეს მხოლოდ ლიტერატურაა და მის პიესად გადაქცევას საკმაოდ დიდი მუშაობა სჭირდება. თემა ბრწყინვალეა, მაგრამ ასეთი სახით მისი სცენაზე გადატანა შეუძლებელია.

ელენი – გეთანხმები. მეც ხომ მსახიობი ვარ და ერთგვარი რეჟისორიც. მე მგონი, შევძლებ დაგეხმარო...

ოთახში ირაკლი შემოვიდა.

ირაკლი – ოჰო, შესანიშნავად მუსაიფობთ და მე მგონი, ჩემი არყოფნა არც კი გიგრძნიათ.

ნატო – ელენი შესანიშნავი მოსაუბრეა.

ელენი – ...ნატო კი – შესანიშნავი გოგონა.

კარზე ზარის ხმა გაისმა.

ირაკლი – სტუმრებს ელით, ელენ?

ლენი – არა, ვნახავ ვინ მესტუმრა.

ელენი ოთახიდან გავიდა.

ნატო – აქ მშვენიერი ატმოსფეროა.

ირაკლი – ?????

ოთახში ორი გოგონა შემოვიდა ელენთან ერთად.

ელენი – ირაკლი, ნება მიბოძე წარმოგიდგინო ჩემი დისშვილები, ქეთი და ელისო.

ირაკლი – სასიამოვნოა, მე ირაკლი ლომაური გახლავართ. კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

ქეთი – დეიდა, ვატყობ, არცთუ ისე შესაფერის დროს მოვედით, თუმცა ბატონ ირაკლის გაცნობა „**очень заманчиво для юнных дам**".

ელენი – „**юнные дамы**", გთხოვთ, ყავა მოართვათ ჩვენს სტუმრებს. ნატო, ბოდიში, თავიდანვე რომ არ შემოგთავაზეთ ყავა და ნამცხვარი.

ნატო – შეწუხებად არც ღირს...

ელენი – ირაკლი, გთხოვ, დამტოვო მარტო ნატოსთან ერთად, ჩვენი საუბარი მამაკაცის ყურებისთვის არ არის განკუთვნილი.

(შემდეგ გოგონებს მიმართა) გოგოებო, აბა, მარშ სამზა-

რეულოში!!

ირაკლი – დეპორტაცია სამზარეულოში? ეს ორიგინალურია.

ნატო და ელენი მარტონი დარჩნენ.

ნატო – თითქოს ...იცით...

ელენი – სიტყვებს ვერ პოულობ? შენგან მიკვირს, შენ ხომ მსახიობი ხარ?

ნატო – დამწყები მსახიობი.

ელენი – მნიშვნელობა არ აქვს. დიდება და სახელი დროის საქმეა. ნატო, გინდა შეიცნო „ლაურას" ფენომენი?

ნატო – იცით, „ლაურა" ჩემის აზრით...

ელენი – შენ ეს უნდა ნახო, ჩემო გოგონა. წამომყევი.

ნატო უსიტყვოდ გაჰყვა ელენს. მისაღები ოთახის უკან კარი შეაღო მასპინძელმა. ისინი მოზრდილ კაბინეტში შევიდნენ. კედელზე აფარებული ფარდა გადასწია ელენმა და შუშის კედლის მიღმა სამზარეულო გამოჩნდა. ირაკლი, ქეთი და ელისო სამზარეულოში ფუსფუსებდნენ.

ელენი – ეს მინა სამზარეულოში სარკის ფუნქციას ასრულებს და ეს პატარა დინამიკი ხმას უზრუნველყოფს.

ელენმა დინამიკი ჩართო. ხმა მკაფიოდ ესმოდა ნატოს.

ირაკლი – ქეთი, მოგეხმარო?

ქეთი – ხო, ცოტა ბიკინები მიჭერს.

ირაკლი – რა საჭიროა ბიკინი, რომელიც გიჭერს?

ქეთი – ნამდვილად.

ირაკლი – სანამ ყავას მოვადუღებდეთ...

ქეთი – და დროც გვაქვსსსსს...

ირაკლის კედელზე ჰყავდა ატოტებული ქეთის ფეხებგაშლილი სხეული. ვნებიანად ბორგავდნენ ექსტაზში შესულნი.

ელისო – შესანიშნავად გამოგდით.

ქეთი – ელისო, დეიდამ არ გაიგოს, რა�ა.

ელისო – რა არ გაიგოს, დაიკო?

ქეთი – ელისო, გთხოვ.

ელისო – ირაკლი, იცი დუნდულაზე რა ლამაზი ტატუ მაქვს.

ქეთი – გოგო, შეიშალე?

ელისო – მეც მსურს ვნებათა შინა ვჰყო ჩემი... და ასე შემდეგ. ირაკლი, მე მაგიდაზე მსურს...

ქეთი – მომეცი საფქვავი, ახლა მე დავფქვავ.

ელისო ირაკლის ჩაეხუტა.

ელენი – ნატო, ხომ არ...

ნატო – ეს პირუტყვობაა. თქვენ ამგვარი სანახაობით ტკბებით?

ელენი – არა. ირაკლიც ისეთივე მამაკაცია, როგორც ბევრი სხვა. მიაქციე ყურადღება, არა ყველა, არამედ უმრავლესობა.

ნატო – და ეს რას ნიშნავს?

ელენი – ალბათ, ყავას მალე მოგვართმევენ, დავბრუნდეთ.

ნატო – ოხ, ღმერთო.

ელენი – ხო მართლა, ადამიანის ფერი არ გადევს, აბაზანაში შედი პირი დაიბანე. იჩქარე, ნატო.

ელენი სასტუმრო ოთახისკენ გაემართა. ნატო სააბაზანოში განმარტოვდა.სარკეში აკვირდებოდა საკუთარ თავს მსახიობი და საკუთარ თავთან დაიწყო ბაასი.

ნატო (თავისთვის) – აბა, რას იტყვი? ეს ხომ შენი იდეა იყო? ნამდვილი იდიოტი ვარ. მე ირაკლი მეგონა... ის მხოლოდ მამაკაცია და მე კი მისთვის მხოლოდ „ლაურა“. ისე, მეც სიამოვნებით ჩაგეხუტებოდით, ბატონო ირაკლი. ნამდვილად იდიოტი ვარ. ვარ და, რას იზამ? „ვპერიოდ, ლაურაობრაზნაია”.

მისაღებ ოთახში მხოლოდ ელენი დაუხვდა სავარძელზე კომფორტულად მჯომი. მაცდურად უელავდა თვალები მასპინძელს.

ელენი – ასე მალე მოწესრიგდი?

ნატო – ხო.

ელენი – დაბრძანდი.

ოთახში ქეთი შემოვიდა.

ქეთი – დეიდა, იცი ელისომ შენს სტუმარს მთელი ტომსიკა ყავა დააფქვევინა, წარმოგიდგენია?

ელენი – ნუ, რა უპატივცემულობაა?

ოთახში ირაკლი და ელისო შემოვიდნენ.

ირაკლი – ძნელი ყოფილა ყავის ფქვა.

ელენი – და ამიტომ ქოშინებ?

ირაკლი – ხო, ალბათ.

ელენი – ელისო, შვილო, ჩემი რეცეპტით მოამზადეთ ყავა?

ირაკლი – რეცეპტით?

ელისო – აქ, ამ ოჯახში ყავას განსაკუთრებული რეცეპ-ტით ვამზადებთ, ბატონო ირაკლი.

ირაკლი – ხო, რატომაც არა.

ქეთი – იცით, ირაკლი, ყავას განსაკუთრებული თვისება აქვს.

ირაკლი – რა თვისება?

ქეთი – ის არ თავდება.

ნატო – კი, მაგრამ, ხომ ისმება?

ელისო – ისმება წყალი და რჩება ნალექი.

ნატო – ალბათ, თურქული ყავა გაქვთ მხედველობაში.

ქეთი – ნატო, შენ მსახიობი ხარ და მეტი ორიგინალობა გმართებს.

ელისო – ნატო, წყალი წლებია, ნალექი კი რაც მისგან რჩება და ისიც ონკანქვეშეთში წყალს მიაქვს.

ირაკლი – არ მეგონა, თუ ყავა ასეთი ფილოსოფიური იყო.

ელენი – არა, ირაკლი, ის მარტოდ შთენილი სიმარტოვის ნექტარია მხოლოდ.

ნატო – ყურებს ვერ უჯერებ, რომ აქ...

ელენი – ბორდელში ამას მოისმენდი, არა?

ნატო – მე ეს არ მითქვამს!

ქეთი – მაგრამ, ხომ იფიქრე?

ელენი – ნატო, შვილო, ეს კედლები მრავალ საიდუმლოს ინახავს, მათ შორის „ძლიერთა ამა სოფლისათა" შესახებ, აქციე შენი ფანტაზია რეალობად და...

ირაკლი – ელენ, კონიაკი ხომ არ გაქვს?

ელენი – რასაკვირველია. თითო სირჩა, ალბათ, გაგვამხი-არულებს, თქვენ რას იტყვით?

ქეთი – ნატო, ხომ შემოგვიერთდებით?

ნატო – სიამოვნებით.

ელენი – ირაკლი, მე და ნატო ვსაუბრობდით თქვენს პიესაზე და რამდენიმე შეკითხვა გაგვიჩნდა.

ირაკლი – გისმენთ.

ელენი – „ლაურა”-ს რაბილიტაციას როგორ აპირებ? თუ მისი და ელიტარულ ოჯახში შევა, შესაბამისად ლაურა საკუთარი დის დისკრედიტაციის საფუძველი შეიძლება გახდეს. შენ რას ფიქრობ, ირაკლი, სადაა გამოსავალი?

ირაკლი – უნდა გათხოვდეს.

ელისო – კი, მაგრამ ის ხომ ცნობილი მეძავია?

ქეთი – მაგრამ, თუ ქმარი უცხოელია?

ირაკლი – ამ თემაზე ხშირად მიფიქრია. ალბათ, კარგი იქნებოდა ერთგვარი, ასე ვთქვათ, შანტაჟი ახალგაზრდა და ყოყლოჩინა „ოჯახიშვილისთვის” ოჯახის შექმნის მიზნით, მგონი ეს თემა...

ელენი – ირაკლი, ვიცი მდიდარი ფანტაზია გაქვს, მაგრამ შანტაჟი? ეს შენთვის მიუღებელია.

ელისომ სუფრა გაშალა. მაგიდაზე ტკბილეული და კონიაკის ბოთლი დადგა. მოზრდილი ჭიქა ირაკლის დაუდგა.

ირაკლი – ელისო, რა დაგიშავე ასეთი, ამხელა კასრით რომ არ დამალევინო?

ელისო – ჩვენ ქალები ვართ, გეთაყვა, შენ კი მამაკაცი, ძლიერი სქესი. გაგვიძელი.

ირაკლი – ხო, მე ხომ იშვიათი გამძლეობის მამრი ვარ.

ნატო – ბევრს სვამთ, ბატონო ირაკლი?

ელისო – ბევრს იტანს მისი მძლავრი სხეული.

ელენი – ეს თქვენი ქარაგმები მე არ მესმის. თამადა მე ვარ.

ქეთი – „შენ ხარ თამადა, ამ სუფრაზე შენ ხარ რჩეული”

ელენი – ამ სასმისით ნატოს გაუმარჯოს. მრავალი ნიღაბის მორგება მოგიწევს ცხოვრებაში, შვილო, მაგრამ ეცადე შენი სახე არ დაკარგო.

დაგლოცავ, როგორც ქალი ქალს, იხარე, შვილო.

ელისო – ეს კონიაკი პირდაპირ ტვინში ურტყამს.

ქეთი – მერე რა არის ამაში ცუდი?

ელენი – გოგოებო, ექვსი საათი ხდება, შემთხვევით თქვენმა გეგმებმა ცვლილებები ხომ არ განიცადეს?

ელისო – გავრბივართ.

ქეთი – კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო ირაკლი, ნახვამდის, ნატო.

ელისო და ქეთი თითქმის სირბილით გავიდნენ ოთახიდან. ელენი გასაცილებლად გაჰყვა გოგონებს.

ირაკლი – ნატო, შენ არ გაგვიანდება?

ნატო – არა, ირაკლი, მართლა შენ დაფქვი მთელი ტომსიკა ყავა?

ირაკლი – ეგ რატომ გაგახსენდა?

ნატო – ისე, უბრალოდ.

ირაკლი – ძნელი ყოფილა ყავის ფქვა.

ნატო – რა უცბად მოიშორა ელენმა დისშვილები, საოცარია, არა?

ირაკლი – მაგ „დისშვილებს" ელენის „ძმისშვილებთან" აქვთ შეხვედრა, მიმიხვდი?

ნატო – ირაკლი, მე მოგწონვარ?

ირაკლი – რა გაქვს მხედველობაში?

ნატო – არაფერი, კარგი კონიაკია, თანაც 12-წლიანი დაძველებით.

ირაკლი – ნატო, შენ მშვენიერი ქალი ხარ, როგორც მსახიობი ვერ გეტყვი, მაგრამ როგორც ქალი საკმაოდ სექსუალური.

ნატო – სექსუალური?

ირაკლი – ხო, მიმზიდველი და მომხიბლელი. იცი, ამ სახლში გაცნობის ოთახია, გინდა დაგათვალიერებინო?

ნატო – არა! მე არც ბიკინები მიჭერს და არც ტატუ მაქვს დუნდულაზე.

ირაკლი – ამით რისი თქმა გსურს? გინდა თქვა რომ, იქ სამზარეულოში...

ნატო – მგონი მასპინძელმა მიგვატოვა.

ირაკლი – მე კითხვა დავსვი, ნატო!

ნატო – და პასუხს ელი? ირაკლი, გთხოვ, მეტს ნუღარ დალევ, თითქმის მთელი ბოთლი დაცალე. ჩემი ხათრით, გთხოვ, ნუ სვამ.

ირკლი – შენ გგონია, რომ მე მთვრალი ვარ?

ნატო – მე წავალ.

ირაკლი – დარჩი! ელენიც მალე მოვა...

ოთახში ელენი შემოვიდა.

ელენი – ბოდიშს გიხდით, უყურადღებოთ რომ მიგატოვეთ, ირაკლი,

მთელი ბოთლი გამოცალე, ძვირფასო? ეს შენ არ შეგფერის, ირაკლი.

ირაკლი – მე მეუბნებით, მოწყალეო ქალბატონო?

ელენი – ირაკლი, შენ რესპექტაბელური პიროვნება ხარ და ეს აგრესია, გთხოვ, დაიოკო. ადი საძინებელში და დაისვენე, მე და ნატო აქ დაგელოდებით. შევთანხმდით?

ირაკლი – ნატო, დამელოდე, გესმის? გთხოვ, დამელოდე.

ნატო – მე დაგელოდებით, ბატონო ირაკლი. ალბათ, სახლშიც გამაცილებთ, ხომ?

ირაკლი ბარბაცით გავიდა ოთახიდან.

ელენი – საოცარი ძალა აქვს ალკოჰოლს.

ნატო – დათვრა.

ელენი – არა, ჩემო გოგონა, მას უბრალოდ ნიღაბი მოსძვრა.

ნატო – ალბათ, ირაკლის ასეთი ქცევა თქვენთვის უცხო არ უნდა იყოს?

ელენი – არა მარტო ირაკლის ქცევა, ჩემო გოგონა. ნატო, ერთ შკითხვას დაგისვამ, თანაც მინდა რომ უხამსობაში და თავხედობაში არ ჩამომართვა.

ნატო – ბრძანეთ, ჩვენ ხომ მარტონი ვართ.

ელენი – მამაკაცთან თუ წოლილხარ?

ნატო – არა, მე ჯერ... არ...

ელენი – ნატო, არის რაღაც განსაკუთრებული, რაც ყველა ქალმა უნდა იცოდეს, ამას ვნების ფლობა ჰქვია, ან უფრო სწორად, განცდათა მართვა. საკუთარი გრძნობების მიზანმიმართული გამოყენების უნარი. მე ერთგვარ ექსპერიმენტს გთავაზობ. შეიძლება ერთი შეხედვით უხამსობად მოგეჩვენოს, მაგრამ არის აქ რაღაც განსაკუთრებული.

ნატო – რას მთავაზობთ?

ელენი – ირაკლის სიმთვრალეს კარგად ვიცნობ, როცა ნასვამი იძინებს ყურთან ზარბაზანი რომ დაუცალო, ვერ გაიგებს...

ნატო – ამით რისი თქმა გსურთ?

ლენი – ადი მასთან ოთახში და გვერდზე მიუწექი. შიშველი დაწექი მის გვერდით, ლოგინში.

ნატო – მე თქვენ ვინ გგონივართ?!

ელენი – გარწმუნებ, ირაკლის ახლა მკვდარივით სძინავს. ასეთი შანსი არასოდეს გექნება, ჩემო გოგონა, თუ ამ დროს მამაკაცის „უსუსურობის მთელი „კორდაბალეტის" ნახვა არ გსურს.

ნატო – რომ გაედვიძოს?

ელენი – შენი ხმალი და ჩემი კისერი. თანაც, მინდა გითხრა, გამოიყენე შენი ფანტაზია, ჩათვალე, რომ შენს გვერდით ირაკლის სახით გასაბერი კაცია.

ნატო – და მაინც...

ელენი – „იზმენა გუბიტ ფრაერა", მიდი, ჩემო გოგონა.

ნატო საძინებლისკენ დაიძრა, უცბად მოტრიალდა და ელენს მიაშტერდა.

ნატო – ელენ, მე იდიოტი ვარ, არა?

ელენი – ???

ნატო – მე მაინც ვცდი.

ნატო საძინებელში შევიდა. ლოგინზე ირაკლის უზარმაზარი სხეული გაშოტილიყო საცვლების ამარა. ნატო ჩურჩულით ამეტყველდა.

ნატო – ირაკლი, ირაკლიიი. იდიოტი ქალი ამოვედი ჩასახუტებლად და ეს კიდევ ფხუუუუ. ოღონდ არ გაიღვიძო, ბატონო მწერალო. ირაკლი, ვიხდი და თვალი არ გაახილო!

ნატომ ტანზე გაიხადა და იქვე კიმანოს მსგავსი ხალათი მოისხა შიშველ სხეულზე. ირაკლის პლედი გადახადა.

ნატო – მაშ ასე, მე დღეს პირველად ვწვები კაცთან შიშველი. კი მაგრამ, ეს დეგენერატი ზურგით რომ არის?

ნატო წამოდგა, ლოგინს მეორე მხრიდან მოურბინა და ირაკლის ტორებს შეეხო.

ნატო – ირაკლი, ცოტა მიიწიე, რა�ა.

ირაკლი გულაღმა გადმოაბრუნა. ძალგულოვნად ხვრინავდა მწერალი.

ნატო – აუუ, რას ხერხავს ეს ჩემისა. ვიწყებ სამკვდროსასიცოცხლო ნომერს და ვაი, დედააა.

ნატო ირაკლის სხეულზე გადაეჯდა.

ნატო – ჩემი პირველი მამაკაცი და ისიც მძინარე.

ირაკლის ხელი ნატოს უკანალს შემოეხვია.

ნატო – ვაი, მაგრამ მესიამოვნა. უუუ იდიოტი ვარ მაგრამ... რა კაია კაციი.

ნატო ირაკლის სხეულზე მიესვენა და ნაზი თითებით მის ბანჯგვლიან მკერდს შეეხო.

ირაკლიმ გაიღვიძა.

ირაკლი – ნატო?

ნატო – ხო... იცი, შენი გაღვიძება არ მინდოდა, მე... იცი...

ირაკლი – ჩემო პატარა ოინბაზო.

ნატო – ვაიმე, ირაკლიიიი... მე არ მინდოდა შენი გაღვიძება, რატომ გაიღვიძეეეე...

ირაკლი – ჩამეხუტე, ჩემო სიცოცხლე.

ნატო – მე... ვაიმეეე... მიყვარხარ, ირაკლი.

ირაკლის მძლავრმა სუნთქვამ თავბრუ დაახვია ნატოს.

არაქათგამოცლილ ნატოს ირაკლის მკერდზე დაედო თავი. ეძინათ უნებლიე საყვარლებს.

ნატოს თითქოს დენმა დაჰკრა, საწოლიდან წამოიჭრა და ირაკლის დახედა. ირაკლის ეძინა.

ნატო – ესეც შენი „ლაურიზმი". იდიოტი არა ვარ? ეს რა ჩავიდინე? მაგრამ მაინც კარგი იყო.

ნატო ირაკლის გაღვიძებას შეუდგა. კარზე მსუბუქი კაკუნი გაისმა.

ირაკლი – მობრძანდით!

ოთახში ელენი შემოვიდა.

ელენი – ირაკლი ღამის ორი საათია, ნატო სახლშია წასაყვანი.

ირაკლი – ხო რასაკვირველია, ნატო, გაიღვიძე, ნატო, ნატული...

ნატო ლოგინიდან წამოვარდა, ანგარიშმიუცემლად მივარდა ტანსაცმელს და ჩაცმა დაიწყო.

ელენი – ნატო, დამშვიდდი.

ნატო – რომელი საათია?

ირაკლი – ღამის ორი საათია.

ნატო – ვაიმე, დედა მომკლავს.

ელენი – ტაქსი ქუჩაში გელოდებათ. ირაკლი, დაგვტოვე, თუ შეიძლება.

ირაკლი ოთახიდან გავიდა. ოთახში ელენი და ნატო დარჩნენ.

ნატო – კიდევ რა გსურთ, ქალბატონო ჩემგან?

ელენი – ნატო, რაც აქ მოხდა და ნახე, ეს ყველაფერი სახლში გააანალიზე და კიდევ (ელენმა ნატოს კონვერტი გაუწოდა) ამ კონვერტში არის რაღაც, რაც საშუალებას მოგცემს გახდე ან დიდი მსახიობი ან არავინ. გამომართვი.

ნატო –შეიძლება ვნახო?

ელენი – მხოლოდ ხვალ, გთხოვ, გააკეთე ისე, როგორც გეუბნები.

ნატო – თქვენ სხვა რამესაც მეუბნებოდით და შედეგად...

ელენი – მიიღე ის, რაც ქალს სწყურია.

ნატო – მე ეს არ მწყუროდა, მე...

ელენი – ხო, ჩემო გოგო, შენ ეს უბრლოდ გინდოდა. ეხლა კი მშვიდობით.

ელენმა ნატო ირაკლისთან მიიყვანა. მდუმარედ გააღო სადარბაზოს კარი მასპინძელმა და სტუმრები გააცილა. გზაში კრინტი არ დაუძრავთ უნებლიე საყვარლებს.

ნატომ სახლის კარი შეაღო. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ფეხაკრეფით შევიდა თავის ოთახში და კარი მიხურა. სინათლე აანთო და მის წინაშე სავარძელში მჯდომი დედა დაინახა. ნატო შეკრთა.

ნატოს დედა – სად ეგდე?

ნატო – ვაი, როგორ შემაშინე. შუქი მაინც აგენთო, ამ სიბნელეში რომ ზიხარ.

ნატოს დედა – სად იყავი ამდენ ხანს?! თეატრიდან დიდი ხნის წამოსული ხარ, ლაშა გაგიჟებული დაგეძებს, გოგოები გეძებენ, მე და მამაშენი გადარეულები გელოდებით და ეს იდიოტი კიდევ მიცინის. სად იყავი?!

ნატო – დედა, დაწყნარდი და ნუ ჩხუბობ, მისმინე, მე ახალი როლი მომცეს და დასის მსახიობებთან ერთად რეპეტიციებს გავდიოდით. ნუთუ ეს ასე ძნელია, რომ გაიგო?

ნატოს დედა – ეხლა დაეგდე და დაიძინე, აი ხვალ კი მამაშენს ესაუბრე შენს აქტიორულ მიღწევებზე. გაიგე!?

ნატო (ყვირილით) – გავიგე!

ნატოს დედა – ვის უყვირი? შენ გეკითხები? ქალიშვილი გოგო ოთხის ნახევარზე მოდიხარ შინ და კიდევ რამეს ბედავ? შე უნამუსო, მამას წნევამ აუწია, სად გვეძებნე არ ვიცოდით და კიდევ შენ გაქვს პრეტენზიები?

ნატო – ბოდიში, დედიკო, ახლა დაღლილი ვარ და ხვალე

მეჩხუბეთ რამდენიც გინდათ, თუ გსურთ ქამრით ამიწითლეთ ტაკუნები, ოღონდ ეხლა დამაძინეთ, რა�ა. მკვდარივით ვარ, გთხოვ, ხო?

ნატოს დედა – დაეგდე, გამომივიდა აქ სოფი ლორენი.

ნატო – ძილი ნებისა, დედიკო.

ნატო ოთახში მარტო დარჩა. და საკუთარ თავთან დაიწყო საუბარი.

ნატო – რა შთამბეჭდავი დღე მქონდა. როლი მივიღე, ბორდელშიც ვიყავი, სიქალწულეც მივატკაცუნე და საყვარელიც დავითრიეეე. ისე მართლა კარგი იყო, მაგრამ რამხელა ჰქონდა იმ შობელძაღლს, კინაღამ თეძოებიდან არ ამომაგდო? ვაი, როგორ მტკივა მუცელი, ნაღველი ხო არ გამიხეთქა იმ ვირმა? შეხედე ძუძუზე არ უკბენია? დრამატურგი კი არა ნამდვილი დურაკტურგია. ვაიიიი,როგორ მტკივა მკერდი, ანდრიკოტის ნაჭერი გეგონეთ, ბატონო ირაკლი თუ ხინკალი? მომერიეთ? არაںںں, გაასწორა, აუუ ფეხმძიმედ არ დავრჩე თორემ „ლაურას"როლი კი არა, მასოვკა მომენატრება. აუ, რა მეძინებںںں.

ნატომ დაიძინა.

მაღვიძარამ დილის 9 საათი ამცნო ნატოს. გიჟივით წამოვარდა ლოგინიდან და მაღვიძარა გამორთო მსახიობმა, ლოგინზე მიესვენა კვლავ.

ნატო (თავისთვის) – ეს რა უბედურებںںں? მაღვიძარა ტვინს, ირაკლი სხეულს და ლაშა სულს... და ასე შემდეგ მიუპატიურებენ.

შემდეგ ლოგინზე წამოჯდა. ფეხი მოირთხო და ელენის მოცემული კონვერტი ამოაცოცა ჩანთიდან, ფრთხილად გახსნა. შიგნით ფოტო ლენტი იდო. შიშნარევი ცნობისმოყვარეობით გაშალა და თვალიერებას შეუდგა.

ნატო (თავისთვის) – ყველაფერი გადაუღია. ღმერთო, რა ვქნა? ხომ შეიძლება ფოტოებიც არსებობდეს? ელენმა მითხრა... ხო, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, როგორ მოვიქცე? ახლა მხოლოდ ელენია საჭირო!

ნატო ელენს ესტუმრა და თეატრში დაგვიანებით მივიდა.

ლაშა – მადლობა ღმერთს, რომ პატივი დაგვდეთ და მობრძანდით, მოწყალეო ქალბატონო.

ნატო – ლაშა, ნუ მეჩხუბები, რა�ა.

ინგა – ბატონო ირაკლი შეკითხვა მაქვს თქვენთან.

ირაკლი – ბრძანეთ.

ინგა – პიესის მიხედვით „ლაურას" დის სამამამთილო ლაურას კლიენტი იყო და ამის გამო ლაურა შანტაჟს უწ-ყობს მას. მოვლენები საკმაოდ უსიამოვნო სახეს იღებს. ჩე-მის აზრით ამ მოქმედების სცენაზე გადატანა სპექტაკლს პრაქტიკულად მიუღებელს გახდის მაყურებლისთვის.

ლაშა – რას გვთავაზობ?

ინგა – ქეთის და ლაურას ჰყავთ ახლო ნათესავები. ნიშ-ნობა და ქორწილი მათ მოაწყონ, ხოლო ლაურა გაქრეს.

ნატო – არა, „ლაურას"გაქრობა დაუშვებელია. მაგრამ პიესაში არ არის კომფლიქტი, არ არის ინტრიგა. ეს კი მაყურებლის მოსაზიდად, ჩემის აზრით, აუცილებელია. სპექტაკლი „კასსოვი" უნდა გახდეს. ამ ყველაფრის გარეშე კი სპექტაკლი ჩავარდება.

ლაშა – შენ რას იტყვი, ირაკლი? გოგოები მართალს ამბობენ და... და...

ირაკლი – მჭირდება ერთი კვირა. თანახმა ხართ?

ლაშა – ირაკლი ათ დღეში სცენარი მზად უნდა მქონდეს, გთხოვ...

ირაკლი – მოსულა.

ნატო – ბატონო ირაკლი, უკაცრავად გუშინ ტაქსში ეს საქადალდე დაგრჩათ, ინებეთ.

ნატომ მორიდებით მიმართა ირაკლის და საქადალდე მიაწოდა.

ლალი – ბატონო ირაკლი, ნატო ტაქსით გაუშვით და თქვენ არ მიაცილეთ სახლამდე?

ირაკლი ( ალუღლუღდა) – მე... იცით...

ლაშა – ლალი, შენ პიესა საერთოდ წაკითხული გაქვს?

ლალი – ხო!

ლაშა – „ხო" კი არა, დიახ და დაუბერე ეხლა სახლში და...

ლალი – სახლში რა ვაკეთო, ლაშა?

ლაშა – ფეხების აწევაში ივარჯიშე!

ლალი (ჩურჩულით) – დებილი.

დღე პირველი.

ირაკლი დაღლილი დაბრუნდა შინ. კაბინეტში შევიდა და საწერ მაგიდას მიუჯდა. საათს დახედა, ისრები ღამის 12 საათს ამცნობდნენ პატრონს. მაგიდის ლამპა აანთო დრამატურგმა და მეუღლეს გასძახა.

ირაკლი – ეკااااა!

ოთახში ეკა შემოვიდა.

ეკა – რა გაღრიალებს ბიჭო!? ბავშვი არ გამიღვიძო თორემ მშიერი დარჩები.

კეკლუცად გაუღიმა ეკამ მეუღლეს, შემდეგ ახლოს მივიდა, კისერზე ხელი მოხვია და პატარა ბავშვივით კალთაში ჩაუსკუპდა ქმარს.

ეკა – დაიღალე?

ირაკლი – აბა რაااა, ლაშას ხელში კიდევ კარგად ვარ.

ეკა – მთელი დღე შინ არა ხარ და არ მოგენატრეთ მაინც?

გაბუტული და ცრემლნარევი ხმით ამეტყველდა ეკა.

ირაკლი – ეკა,შენ ხომ იცი, რომ სიცოცხლეს მირჩევნიხართ და ცრემლები არა, რა, ცრემლი ნუ, რااااა, იცოდე ნუ ტირიხარ, თორემ ვიყვირებ და ბავშვს გავაღვიძებ.

ეკა – დებილო, ქალი კალთაში გიზივარ და ყვირილზე ფიქრობ?

ირაკლი – ბავშვი რა ხნისაა?

ეკა – ორი წლის და ექვსი თვის.

ირაკლი – კაი რა, ნუ სლუკუნებ.

ეკა – არ ვსლუკუნებ, ვტირი. გშია?

ირაკლი – მოიცა. მოსვლა შენი ნება იყო, წასვლა ჩემი ნებაა.

ეკა – რა გინდა, ირაკლი?

ირაკლი – „რა” კი არა „ვინ”. მინდა დიდი ცისფერთვალება გოგო.

ეკა – ვინ გოგო, ირაკლი?

ირაკლი – ბიჭი ხომ გვყავს? ეხლა მინდა გოგო, გაიგე?

ეკა – მერე კაბინეტში?

ირაკლი – მერე რა?

ეკა – მწიგნობარი გინდა გამოვიდეს, ჩემო სიცოცხლე?
გაეღიმა ეკას.
ირაკლი – ბიჭი ხო ნიკი ლაუდა მყავს რა.
ეკა – სულელო.
სიყვარულით თავზე ხელი გადაუსვა ქმარს და ნაზად ლოყაზე აკოცა.
ირაკლი – არა, „გიჟო"-თქო!
ეკა – მიყვარხარ, ირაკლი.
ირაკლიმ ხელში აიყვანა მეუღლე. ტუჩებზე დაადნა ეკა ქმარს.
ხალათ'ში შემოსილი ირაკლი კაბინეტში დაბრუნდა და „ტაქსში დარჩენილი" საქაღალდე გახსნა.
ირაკლი (ჩურჩულით) – პოზებში არ გადავუღივარ ამ ძაღლიშვილს. ელენ, შე ბოზო.
ირაკლიმ საქაღალდე დახურა და მაგიდის უჯრაში ჩაკეტა.

## დღე მეორე

შუადღე გადასული იყო, როცა ირაკლის ოჯახში ტელეფონმა დარეკა. ეკამ ყურმილი აიღო.
ეკა – გისმენთ... დიახ... ახლავე, ქალბატონო. შემდეგ ირაკლის დაუძახა. – ირაკლი, ტელეფონთან გთხოვენ.
ირაკლიმ ყურმილი აიღო.
ირაკლი – გისმენთ... მერე რა გნებავთ?.. შენ ხომ არ...
ირაკლიმ ერთი დაიღრიალა და ტელეფონი დაახეთქა.
ეკა – რა მოხდა, ირაკლი? ხომ მშვიდობაა ჩვენს თავს?
ირაკლი – ხო, გამომცემლობიდან დამირეკა ვიღაც იდიოტმა.
ეკას სახეზე შეშფოთება დაეტყო.
ეკა – მატყუებ! მითხარი რა მოხდა, გთხოვ.
კარზე ზარის ხმა გაისმა. ეკა თითქმის სირბილით გაემართა კარისკენ და კარი გააღო.
ეკა – ვინ გნებავთ, ქალბატონო?
ნატო (მორიდებით) – მე ნატო ვარ თეატრიდან. ბატონ ირაკლისთან კონსულტაციაზე მოვედი. იცით, მე მსახიობი

ვარ... ალბათ, უდროო დროს მოვედი... მომიტევეთ. . .

ეკა – მობრძანდით, ნატო. ირაკლი შინაა, გთხოვთ.

ნატო – ბედნიერი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში.

ეკა – გმადლობთ, მობრძანდით.

ეკა ირაკლის კაბინეტისკენ გაემართა, ნატო შეშინებული ბალღივით გაჰყვა დიასახლისს. ეკამ კაბინეტის კარი შეაღო.

ეკა – ირაკლი, შენთან არიან, თეატრიდან.

ირაკლი – სთხოვე მობრძანდეს.

ეკა – ნატო, გთხოვთ.

ფითრმა გადაჰკრა ირაკლის. ქმრის სახეზე ცვლილება არ გამოეპარა ეკას.

ნატო ბავშვივით ალუღლუღდა.

ნატო – ბატონო ირაკლი, შეიძლება შემოვიდე?

ირაკლი – მობრძანდით, გთხოვთ.

ეკა – მე შეიძლება, რომ შემოგიერთდეთ?

ირაკლი – რასაკვირველია, ძვირფასო, მობრძანდი.

ნატო – ბატონო ირაკლი (ნატომ ჩანთიდან სცენარი ამოიღო) როლში შესვლა ძალიან მიჭირს, ლაშასთვის სულერთია... მას სახე უნდა შექმნას (ნატოს თვალებზე ცრემლი მოადგა) მე სცენაზე ჩემს პარტნიორს კალთაში ვერ ჩავუჯდები და კაბის ქვეშ ხელს... (ნატო ატირდა) გთხოვთ, შეცვალეთ სცენარი, გემუდარებით!

ეკა გაოცდა და გაფითრებულ ირაკლის მორიდებით მიმართა.

ეკა – რა სპექტაკლს დგამთ შენ და ლაშა, ირაკლი?

ნატო – იცით, ქალბატონო ეკა, მე მეძავის როლს ვთამაშობ, გთხოვთ მომიტევოთ ჩემი ცრემლები და ასეთი ქცევა, მაგრამ სპექტაკლს ჩემი საქმრო და მისი ოჯახის წევრები უნდა დაესწრონ... ეს ჩემი პირველი როლია დიდ სცენაზე. მე ეს მჭირდება, ბატონო ირაკლი, გთხოვთ შეცვალოთ სცენა.

ნატო მუხლებზე დაეცა და ხელები სახეზე აიფარა, მსახიობი ტიროდა.

ეკა გაოგნებული შესცქეროდა ნატოს, შემდეგ ძლივს ამოილუღლუღა.

ეკა – ირაკლი, მე ყავას მოვადუღებ.

ეკა კაბინეტიდან გავიდა.

ირაკლი შეშფოთებული მივარდა ნატოსთან, მკლავებზე ხელი მოჰკიდა და ნატოს წამოყენებას შეეცადა.

ირაკლი – დამშვიდდით, ამის გამოსწორება იოლია და საერთოდ... იცით... მე...

ნატომ სახიდან ხელები ჩამოიღო, უცნაური ღიმილი დასთამაშებდა მსახიობს სახეზე.

ნატო – რა გულწრფელი იყო შენი სიტყვები, ჩემო სიცოცხლე.

ირაკლი – რა გაცინებს?

ნატო – ძუძუზე რატომ მიკბინეთ, ბატონო დრამატურგო?

ირაკლი – შენ რა შეიშალე? რა სცენებს მიწყობ შე...

ნატო – ...ბოზოოო, რატომ ჩურჩულებთ, ბატონო ირაკლი? ა�ა, ცოლიკომ რომ არ გაიგოს, ჩემო სიცოცხლე?

ირაკლი – გაეთრიე ჩემი სახლიდან. ქუჩაში ვისაუბროთ!

ნატო – ლატომ, ლატომ? (მაცდურად იღიმებოდა ნატო) საქაღალდე ნახე, ჩემო ღაბუა?

ირაკლი – ვნახე!

ნატო – მერე, რომელი პოზა მოგეწონა, „მე ზევიდან, შენ ქვევიდან", თუუუ? აუუ, გამოტყდი რაა, ხო მაგარი ოინბაზი გოგო ვარ?

ირაკლი – მოგკლავ, შენი დედა . . .

ნატო (სერიოზულად) – ფეხებს ვერ მომჭამ, პატივცემულო და ნუ მემუქრები, ეხლა კარგად მომისმინე, კალთაში ჩაგიჯდები, მერე ერთი კარგად ჩამიზასე და წავალ. გაფრთხილებ, ხმა არ ამოიღო!

ნატო ირაკლის კალთაში ჩაუჯდა და მის ტუჩებს დაეკონა. ირაკლიმ ხელი კაბის ქვეშ შეუცურა ნატოს.

ნატო – გაგისწორდა? ეხლა კი წავედი, ნახვამდის, „ჩემო ტურფაააა და ლამაზოოო"

წაუღიღინა ნატომ. ირაკლი გაოგნებული შეჰყურებდა სტუმარს. მერე გონება მოიკრიბა და ჰკითხა.

ირაკლი – რა გინდა ჩემგან, ნატო?

ნატომ მშვიდი სახით შეხედა საყვარელს, ღიმილმა გადაურბინა მშვენიერ სახეზე.

ნატო – განა გთხოვე რამე?

შემდეგ კაბინეტის კარი გააღო.

ნატო – კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო ირაკლი. ბოდიში, რომ დრო წაგართვით.

ირაკლი – მოიცა, გაგაცილებ.

ნატოს გაეღიმა და ირაკლის ჩურჩულით მიმართა.

ნატო – გამაცილებ, ჩემო ტურფა?

დერეფანში სამზარეულოდან ლანგრით მომავალი ეკა გამოჩნდა.

ეკა – ნატო, თქვენ უკვე მიბრძანდებით? მე კი ყავა და ნამცხვარი მოგართვით.

ნატო – დიახ, უკვე მივდივარ, ბოდიში მინდა მოგიხადოთ ჩემი ემოციის გამო, გთხოვთ მომიტევოთ.

ეკა – არსად არ გაგიშვებთ, სანამ ჩემი სტუმარიც არ იქნებით, და ამიტომ სამზარეულოში გეპატიჟებით, გთხოვთ.

ნატომ შიშნარევი თვალებით შეხედა ირაკლის.

ეკა – ირაკლი, ნუთუ ასეთი მკაცრი ხარ?

ირაკლი დაიბნა.

ირაკლი – არაა... გთხოვთ, ნატო...

სამივე სამზარეულოში შევიდა.

ეკა – აი, ეს არის ჩემი კაბინეტი, ჩემო ნატო...

ნატო – ეკა, კიდევ ერთხელ ბოდიშს გიხდით და...

ეკა – მე მესმის თქვენი. მაშ ასე, მომიყევით თქვენი სპექტაკლის შესახებ, რა საშინელებას დგამს ლაშა?

ნატო – თემა საკმაოდ აქტუალურია და სოციალურ პრობ-ლემებს ეხება. პიესა კი, ბატონ ირაკლის შემოქმედების ნაყოფია. მაგრამ იცით სირთულე რაში მდგომარეობს, ლა-შას სურს რომ მაყურებელი ასე ვთქვათ „ლაურას" „ბილწი პათოსით" მოიზიდოს...

ეკა – კი მაგრამ, ეროტიული სცენებით გსურთ პრობლება მოაგვაროთ?

ნატო – ფულს სუნი არ აქვს, ქალბატონო ეკა.

ეკა – საინტერესოა.

ნატო –შესანიშნავი ყავაა, ქალბატონო ეკა, გმადლობთ მასპინძლობისთვის და კარგად ბრძანდებოდეთ, ნახვამდის.

ეკა – თქვენ ჩემს ოჯახში ყოველთვის სასურველი სტუ-მარი იქნებით, ნატო.

ნატო – გმადლობთ  და ნახვამდის.

ეკა – ირაკლი, არ გააცილებ სტუმარს?

ირაკლი –ხო, რასაკვირველია.

ირაკლი და ნატო ქუჩაში გამოვიდნენ.

ირაკლი – ეს რა კომედია გაითამაშე?

ნატო –კომედია?  რა, ჩემო სიცოცხლე? იცი, მე ექსპერტის დასკვნა მაქვს...

ირაკლი – რა დასკვნა?

ნატო – ჩემი „განაყოფიერების" დროს გამოყოფილი ნივთიერების იდენტიფიკაციის დასკვნა. ჩემი ჩივილის შემთხვევაში, ჩემო სიხარულო, ჩემი გაუპატიურება დაგედება ბრალად, და თანაც...

ირაკლი – შეეე...

ნატო – ხელი არ მახლო!  ეს ფოტო გამომართვი, ჩემი „ხმარების" პროცესია.  ეფექტურია, არა?

ნატო სწრაფად მოტრიალდა და თითქმის სირბილით გაშორდა ირაკლის.  ირაკლი სადარბაზოსთან  იდგა და გაოგნებული მისჩერებოდა უკვე შორს მიმავალ ნატოს. ირაკლი სახლში დაბრუნდა. ფოტო  შარვლის ჯიბეში ჩაიდო.

ეკა – რა მოგივიდა,  ირაკლი,  ადამიანის ფერი არ გადევს?

ირაკლი – ნატო, შენი ბოზი დედა...

ეკა – რა მოხდა, ირაკლი?

ეკა კიოდა.

ირაკლი – წადი, შენი დედაც...

ერთ დაუღრიალა მეუღლეს და კაბინეტის კარი გაიჯახუნა.

შუა ღამის დადგომა ამცნო საათის კურანტებმა დრამატურგს.  ეკამ ირაკლის კაბინეტის კარი შეაღო, ლანგრით ერთი ფინჯანი ჩაი და ნამცხვარი მიართვა მეუღლეს.

ირაკლი მუშაობდა.

ეკა – მიირთვი. მუშაობაში ხელი ხომ არ შეგიშალე?

ირაკლი – არა, უბრალოდ პიესაზე ვმუშობდი.

ირაკლის თავი არც აუწევია, ისე მიმართა მეუღლეს. შემდეგ წამოდგა, ეკას მიუახლოვდა, ძალდატანებით გაუღიმა ცოლს.

ირაკლი – ეკა, იცი... ბოდიში, რაღაც იდიოტურად გამომივიდა...

ეკა – ირაკლი, ამ ფასად მიღებული ფული მე არ მჭირდება.

ირაკლი – ხო, კარგი, შევრიგდეთ, ხომ?

ეკამ ცრემლები ვერ შეიკავა და აქვითინდა. ხალათის ჯიბიდან რაღაც ფურცელი ამოიღო და ირაკლის მიაწოდა.

ეკა – გამომართვი, ეს ექოსკოპიის დასკვნაა, მე მეორე თვეში ვარ... მე ბავშვს ველოდები...

ეკას კიდევ რაღაცის თქმა სურდა, ირაკლიმ არ დააცადა და გულში ჩაიკრა მეუღლე. ეკამ ყინულის ბაგეები შეახვედრა ქმარს. ირაკლის მკლავებისგან განთავისუფლდა, ერთი შეხედა მეუღლეს ცრემლიანი თვალებით და კაბინეტიდან გავიდა.

დღე მე-3

ირაკლი შინ, საკუთარ მაგიდასთან იჯდა და მუშაობდა.

მობილურმა ტელეფონმა დარეკა.

ირაკლი – გისმენთ.

ნატო – გამარჯობათ, ბატონო ირაკლი, მე ნატო ვარ.

ირაკლი (მკაცრი ტონით). – გისმენ!

ნატო – ხელი ხომ არ შეგიშალეთ შემოქმედებითი წვის პროცესში?

ირაკლი – რა გინდა?!

ნატო – შეხვედრა. მხოლოდ ლოგინში ჯერ არა, ფეხებს შორის „ჭრილობა" ჯერ არ მომშუშებია.

ირაკლი (კატეგორიული ტონით) – სად?

ნატო – რას ნიშნავს „სად"?

ირაკლი – სად შევხვდეთ?

ნატო – კაფე „ფლამინგოში", ნახევარ საათში იქ ვიქნები და არ მალოდინო.

ნატომ ტელეფონი გათიშა.

კაფე „ფლამინგო", ნატო და ირაკლი კაფეს სიღრმეში, მაგიდასთან სხედან.

ნატო – ირაკლი, იცი რაღაც მინდა გითხრა. გუშინ სახ-

ლში შემოგეჭერი და მე მესმის, ჩემი ვიზიტი შენ წარმოუდგენელ დისკომფორტს შეგიქმნიდა. იცი, მე ქალბატონ ეკას ვესაუბრე...

ირაკლიმ სიტყვა გააწყვეტინა.

ირაკლი – ვის ესაუბრე?

ნატო – თქვენს მეუღლეს, ქალბატონ ეკას.

ირაკლი დაიძაბა.

ირაკლი – მერე?

ნატო – ძალიან აღელვებული სჩანდა, თითქოს მე ვიყო დამნაშავე თქვენს ოჯახურ კონფლიქტში.

ირაკლიმ გამჭოლი მზერა მიაპყრო ნატოს, ნატო მშვიდად იჯდა.

ირაკლი – რა გითხრა ეკამ?

ნატო – ირაკლი ვირი რომ იყო ვიცოდი, მაგრამ ასეთი პირუტყვი თუ იქნებოდა, რომ ფეხმძიმე ქალს შეურაცხყოფას მომაყენებდა, ვერ წარმოვიდგენდიო.

ირაკლი – შენ ვინ გეკითხება, შე ძუკნა, ჩემი ოჯახის საქმეებში რომ ერევი?!

ნატო (მშვიდად) - მომისმინე და თვალებს ნუ მიბრიალებ, ხალხი გვიყურებს. ისინი შენ გიცნობენ.

ირაკლი (ბრაზით) – მკიდია!

ნატო (ღიმილით) – გკიდია? იმპოტენცია დაგეწყოთ, ბატონო მწერალო?

ირაკლი – რა თქვი?

ნატო უცბად წამოდგა, ირაკლის კალთაში ჩაუხტა, ტუჩებში აკოცა და ბარიდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა. ირაკლი მარტო დარჩა. გონება ამღვრეული შინ გვიან დაბრუნდა. სადარბაზოს კარი ფრთხილად გააღო. სახლში ბნელოდა. ირაკლიმ თითქმის ჩურჩულით მეუღლეს დაუძახა.

ირაკლი – ეკო, ეკუნა, სად ხარ გოგო?

პასუხი არავინ გასცა.

ირაკლი სამზარეულოსკენ ფეხაკრეფით გაემართა.სამზარეულოს მაგიდაზე ღვინის ბოთლი იდგა და მასზე კონვერტი იყო დადებული. ირაკლიმ კონვერტი გახსნა.

ირაკლი (ყვირილით) – ნატო შენი დედა... ეკაააა!

ეკა (წყნარი ხმით) – რა გაყვირებს?

ირაკლი სწრაფად მობრუნდა.

ირაკლი (აღელვებით) – ეკა, მომისმინე, მე აგიხსნი ყველაფერს...

ეკა (მშვიდად) – საჭმელი მაცივარშია, (ფოტო ხელში აიღო) ქალბატონი კალთაში  გიზის და შენ ნეტარებისგან თვალები გაქვს დახუჭული, ალბათ ახალი გამრთობი მონახე, არა?  ან იქნებ ასეთი ხერხით ცდილობენ დამწყები მსახიობები როლის მოპოვებას? მშვიდობით ირაკლი!

ირაკლი – ეკა, ეს ის არ არის, რასაც შენ ფიქრობ, მე ამ გოგოს არ ვიცნობ, უფრო სწორად, ვიცნობ, მაგრამ ის ძალიან თავნებაა, ექსცენტრული და იცი...

ეკა (მშვიდად) – მაგვიანდება, ბავშვი დედაჩემთანაა, ალბათ, ჭირვეულობს, თანაც უკვე ძილის დრო აქვს. მე წავედი.

ირაკლი (ყვირილით) – გოგო, შენ შეიშალე? ბავშვი სად არის?

ეკა  – ბაითი გაგინთავისუფლე, რათა  შენ შემოქმედებას ფართო ასპარეზი მივცე.

ირაკლი (ხვეწნით) – ეკა რას შვრები?  ამ ფოტომ გადაწყვიტა ჩვენი სიყვარულის ბედი?  ოჯახს ანგრევ?

ეკა – მშვიდობით, ირაკლი. ლაშას დაურეკე, დილიდან ელოდება შენს ზარს.

ირაკლი – მიდიხარ? წადი, შენი დედაც...

ეკამ კარი გაიჯახუნა.

დღე მე-4

დილის 9 სააათი.ირაკლის გაუხდელად სძინავს საძინებელში. რეკავს ტელეფონი.

ირაკლიმ ყურმილი აიღო.

ირაკლი – გისმენთ... ხო, ლაშა, მე ვარ... სად?.. „ფლამინგოში?..“ მოსულა, ძმაო, ექვსზე მანდ ვარ.

ირაკლიმ ყურმილი დადო. შემდეგ ისევ მისწვდა ტელეფონს და ნომრის აკრეფას შეუდგა.

ირაკლი – ალო, ეკა, მე ვარ... ეკო, ნუ დუმხარ, გთხოვ. ხმა გამეცი მხოლოდ... ეკა, მე შენთან ამოვალ... ბავშვი როგორ

არის?.. ეკა, მელაპარაკე, გთხოვ გოგო... რა მაყვირებს? ეკა, ეკა...

ყურმილიდან გულის წამღები ზუზუნი ისმოდა. ეკამ ყურმილი დაკიდა. ირაკლი საწოლიდან წამოდგა, სარკესთან მივიდა და საკუთარ თავთან დაიწყო საუბარი.

ირაკლი – რას აპირებ? რაპუტაცია თუ ოჯახი, საკითხავი აი ეს არის. რასაკვირველია ოჯახი, ჩემი შვილი და ჩემი იდიოტი, ეჭვიანი ცოლი. ჩემი გამასხარავება გნებავთ, ქალბატონო ეკა? თუ თავი გინდათ მომჭრათ საზოგადოებაში? ან იქნებ ორივე ერთად? ბაითი გამინთავისუფლეთ? ყაბულს ვარ. სახლიდან წასული ქალი უკან არ ბრუნდება, ჩემო კნეინა. ალბათ, ნატოსაც მოურჩა „იარა"

საღამოს 6 საათი. კაფე „ფლამინგო". კაფეში ლაშა შეეგება ირაკლის.

ლაშა – დიდება შენს გამოჩენას, ქართული სიტყვის მესაიდუმლევ. შობის დღიდან ოცდამეათე წელს აღვნიშნავ და ღვინით დამლოცე, ერეკლე ბატონო.

ირაკლი – სიამოვნებით.

მეხსიერებას რა ვუთხრა, გონებას ვიჭყლეტ ქვითაო,

სცენარისტობა ვითავე, დრამატურგი ვარ ვითაო,

ღვინოს შევსვამ და დაგლოცავ ნათქვამით გულის გზითაო.

ლაშა – მელექსეც ყოფილხარ. გმადლობთ, რომ მოხვედი, ირაკლი. აქ ჩემი ოჯახია, ჩვენი თეატრის დასი.

ლალი – გამარჯობათ, ბატონო ირაკლი, თავი მოგვანატრეთ.

ლაშა – ირაკლი, ბიჭო, ფრთხილად იყავი, ნასვამი ქალი და თანაც მსახიობი გორგონაზე უკეთ აქვავებს კაცს.

ბარში სამხრეთ ამერიკული მუსიკა ქუხდა. ინგა მოწყვეტით ჩამოეკიდა კისერზე ჯერაც გონზემოუსვლელ მწერალს.

ინგა – შენთვის ვიცეკვებ, ო რაინდო, ველურ ჰანგებზე

და ამ ცხოვრების სიგიჟე მსურს შევიგრძნო მე შენს ბაგეზე...

ლაშა (ყვირილით) – ფრთხილად, ირაკლიიიი.

ლაშა ხარხარებდა.

დიჯეიმ ახლა ბოშური მუსიკა ჩაანაცვლა. ბარის იატაკზე ერთმანეთის მიყოლებით ცვიოდა მოსასხამები, პიჯაკები...

ირაკლიმ მზერა ნატოზე გადაიტანა. თეთრი, მაღალი და მკერდსავსე. ქალს თმა გაეშალა, ჰარმონიულად და ვნების აღმძვრელად ირწეოდა ნატოს სხეული.

ირაკლი – ნატო, გამარჯობა.

მუსიკის ჰანგებს აყოლილმა ნატომ მკლავი კისერზე მოხვია ირაკლის და მის მკლავზე გადაწვა. სწრაფადვე გასწორდა, ორივე ხელი ლოყებზე ჩამოუსვა პარტნიორს და მკერდის ჰარმონიული რხევით დაშორდა ირაკლის. ნატო სხვა მოცეკვავეებს შეერია. ირაკლი მარტო დარჩა.

ინგა – ირაკლი, გამომართვი ეს სასმისი. მიირთვი, ჩემო შთაგონებავ. ამ სითხის გარეშე გაგიჭირდებათ რაინდო.

ირაკლიმ ლუდით სავსე კათხა გამოართვა, არყის სუნი ასდიოდა ლუდს. სულმოუთქმელად გამოსცალა სასმისი მწერალმა. შემდეგ ბარისკენ მიბრუნდა, ბარმენს არაყი სთხოვა, რამდენიმე სირჩა ზედიზედ გამოსცალა. ირაკლი დათვრა. დიჯეიმ ესპანური მუსიკით ახალი „ცეცხლი"დაანთო დარბაზში. ირაკლი მოცეკვავეთა ჯგუფს შეუერთდა.

მუსიკას მუსიკა სცვლიდა. რამდენჯერაც მიუახლოვდა ირაკლი ნატოს, იმდენჯერ ხელიდან უსხლტდებოდა ასული. მაინც მოიხელთა ხელში დრამატურგმა მსახიობი. კისერზე ჩამოეკიდა ნატო ირაკლის. შემდეგ თითის წვერებზე აიწია, თავი ძალუმად გაიქნია და გიშერივით შავი თმა ირაკლის სახეზე შემოაფინა. მკერდიც თმამ დაუფარა ნატოს, შემდეგ თავის მოდრეკა აიძულა პარტნიორს და ჰარმონიულად მთრთოლვარე მკერდი სახესთან მიუტანა ირაკლის. ახლა მუხლებზე დაეშვა მოცეკვავე, ირაკლის ხელს ტუჩებით შეეხო და ქვევიდან ახედა გაოგნებულ მწერალს. ირაკლი გაქვავებული შესცქეროდა მსახიობს. შემდეგ ნელა წამოდგა, ესპანურ ჰანგებს აყოლილი, ცეკვას არ სწყვეტდა ქალი. ტუჩები ყურთან მიუტანა ირაკლის და ვნებიანად ჩასჩურჩულა.

ნატო – მიყვარხარ, ირაკლი.

ნაზად ეამბორა ლოყაზე ირაკლის და მოცეკვავეთა გუნდს შეუერთდა.

ნატომ ფეხის მსუბუქი მოძრაობით შეაღო ირაკლის სახლის კარი, შემდეგ მობრუნდა, ირაკლის კისერზე ჩამოეკიდა და მის ტუჩებს დაეწაფა.

დილის რვა საათზე გაეღვიძა ნატოს. იქვე სკამზე გადაკიდებული ხალათი მოისხა და სამზარეულოში გავიდა. ჩაიდანი გაზზე შემოდგა, შემდეგ ორი ლამაზი ფინჯანი ამოარჩია კარადაში. ყავა და შაქარი ჩაყარა. მაცივრის კარი გამოაღო, თეფშზე დადებული ნამცხვარი გამოიღო, დაჭრა და ორი ნაჭერი ცალ-ცალკე თეფშებზე დაალაგა. საქმეს რომ მორჩა, ჩაიდნის ადუღებას დაუწყო ლოდინი. ნატო საძინებელში დაბრუნდა.

ირაკლი – როგორ გეძინა?

ნატო – ყავა აქ მოგიტანო თუუუ?

ირაკლი – მოდი, ჩამეხუტე.

ნატო – ყავა გაგიცივდება, შემოგევლე.

ირაკლი – არა უშავს, მე მაინც ცივი ყავა მიყვარს.

ნატო – კარგი, აქ მოგიტან.

ირაკლი – გამირბიხარ?

ნატო – რაც შენ წუხელი დღე მაყარე, ფანჯრიდან რომ არ ვხტები, არ გიკვირს?

ირაკლიმ გადაიხარხარა.

ირაკლი – ნატო, ეხლა მე აბაზანაში შევალ და მერე ვიჭიპხახუნოთ. მოსულა, ჯიგარო?

ნატო – კარგი, ოღონდ დროზე.

ირაკლი სააბაზანოსკენ ცუნცულით წავიდა. ნატო ჩაცმას შეუდგა, შემდეგ საწოლი აალაგა. ირაკლი სააბაზანოდან გამოვიდა. ტანზე ზეწარი ჰქონდა შემოხვეული მწერალს.

ირაკლი – ნატო, სად ხარ?

ნატო – სამზარეულოში.

ირაკლი სამზარეულოში შევიდა.

ირაკლი – ჩაგიცვამს. წასასვლელად ემზადები?

ნატო – ხო.

ირაკლი – კი მაგრამ, სად გეჩქარება?

ნატო – იცი, ირაკლი, მე იმ საძინებელში არ უნდა ვყოფილიყავი, იცი, ეს... როგორ აგიხსნა?

ირაკლი – ეკა აქ აღარ დაბრუნდება.

ნატო –შენ შეიშალე?

ირაკლი – არა. ის წავიდა სახლიდან. ქალი, რომელიც ოჯახს ტოვებს, უკან არ ბრუნდება.

ნატო – რიტორიკის დრო არ არის. მე ვარ იდიოტი, მეც გნახე, რა�ა.

ირაკლი – რას ნიშნავს „მნახე რაა"? ჩემზე უკეთესთან დაწვებოდი, თუ ჩემზე უკეთესად გიხმარდა ვინმე?

ნატო – ირაკლი, მე მესმის, მე ხომ შენი საყვარელი ვარ, ან უფრო სწორად, წუთიერი გართობის საგანი...

ირაკლი – აღვრთოვანებული ვარ თქვენი მიხვედრილობით.

ნატო – საერთოდ საყვარლებს ფულს ჩუქნიან ხოლმე, ასე ვთქვათ, ასპონსორებენ.

ირაკლი – ფულს მთხოვ?

ნატომ ხელჩანთა  გახსნა და საფულე ამოიღო.

ნატო – არა, ირაკლი, წუხანდელი ღამით მე კარგად ვისიამოვნე, სიმართლეს გეუბნები და მომსახურებისთვის 100 ლარით გაჯილდოვებ. „ტაკ დერჟატ ჟერებეც".

ნატომ ასლარიანი კუპიურა ხელში დაჭმუჭნა და ირაკლის სახეში ესროლა. შემდეგ სწრაფად მიტრიალდა, საძინებლიდან გავიდა  და კარი გაიჯახუნა. ირაკლი გიჟივით წამოვარდა ლოგინიდან და ნატოს ყვირილით გამოედევნა.

ირაკლი – სად გარბიხარ, შე ძუკნა.

ნატო სადარბაზოს კიბეებზე ჩარბოდა. ზეწარშემოხვეული ირაკლი აივანზე გავარდა და ნატოს დაუძახა. ნატო ნაზად მობრუნდა, კეკლუცად გაიღიმა, ირაკლის ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა და ხმამაღლა დაუძახა „ამაღამ ჩაგეხუტები, ჩემო ძვირფასო".  ნატომ ტაქსი გააჩერა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. აივანზე გამოსულმა ირაკლიმ ახლაღა შენიშნა თვალმოსეირე მეზობლები. უახლოეს აივანზე გადმოყუდებულ მეზობელს ღამენების უსურვა. სახლში შემოსულ მწერალს მეზობლების მოკრძალებული სიცილი დაედევნა. ირაკლი გულაღმა დაეცა ლოგინზე და საკუთარ თავთან დაიწყო საუბარი.

ირაკლი – ნატო, შენი ბოზი დედა... არ გამაბანძა უბანში? ეკას, ალბათ, უკვე მოახსენებდნენ.  ნატო შე ძუკნა... არა

რაა, მე ვარ იდიოტი, სახლში რამ მომაყვანინა ეს ჩემისა? „ლაურაზე" უარესია ეს დამპალი.

## დღე მე-5

დილის 10 საათი. რეკავს ტელეფონი. ნამძინარევი ირაკლი მძიმედ დასწვდა ყურმილს.

ირაკლი – გისმენთ... როგორ ხარ, ეკა? ბავშვი როგორ არის?.. ეკა, მომისმინე... გოგო, ნუ მაყვირებ, ერთი წუთით მომისმინე... ხოდა, შენი დედაც...

ირაკლიმ ყურმილი დაახეთქა.

ირაკლი ( თავისთვის) – მოუხსენებიათ უკვე წუხანდელი...

ახლა სიგარეტს დაუწყო ძებნა და ცარიელი კოლოფი შერჩა ხელში.

ტელეფონმა ისევ დარეკა. ირაკლიმ ყურმილი აიღო.

ირაკლი – გისმენთ... ხო, ლაშა, დილა მშვიდობის... ვისი ნიშნობა?.. ხვალ?.. კაი, რას მეკაიფები... მითხარი ვინ არის?.. კაი სიურპრიზია, მე და ჩემმა ღმერთმა... ზეგ, როგორც შევთანხმდით... მაინც არ მეტყვი ვისი ნიშნობაა?.. კარგი, ეგრე იყოს... დღეს მოვიდე თეატრში?.. აბა, შეხვედრამდე.

ირაკლიმ ყურმილი დაკიდა.

ირაკლი (თავისთვის) – ის ძუკნაც იქ იქნება. კაიფობ, მაყუთი გადამიხადა! არ გამომიყვანა ინტელექტუალური ვიბრატორი? მე ვარ იდიოტი და ვის რა დავაბრალო?

სცენაზე მსახიობები რეპეტიციას გადიოდნენ. ირაკლი მშვიდი ნაბიჯით ავიდა სცენაზე.

ირაკლი – გამარჯობა.

ლაშა – გაგიმარჯოს.

ირაკლი – მოგწონს პიესა?

ლაშა – ამ ნაწყვეტების კვალობაზე ძალიან მაგარია. ერთად როდის მომართმევ ამ მარგალიტთა კრებულს?

ირაკლი – ზეგ მზად იქნება, როგორც შევთანხმდით, ისე იქნება ყველაფერი.

ლაშა – ლაურას თავს რატომ აკვლევინებ?

ირაკლი – მას სხვა გამოსავალი არ აქვს.

ლაშა – „ლაურას” თითმკვლელობის სცენა რთულია, ამას ნატო ვერ გაქაჩავს, გაუჭირდება.

საუბარში ნატო ჩაერთო.

ნატო – გავქაჩავ, ლაშა, მერწმუნე. არაფერი შეცვალოთ. მე ამ როლს სრული...

ლაშა – შენ რა, ყურს მიგდებდი? ამხელა ემოციის გადატანა სცენაზე გაგიჭირდება.

ნატო მიუახლობდა ლაშას და ირაკლის.

ნატო – ლაშა, ბატონო ირაკლი, არაფერი შეცვალოთ სცენარში, მე „ლაურას” გავქაჩავ.

ირაკლი (დამცინავად) – ვნახოთ, „ლაურა”.

ნატო – ხო, მე „ლაურა” ვარ, „ლაურას” უყვარს უმცროსი და და სძულს საკუთარი თავი, „ლაურას” უყვარს სიცოცხლე, ის ცხოვრობს, როგორც პიროვნება და არა არსებობს, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი...

ლაშა (მკაცრად) – ნატო, გვაცადე საუბარი.

ნატო – ლაშა, გთხოვ, ნუ მეჩხუბები...

ლაშა – ხო, კარგი, ნუ მებუტები, შევრიგდით?

ირაკლი – ნატო, თითქოს პრემიერას შენი მომავალი მეუღლე უნდა დაესწროს, ხომ არ ვცდები?

ლაშა – მართალი ხარ. მე ნატოს ყველა სპექტაკლს დავესწრები.

ირაკლი შეცბა.

ირაკლი – თუ სწორად გავიგე, შენ და ნატო დაოჯახებას აპირებთ?

ნატო (ამაყად) – და რა არის ამაში გასაკვირი, ბატონო ირაკლი, თუ მსახიობს და რეჟისორს ერთმანეთი უყვართ?

ირაკლი (დაბნეულად) – არა, არაფერი, უბრალოდ მოულოდნელი იყო ჩემთვის, გილოცავთ.

ლაშა – ირაკლი, ძალიან არაადეკვატური იყო შენი რეაქცია, არის რაიმე ისეთი, რაც მე არ ვიცი?

ნატო ლაღი ღიმილით შეჰყურებდა ირაკლის.

ნატო – მე გეტყვი, ლაშა. ბატონ ირაკლისთვის მიუღებელია ჩემი და ქალბატონი ეკას დაახლოება. მე მას მეჯვარეობა ვთხოვე. ლაშა ამბობს, რომ ჩემს სიცანცარეს საზღვარი

არ აქვს, მაგრამ მირონით განმტკიცებული ძმაკაცობა ერთ რამედ ღირს. (შემდეგ მორიდებით შეხედა ლაშას) ბოდიში, ლაშა...

აცრემლებულმა ნატომ გაოგნებული მამაკაცები დატოვა და კულისებისკენ გაემართა.

ლაშა – ირაკლი, მე მეგონა, ჩემი და ნატოს ამბავი გაგეხარდებოდა.

ირაკლი – ბიჭო, კი არ მიხარია, ბედნიერი ვარ, მაგრამ ახლა ისეთ დღეში ვარ, ხეზე რომ ავიდე ძირს არაფერი დამრჩება, თანაც მე და ეკა წავკინკლავდით და...

ლაშა – ეკა აქ არის, ნატოსთან, საგრიმიოროში. ის ცალკე ტირის და შენ ცალკე იღრინები. (დაეჭვებით) მხოლოდ ეგ არის ჩემი და ნატოს შეუღლებასთან დაკავშირებული შენი რეაქცია?

ირაკლი – იცი რას ნიშნავს ჯიბეში კაპიკი რომ არ გიგდია? ცოტა ადრე გეთქვა მაინც. ქორწილს როდის აპირებთ?

ლაშა (დუნედ) – ვნახოთ.

ირაკლი – რა იყო, რას მებუტები? იცი რას ნიშნავს, ოჯახი რომ გენგრევა?

ლაშა – ეგ რა შუაშია?

ირაკლი – ეკა რამდენიმე დღეა სახლიდან წავიდა, გამშორდა და ეხლა ჩემი ძმაკაცის მეუღლის მეჯვარედ უნდა მომევლინოს.

ლაშა – ირაკლი ბოლომდე სიმართლეს მეუბნები?

ირაკლი – კიდევ რას მთხოვ?

ლაშა – პიესას.

ირაკლი – ხვალ ჩაგაბარებ შენს პიესას.

ლაშა – ეკა გელოდება, წავიდეთ.

ირაკლი (ბრაზით) – არა. ჩემი ოჯახის საქმეებში ნუ ჩაერევი. მე და ეკა თვითონ გავარკვევთ ურთიერთობას და თუ ჩვენ საბოლოოდ დავშორდით ერთმანეთს, მერწმუნე, მე შენს ოჯახში ფეხს არასოდეს დავადგამ.

ლაშა – ასე რთულადაა საქმე?

ირაკლი – ლაშა, კიდევ ერთხელ გთხოვ, ნუ ერევი ჩემი ოჯახის საქმეში. პიესას კი ხვალ ჩაგაბარებ. გასაგებია?

ლაშა – გასაგებია.

ირაკლი მდუმარედ შებრუნდა და გასასვლელისკენ გაემართა

დღე მე-6

დილა. ირაკლი საძინებლიდან გამოვიდა. გაიზმორა და სამზარეულოსკენ გაემართა. ჯერ მაცივარი გამოაღო, შემდეგ კარადა.

ირაკლი (თავისთვის) – ყავა გათავებულა, ჩაიც არ მაქვს, არც პური და რა დედიჩემის მივირთვა? თუ მამიჩემის დავაყოლო? ოხ ეკა, ეკა. შე მართლა იდიოტო, სად გინდა თქვა, რომ ჩემი ძმაკაცის ცოლი ჩემი საყვარელი იყო და ჩემი ცოლი კი მისი მეჯვარე? მე კი, ალბათ, თამადობა მომიწევს. ნატო, მართლა მაგარი ხარ. გენიოსი ხარ, შე ბოზო. ხმასაც, რომ ვერ ამოვიღებ. მერე ჩემს ოჯახის კეთილ ანგელოზად მოევლინები და მე და ეკას შეგვარიგებ. ჩემს პიესებში მთავარი როლი გარანტირებული გაქვს შენი მომავალი მეუღლის წყალობით და ახლა ვკითხულობ ვინ ვინ იხმარა, მე – ნატო თუ ნატომ – მე? სურათები უნდა დავწვა.

ირაკლი კაბინეტში შევიდა, უჯრა გამოაღო და სურათების კონვერტი აიღო. შიგნით სურათები აღარ იყო. კონვერტზე კი ლამაზი ასოებით ეწერა „დაივიწყე".

ირაკლი – (თავის თავთან განაგრძო საუბარი) –„დაივიწყე", შესანიშნავია, კი მაგრამ, ჩემი საყვარელი იყო, ჩემი ძმაკაცის ცოლი ხდება, ჩემი ცოლი ჩემი საყვარლის მეჯვარე იქნება, და... და (ყვირილით) ნატო შენი დედა... ლაშას ვერ ვეტყვი, ან რა ვუთხრა? შენი საცოლე ჩემი საყვარელი იყო-მეთქი? მერე ჭორი აგორდება, ირაკლი ვეზირიშვილმა ძმაკაცს ცოლი შეუცდინაო. რა ვქნა? არა და, რა ვნებიანია ნატო. სახლი როგორ დაალაგა ტოო, ორ წუთში ბზინავდა ყველაფერი. შარვლებიც დამიუთოვა... ეკა ნახევრად დაჭმუჭნულს... ვაი თაო... მოიცა, ხომ შეიძლება ეკა შურისძიების გამო სხვასთან დაწოლილიყო? მერე? რა მერე? ესე იგი შეიძლება რქიანი ვარ? მოიცა, მოიცა, მგონი გაუბერე, ეკა ხომ ფეხმძიმედაა. აუუუ, მგონი გაუბერე.

ტელეფონმა დარეკა. ირაკლიმ სწრაფად აიღო ყურმილი.

ირაკლი – გისმენთ... გამარჯობა, ეკა... ეკა, გეხვეწები, ყურმილი არ დამიდო, მელაპარაკე გოგო... რა ზომა პამპერსი?.. კარგი... ხო, შემოგევლე... ბავშვი როგორ არის?.. ენაცვალოს მამიკო... კარგი, რა მოგივიდა, როდის დამავიწყდით? არ გრცხვენია, მაგას რომ მეუბნები?.. ერთ საათში შენთან ვიქნები, დაგიძახებ და ჩამოდი... არა, არ ამოვალ... გკოცნით...

ირაკლიმ ყურმილი დადო.

ირაკლი (თავის თავს) – კი, მაგრამ ფული მაქვს?

ისევ ტელეფონს მისწვდა ირაკლი და რეკვა დაიწყო.

ირაკლი – ალო, ლაშა, მე ვარ... არა, ყველაფერი წესრიგშია. ლაშა, ერთი ასი ლარი არ გაქვს, რომ მასესხო?.. ხო, პამპერსი მაქვს საყიდელი და ფული არა მაქვს... არა, მე ავუტან, ნატოს ნუ შეაწუხებ... ნუ აწვალებ გოგოს... ხო, მგონი ვრიგდებით... მოვდივარ, იცი, რა მინდა გთხოვო, ნატოს ნუ ეტყვი რომ ფული მასესხე, კარგი?.. ხო, უხერხულია... მოვდივარ, ძმაო...

ირაკლიმ ყურმილი დადო და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო, მერე სარკესთან მივიდა, საკუთარ თავს დააკვირდა. „ოხ შენი ასოითი...” მიმართა საკუთარ ანარეკლს.

დღე მეშვიდე

ლაშა – ირაკლი, ყველაფერს ველოდი, მაგრამ ასეთ პიესას კი არა. ალბათ, ეს ნაწარმოები ვინმე დიდმა რეჟისორმა უნდა დადგას. პირველად შემეპარა ეჭვი ჩემს შესაძლებლობებში და მინდა გითხრა, რომ...

ირაკლი – რეპეტიციებს როდის იწყებ, მაესტრო?

ლაშა – ხვალიდან.

ირაკლი – მე შეიძლება, რომ დავესწრო?

ლაშა – ბუნებრივია.

ირაკლი – იცი, მე პირველად უნდა დავესწრო რეპეტიციას და საერთოდ, არასოდეს მინახავს, როგორ იქმნება სპექტაკლი. ლაშა, დარბაზის ბოლო რიგში დავჯდები და იქიდან ვუყურებ, როგორ აცოცხლებ ჩემს გმირებს...

ლაშა – ნერვიულობ?

ირაკლი –ხო, თანაც ძალიან.

ლაშა – მსახიობებს როლები უკვე გავუნაწილე. ეხლა ყველა თავის როლს სწავლობს. ირაკლი, დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

ირაკლი – ხვალამდე, მაესტრო. თქვენის ნებართვით, ყველა რეპეტიციას ვესწრები.

ლაშა – რის ნებართვას ითხოვ? ამ ბოლო დროს ისე იქცევი, რომ ვერ გცნობ, ირაკლი. არის რაიმე ისეთი, მე რომ არ ვიცი?

ირაკლი – თანაც ძალიან ბევრი. მე და ეკა ვრიგდებით, დღეს ბავშვის ნივთები გადმოვიტანე , ბაზარშიც ვიყავი. ეტყობა ნატომ მოიყვანა ჭკუაზე ეს ჩემი ცოდვით სავსე ჩემი ცოლი. იცი, როგორ ვღელავ სანამ სახლში მივალ? ასე მგონია, ვიღაც სხვა ქალს უნდა შევხვდე და არა ჩემს ცოლს. ეს შობელძაღლი ჩემი სიდედრი კი ქადაგად არის დავარდნილი და ჩემი ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებს... ეჰ, წავედი, წავედი. აბა, ხვალამდე, ძმაო.

ლაშა – ხვალამდე, ბატონო დრამატურგო, იცოდე რეპეტიციებზე არ ამირიო. შევთანხმდით?

ირაკლი – ხო, რასაკვირველია, „დრამატურგი კარგია, როცა მკვდარია", ასეა, არა?

ლაშა (ღიმილით) – დაახლოებით.

ირაკლი დარბაზიდან გავიდა.

პრემიერა (ბოლო სცენა)

ორად გაყოფილ სცენას, მთელ სიგრძეზე ნახევრად გამჭირვალე ფარდა ჰყოფდა. ფარდის მიღმა ქეთის ჯვრისწერის სცენა მიმდინარეობდა. დაბალ ხმაზე სუფრული სიმღერა „ვისია, ვისია ქალი ლამაზი" ისმოდა. სცენის წინა ნაწილში ლაურას მონოლოგი მიმდინარეობდა. მხოლოდ ერთი შანდალის სამი სანთელი ანათებდა სცენას. ფეხშიშველი, თმაგაწეწილი და თეთრ, გრძელ პერანგში გამოწყობილი იდგა ლაურა. ლაურა ტიროდა.

ლაურა – ღმერთო, შემინდე ეს ცოდვაც. მე ხომ აღსარებაც არასდროს მითქვამს და არც მარხვა დამიცავს ოდესმე. არა-

სოდეს მიცხოვრია შენს მიერ დაკანონებული წესით. ლუკმა-პური გვაკლდა მე და ჩემს დას. მე ხომ მხოლოდ თოთხმეტი წლის ვიყავი, როცა დავობლდით. ყველამ რაღაცა წაგვგლიჯა, მერე წასაგლეჯი რომ აღარაფერი დაგვრჩა, უბრალოდ დაგვივიწყეს. ჩვენ მარტონი დავრჩით. (ლაურამ კელაპტარი აანთო და ხელში, როგორც მლოცველს, ისე ეჭირა) პური ჩვენი არსობისა ჩემი სხეული გახდა, ღმერთო. შეხედე, ჩემი და დღეს ბედნიერია, ჩემი ნათესავები, ალბათ, მაძაგებენ ჩემი „მივლინების" გამო (ლაურამ მწარედ ჩაიცინა) ხო, მე შენს სამსჯავროზე უნდა წარვსდგე. (ლაურამ იატაკიდან პატარა ტომსიკა აიღო და პირი გაუხსნა) აი,შეხედე, უფალო, აი ეს ნაცარი... ეს ნაცარი ერთ დროს ჩემი სურათები იყო, ჩემს არსებობასაც მალე დაივიწყებენ. იცი, მე მეშინია შენი სამსჯავროსი, მე სიკვდილის მეშინია. განა ჯოჯოხეთი იმაზე უარესია, რაც ჩემი ცხოვრება იყო? (ლაურამ მუხლი მოიყარა) გთხოვ, არ დატოვო ჩემი და მარტო, უბოძე ჭეშმარიტი სიყვარული და დედობა. მე თუნდაც დავავიწყდე, არ ვჩივი, ოღონდ ის იყოს კარგად. დედა, მაპატიე, ჩემო დედიკო, შემინდე (ლაურა კიოდა). მამა! შენ ხომ ქართველ ქალად მზრდიდი და ნახე, რა დარჩა შენი საამაყო შვილისგან. მე ბოზი ვარ (ლაურამ პერანგი შემოიხია, მოშიშვლებული მკერდიდან ნათლობის ჯვარი გადმოვარდა). აი, ჩემი ჯვარცმა (ჩურჩულით წარმოთქვა ლაურამ, გაზქურისკენ გაემართა, ყველა ონკანი გააღო, მაგიდაზე დაყრილი აბები აიღო და წნარი ხმით განაგრძო საუბარი საკუთარ თავთან)

– დედა ეს ძილის წამლებია, მე ტახტზე დავწვები, სანთელსაც აქვე დავიდგამ...

ლაურამ ტანზე ბენზინი გადაისხა. ტახტზეც და იატაკზეც ბენზინის გუბე დააყენა.

– გაზი იფეთქებს, აქ ყველაფერს გაანადგურებს და მეც ფერფლად ვიქცევი (მეძავმა გარშემო მიმოიხედა დაბინდული თვალებით და განაგრძო საკუთარ თავთან საუბარი) მე მეძინებაააა... გახსოვს, ჩემო დაიკო, ბაღში რომ მიმყავდი და გეტრები უკუღმა ჩაგაცვიიი? გახსოვს, ბაფთების შეკვრა რომ გასწავლე? ღამე იავნანას რომ გიმღეროდი, გახსოვს?

ლაურა ტახტზე შეხტა, შეშინებულმა მიმოიხედა.

– მეშინია (ლაურა კანკალებდა). დედა, მეშინია! ღმერთო, შემინდე!

მოწყვეტით დაეცა ტახტზე მეძავი. გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა და ცეცხლის ფარდა აღიმართა სცენაზე.

სცენის სიღრმეში შუა გამყოფი ფარდა ძირს დაეშვა, ნეფე-დედოფლის მხიარული მაყრიონი მღეროდა.

სპექტაკლი შედგა.

# იოთამი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ლამაზი სოფელი. სოფლის მკვიდრთ ერთი განსაკუთრებული წესი ჰქონდათ, ყველა ეზო-ში, გარდა ხეხილისა, აუცილებლად უნდა დაერგოთ კაკალი, მუხა და ნაძვი. ვერავინ იტყვის რატომ მაინცდამაინც ეს სამი ხე, მაგრამ მამაპაპურ ტრადიციას არავინ ღალატობდა. ყოველი ახალი მოსახლე, სანამ სახლის შენებას დაიწყებდა, ჯერ ნერგებს რგავდა, შემდეგ მეზობლები გადმოვიდოდნენ, ნერგებს გარშემო დაუვლიდნენ და საკუთარი ოჯახებიდან მოტანილი ღვინით ოჯახის დამკვიდრებას ადღეგრძელებდნენ. ამ რიტუალს ფესვკურთხევას ეძახდნენ. ჩვენს სოფელს კი ქვისუბანი ერქვა.

სტუმართმოყვარეობით განთქმული იყო ქვისუბანი. იმ მხარეში ბევრს სატრაბახოდ ჰქონდა „ქვისუბანში ნათესავი ან მოკეთე მყავსო“, ქორწილიც განსაკუთრებული ტრადიციისამებრ მიმდინარეობდა. ნიშნობისას საპატარძლო ქოთნით ყვავილს გადასცემდა საქმროს, აქაოდა „ყვავილი ვარ, სურნელოვანი და ტანკენარი, მომიფრთხილდი და ნუ დამაჭკნობო“. სასიძო თავის მხრივ საპატარძლოს მანდილს, ბეჭედს და ხატს ჩუქნიდა „ოჯახის ქალი მანდილის სიბრძნის, ერთგულების და სიწმინდის მაგალითი უნდა იყოსო“. კიდევ სხვაც ბევრი ლამაზი წესი ჰქონდათ ქვისუბნელებს. სიცოცხლე ჩქეფდა სოფელში, მაგრამ ერთხელაც...

მშვენიერი საღამო იდგა, თბილი, მთვარეც არ იშურებდა სხივებს და უხვად ანათებდა სოფლის ეზოებს. დიდ მოედანზე ხალხი შეკრებილიყო, ახალგაზრდობა ერთობოდა, ზოგი მღეროდა, მავანნი ცეკვავდნენ, ზოგიც თავის გულის სწორს ჩუმად ემიჯნურებოდა, ბალღებიც არ იყვნენ გულხელდაკრეფილნი და ერთი ჟრიამული ჰქონდათ ატეხილი, ლაპარაკს არ აცლიდნენ უფროსებს. ბრძენკაცნი მოედნის კიდეში ასწლოვანი მუხების ქვეშ ისხდნენ და სოფლის საკითხებზე მსჯელობდნენ. აქეთ კი ქალთა მარაქა შეკრებილიყო. ო, ტა-ტა-ტა... აბა იქა ხდებოდა, რაც ხდებოდა.

იმ საღამოსაც ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, როგორც

ყოველთვის, მაგრამ უცბად ცა ჩამობნელდა, ზაფხულის ღამეს თოვლნარევმა ქარმა დაბერა, ვერ გაეგოთ ქვისუბნელებს, რა ხდებოდა. შეშინებული ხალხი ზეცას შეჰყურებდა, სეტყვაც დაიწყო. ატყდა ერთი ალიაქოთი, ვინ საით გარბოდა, იდგა ერთი გნიასი, მოედანი დაიცალა, მხოლოდ მუხებთან სოფლის მოძღვარი მამა წყალობა და იმ მხარეში გათქმული ფალავანი – იოთამი იდგნენ. მამა წყალობას ჯვარი აღემართა და ჩუმად ბუტბუტებდა ლოცვას. უცბად მოედანზე ცხენებშებმული ეტლი შემოსრიალდა, ელვასავით ანათებდნენ ცხენების თვალები, ფლოქვებით ძალუმად სცემდნენ მიწას. შავი ეტლიდან უცნაური ხმა მოისმოდა, თითქოს ვიღაც ტიროდა, ზოგი კვნესოდა, ზოგი იცინოდა, ვერ გაეგოთ ვერც მამა წყალობას და ვერც იოთამს, საიდან გაჩნდა ეს ეტლი მათ სოფელში, არც მსგავსი სილამაზის ეტლი ენახათ მრავლისმნახველ მოძღვარს და ფალავანს. ეტლის კარი მძიმედ გაიღო, წვეროსანი, მგლისთავიანი და ადამიანისტანიანი არსება გადმოვიდა. ძალგულოვანი ჩანდა დაუპატიჟებელი სტუმარი. არც კადნიერება აკლდა მოსულს. მამა წყალობამ მიმართა პირველმა.

– ვინა ბრძანდებით, შვილო ჩემო?

მგლისთავამ ნაბადი მოიშორა. ხმლის ვადაზე დაიდო ხელი. საუბრის დაწყებას არ ჩქარობდა აბჯროსანი. ახლა იოთამმა ჰკითხა სადაურობა და ტყიურის ხრიალით გასცა პასუხი უსტუმრებელმა. ისევ გამოანათა მთვარემ. ქარიც ჩადგა, ისევ დათბა ქვეყანაზე. იქვე მიმომალულმა ქვისუბნელებმაც წამოყვეს თავები. მდუმარედ, შიშნეული თვალებით შეჰყურებდნენ მოსულს.

მგლისთავამ გარშემომყოფთ თვალი მოავლო და ხალისიანად ალა-პარაკდა:

– პატიებას გთხოვთ, თანასოფლელებო. ბოდიში მინდა მოგიხადოთ უდროო დროს სტუმრობისათვის.

მამა წყალობამ შეჰკადრა მოსულს.

– სტუმარი ღვთისაა, შვილო ჩემო. ვინაობა გვიბრძანეთ თქვენი.

ახლადა დააკვირდნენ მამა წყალობა და იოთამი მოსულს, მათ წინაშე მშვენიერი ვაჟკაცი იდგა პირმცინარე.

— კაჟციხის ბატონი გახლავართ, ბატონებო. ეტყობა სიბნელეში გზა ამერია.

— კაჟციხე სოფლის თავთან არის, სასაფლაოებს გადაღმა. — მიუგო იოთამმა, — მაგრამ იქაურობა დიდი ხნის წინ გავერანდა. ამბობდნენ ბოროტი ძალა ბუდობსო შიგ.

— სცდებით, იოთამ ბატონო — ღიმილით მიუგო აბჯროსანმა

— ჩემი ვინაობა საიდან იცით? — გაუკვირდა იოთამს.

— შენი სახელი მე კი არა, მთელმა ამ მხარემ იცის, შარშან გნახე დღესასწაულზე. ბოდიშს მოგიხდით კიდევ ერთხელ, ჩემს საუფლოში მიმეჩქარება.

ეს სთქვა უსტუმრებელმა და ეტლში ჩაჯდა. ნელი სვლით გაემართა ეტლი სასაფლაოსკენ, კაჟციხის ნანგრევების მიმართულებით.

— მამა-პაპისგან გამიგონია, კაჟციხის პატრონი კაც-მგელი იყოო, — დუნედ ალაპარაკდა იოთამი — ადამიანთა სისხლით იკვებებოდაო, ასე ამბობს ლეგენდა.

— მართალი ხარ, იოთამ, შვილო. მძიმე დღეები შეიძლება დაუდგეს ჩვენს სოფელს. ღმერთო, გვიშველე, ნასოფლარად არ გადააქციო ქვისუბანი — ცას შეჰღაღადა მამა წყალობამ.

— თანასოფლელებო, ნურაფრის გეშინიათ. გზააბნეული მგზავრი იყო მხოლოდ. — ომახიანად მიმართა იოთამმა ხალხს.

ეს თქვა იოთამმა და თავისი ქოხისკენ გასწია. „პაპაჩემისგან მსმენია, სამი ძელის ძალისა ეშინიათო მგელკაცებს, იქნებ კაკალი, მუხა და ნაძვი? მაგრამ რას ნიშნავს ეს სამეული ან როგორ შეიძლება გამოიყენოს იგი კაცმა?” — ფიქრობდა იოთამი.

მამა წყალობაც გულამღვრეული დაბრუნდა ეკლესიაში. ხატის წინ სამი სანთელი აანთო, ჩუმი ლოცვა თქვა, მსახურება რომ მოათავა, საკურთხეველთან ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა. „მამაჩემ ლაზარესგან მსმენია, „მონასტრის კედელზეაო გამოხატული მგელკაცთან რკენა. იქვე იხილავო მისი მოშთობის ხერხსაც“, ესე იგი, სადღაც აქ არის ეს ფრესკა. მალე მაინც გათენდებოდეს“ — ინატრა მოძღვარმა.

დილის პირველი სხივები შემოიჭრნენ ტაძარში. ნელ-ნელა

სინათლემ გაავსო დარბაზი.

ფიქრიდან გამოერკვა წმინდა მამა. მძიმედ წამოდგა ღამენათევი. მონასტრის კარი გააღო, ეზოში გამოვიდა და სამრეკლოსკენ გაემართა. თავაუღებლად მისწვდა საბელს და ძალუმად მოქაჩა ხნემორეული ხელებით. მხოლოდ საბლებიღა შერჩა ხელთ მამაოს, – ზარები სამრეკლოდან გამქრალიყვნენ.

ელდა ეცა მხცოვან მოძღვარს. დილის ლოცვისათვის გამზადებულიყო ხალხი. წესი ამბობდა, ზართა ხმობისას უნდა დაძრულიყვნენ მონასტრისკენ დილის ლოცვისთვის. ჟამი მოწეული იყო ღვთისვედრებისა, მაგრამ ზარის ხმა არ ისმოდა ჯერაც. ეჭვდარეულები დაიძრნენ ქვისუბნელები მონასტრისაკენ. მრევლმა ტაძრის ეზოში გონწართმეული მამა წყალობა შენიშნა, გულადმა გართხმულიყო ხასხასა მინდორზე. ზარები აღარ ეკიდნენ სამრეკლოზე. შეშინებული იცქირებოდა ხალხი ტაძრის ეზოში და შესვლა ვერ გაებედათ სულიერთ. იოთამი გამოეყო ხალხს, თითქმის სირბილით მიუახლოვდა მოძღვარს.

– მამაო, რა დაგმართნია, ავადობამ ხომ არ დაგრია ხელი?

რუდუნებით წამოაყენა მოხუცი და იქვე, საფლავის ქვაზე დასვა ჯერაც აზრდაკარგული.

– ზარები, წმინდა ზარები მოიპარეს იოთამ, შვილო, – ძლივს ამეტყველდ-ნენ მოძღვრის ბაგენი – განსაცდელისათვის მოვემზადოთ. ძლიერი არის უკეთური, რადგან ტაძრის ეზოში შემოჰბედა ფეხის დადგმა და ზართა პყრობა.

– ვიპოვით ზარებს, მამაო, მრავალი მტერი დაგვიმარცხებია, მათაც მოვაშთობთ – ამხნევებდა იოთამი მოძღვარს.

– წამომაყენე, იოთამ, შვილო. ცისკრის ლოცვის ჟამი გადავიდა, მაგრამ გულით ნავედრს შეისმენს მაინც უფალი, წამომაყენე შვილო, მომეცი მხარი.

მუხლი გამართა სოფლის მოძღვარმა, მონასტერში იხმო თავისი მრევლი.

შუა ლოცვისას იოთამს გვერდში ამოუდგა თანასოფლელი გედია მენახირე და ჩუმად უჩურჩულა ძმადნაფიცს.

– გარეთ გავიდეთ, იოთამ, საქმე მაქვს გადაუდებელი.

— ჯერ წირვა ჩათავდეს, გედია, ძმაო, საქმე მოიცდის.

— ძროხები ვნახე დაგლეჯილი გომურში, წვეთი სისხლი არ აქცევია გარშემო, ისე აქვთ ყელი გამოღრღნილი სამივეს.

ცუდად ენიშნა იოთამს ეს ამბავი. პირჯვარი გადაიწერა და გამოჰყვა მენახირეს.

გომურში პირუტყვნი საწყლად ეყარნენ. ყელი გამოეღადრათ ცხოველებისთვის, სისხლის ნაკვალევიც არ სჩანდა გარშემო.

—სოფელს უნდა ვაცნობოთ, გედიავ, მამა წყალობას მოვუყვეთ ეს ამბავი. ვიჩქაროთ, ძმობილო.

წირვა მოთავებულიყო, ხალხი იშლებოდა, ტაძრის ეზოს ტოვებდნენ ქვისუბნელები.

— ხალხნო, შეჩერდით! — უცებ იჭექა გედიას ვაჟკაცურმა ხმამ. წვრილად აუწყა სოფელს მომხდარი. იარაღის აღება მოსთხოვა სოფლის ქუდოსნებს.

— მოიცათ, შვილებო. — ამეტყველდა უცებ მოძღვარი — ვის წინააღმდეგ იბრძვით, ის თუ იცით?

— მგლები შემოესივნენ, ალბათ, სოფელს — იყო პასუხი.

— ქალ-ბალღნი მონასტერს მიჰგვარეთ. მის კედლებში საკმაოა ბინები. თქვენ კი, იბერნო, ხმლები აიღეთ და უდარაჯეთ სოფელს. — რჩევად დასძინა მამა წყალობამ — იოთამ, გედიავ, ჩემთან მობრძანდით, შვილნო ჩემნო, სათათბიროდ.

სამნათეოში განმარტოვდნენ სამეულნი. ეტყობა უჭირდა საუბრის დაწყება მამაოს.

— მისმინეთ, შვილნო. მამისა ჩემისა მღვდელმთავარ ლაზარესგან გამიგონია, კაჟციხის პატრონი ავსულთან თანაზიარიაო, ყოვლად საცდუნებელი არისო მისი ქცევა. პირმშვენიერი ვაჟკაციაო მზის შუქზე, მთვარეულობას იქცევა მგლისთავად და  მგლადო. მაქციათა დიდთავადია, უძლეგიაო ბრძოლაში. მხოლოდ სამთა ხეთა საიდუმლო მოსპობსო მას. ეს საიდუმლო ამ ტაძრის კედელზეა აღწერილი და ვერ მივაგენი თავად, თქვენი იმედი მაქვს, შვილებო. რაც შეეხება სოფლის ქალებს და ბალღებს, ნურავინ იდარდებს, მათ ვერ მიეკარება მხეცი.

— კი, მაგრამ, ზარნი თუ იმსხვერპლა? ამაზე რას მეტყვი,

მოძღვარო?

— ჩემს სიტყვას ენდეთ. ახლა კი ამოვხსნათ ეს საიდ-უმლო.

მონასტრის კელიები გაივსო ბალღებით, ქალებითა და მოხუცებით. ქვისუბნელები იარაღდებოდნენ. ცხენკეთილობას და ხმლის სიბასრეს უმოწმებდნენ ერთმანეთს სოფლის რაინ-დები.

— აი აქ, აქ არის რკენა, გუმბათის ყელთან — ჩამოსძახა ქვემოთ მყოფთ ზემოდან გედიამ.

— რა სწერია ან რა ხატია მანდ, გედიავ? — გაეპასუხა იოთამი.

— გასანთლული გრაგნილიც დევს აქა, ჩამოვიტანო?

— იჩქარე, გედიავ, შვილო, იჩქარე — აღმოხდა მამა წყ-ალობას.

ტაბლაზე გაშალეს გრაგნილი. სანთელი მიუნათა იოთამმა მოძღვარს. მძიმედ დაიწყო კითხვა მოძღვარმა:

„რაითა ძლიერებითა უკეთურითა, სახიერებითა ტყიურითა ტანითა ადამიანისა, არს კაჟციხისა მეპატრონისა გვარისა ტიალ ნათესავნი, მგელკაცისა სახიერებითა და განსწავ-ლითა ბრძენთა სადარისა. არა ჰშინებდნენ არც მზისა და არც მთვარისა ჟამსა. არა ვნება აქვთ ადამიანისასა ხელითა, ვერც ხმალითა და ჰოროლითა, ვერც ისრითა იკოდვიან და ვერც ტყვიით განიგმირნონ. ღვთისა უშიშნი ღვთისა სახლსა გარეთ. საზრდოთა მათთა არს სისხლი სულიერისათა, ადა-მიანისა და ცხოველ-პირუტყვისა. ას კაცსა მეტ ღონის მქონი და მარდნი თვალისა სიმარდისა მეტნი.

არს ერთი ღონე, რაით შეიძლების მოშთობაი მგელკაცისა. იგი მოკვდინდება ახლად ნათლული მგელკაცისაგან. რამეთუ ადამიანი უნდა დაკბენილ იყოს ცხოვლისაგან ამისა რაითა იქცეს თითონვე გვამად მგელკაც, ძალითა და ძლიერებითა მისითა“.

— ეს რა მესმის, მამაო? — აღმოხდა იოთამს.

მოძღვარმა კითხვა განაგრძო:

„რაითა მოისპობის მგელკაცი, ახლად ქცეულმა თუ ნე-ბისა მისისა არა სურს რჩეს ცხოვლად და წყევლად მისისა გარდამქცევისა. ღამესა ახალის წლისასა, ვიდრე იწყებოდეს ღღე პირველი, საათთა თერთმეტსასა უნდა ჩაიდოს მუხის კუბოში, ნაკვეთსა მისივე ეზოში გაზრდილის ხისა, ქვეშე

იფინოს წიწვნი ნაძვისანი და ნაყოფნი ნაძვისანი, რაითა ვერ ისვენოს, სუდარად დაფენდეს ნაჭუჭნი კაკლისანი, მისის ეზოსეულნი და გვამს დაფლავს შუად სამ ხეთა შორის. ახალსა წელსა, ლოცვასა შემდგომად მოძღვარსა ადამს ძეთა ვითარც შობა, რაითა დაიკრძალოს“.

— კი მაგრამ, მამაო, ახალ წლამდე ძალიან შორია. მანამდე რა ვქნათ? — დაეკითხა გედია.

— უნდა ვითმინოთ. მომეცი, მეორე გრაგნილიც წავიკითხო. აქ რაღა სწერია?

„მგელკაც, კაუციხისა პატრონი მოექცეს კაცსა და პირუტყვის მსგავსად სახიერებისა მისისა. რაიც მეტ იქნებიან, იმძლავრენ სოფელსა ზედა, რაით არა გამრავლდნენ კაუციხესა. თავად ბჭეებთან, სამთა გალავანთა ახარონ ხენი კაკალი, მუხა და ნაძვი. სამი ბჭე აქვს ზღუდესა ციხისასა. სამხრეთისასა კაკალი, ჩრდილოეთისასა ნაძვი, დასავლეთისასა მუხა. ამითა არა განიბნეოდენ იგინი ციხისა გარეთ და საცხოვრისი მათი არა იქმნ ქვეყანაი სხვაგან. რაითა ინდომონ ახალ ბჭისა გახსნა აღმოსავლეთსა დარგე სამთავე“.

— მანამდე ბრძოლა. სისხლისმღვრელი იქნება ეს ომი, შენ რას გვეტყვი, მოძღვარო? — ჰკადრა იოთამმა.

— აქ მესამე გრაგნილიც არის, ესეც ვნახოთ, რა წერია.

„არს წიგნი, ჯადოსანი, რომელიც ხელთ უპყრევს მგელკაცსა. თავად წიგნია იგი და ძალა მათი ძალგულოვანი იქა არს წესნი და შელოცვანი ჯადოსანთა. ვინც მას იპყრობს, იგი გახდება უპირველესი მგელკაცი. ასე ვუწყი მე“.

— იოთამ, შენ რას იტყვი? — ჩაეძია ძმადნაფიცი.

— უკვდავნი ყოფილან, მხოლოდ ეგ არის, დღე ძალა ეკარგებათ, ალბათ, რადგან მხოლოდ ადამიანებად შეუძლიათ იყვნენ. — თქვა იოთამმა.

— მაშინ დავლაშქროთ კაუციხე.

— ჯერ გზირები გავგზავნოთ.

— მე ვითავებ ამ საქმეს — ომახიანად ბრძანა იოთამმა.

სამნი დაადგნენ კაუციხის გზას, იოთამი, გედია და მჭედელი ხარება.

მზე საშინლად აცხუნებდა, შუადღე გადასული იყო, კაუციხის მისადგომს რომ მიუახლოვდნენ მეამბენი.

— შეხედე, იოთამ — აღმოხდა ხარებას.

მშვენიერი სასახლე გადაეშალათ თვალწინ. თეთრი კაჟით

ნაგები. ულამაზესი ციხე-დარბაზი. გაოგნდნენ სამთავე. აქაურობა ხომ ჯერ კიდევ გუშინ ქვათა უდაბნოდ იყო ქცეული.

– დიდი ჯადოსანია მგელკაცი – ჩუმად წარმოსთქვა გედიამ.

– მას ჯადო წიგნი უპყრია ხელთ, მისი ძალით არის მძლავრი – უპასუხა იოთამმა.

ზურგს უკან ცხენის ფრუტუნი მოესმათ, ხმალს მისწვდა სამთავე რაინდი.

– დილა მშვიდობისა, ბატონებო – მშვენიერი ჭაბუკი შემოეგებათ – მობრძანდით ჩემს სახლში. ბატონო იოთამ, თქვენც აქ ბრძანდებით?

ცხენიდან ჩამოვიდა ჭაბუკი. მშვენიერი აღნაგობის იყო მასპინძელი კაჟ-ციხისა „კუნთმაგარი და ტანად მშვენიერი“. მხოლოდ თვალები ჰქონდა არაადამიანური, რაღაც საოცრად შავი და დიდი.

– გთხოვთ, შემობრძანდით. ჯერ არსად თქმულა, რომ ჩემს სახლში ვნებულიყოს ვინმე სტუმართაგანი.

– მადლობა მომიხსენებია პატიჟისათვის – მხნედ ალაპარაკდა იოთამი - ეგ არის მხოლოდ, აქ ქვის უდაბნო იყო და ნანგრევებად ქცეული ეზო. ახლა კი დიდებული სასახლე წამოჭიმულა და მეფისას არ უდებს ტოლს.

– გეთანხმები. ბატონებო, ის, რისი დანახვაც არ შეუძლია ადამიანს, შეუძლია რჩეულს, ეს რჩეული კი მე გახლავართ – მშვიდად მიუგო ჭაბუკმა.

– უკაცრავად, მასპინძელო ბატონო, მაგრამ უხერხულია, სახელიც კი არ ვიცით თქვენი – მორიდებით წარმოთქვა მჭედელმა.

– იოთამი. თქვენი სეხნია ვარ, იოთამ ბატონო – ღიმილით წარმოთქვა მგელკაცმა.

– საიდან მობრძანდით, ან საით მიემგზავრებით, იოთამ ბატონო? – ბრაზშეპარული ხმით ალაპარაკდა იოთამი.

– მე „იოთამ კაჟციხელს” მეძახიან. რაც შეეხება სად მივალ, მე უკვე მოვედი ჩემს სახლში, ახლა კი, გთხოვთ, მობრძანდეთ შინ. – იოთამ კაჟ-ციხელი მასპინძლის გულთბილობით შეუძღვა სტუმრებს სასახლეში. ენით უთქმელი იყო ციხე-დარბაზის მშვენიერება. უმშვენიერესი ნოხებით მოეფინათ

იატაკი ციხისა, კედლებზე დიდოსტატთა ნაკეთი სხვადასხვა ჯურის იარაღი და აბჯარნი იყო გამოფენილი, ყვავილთა სურნელი უხვად იფრქვეოდა ციხე-დარბაზში. უმშვენიერესი ავეჯი განსაკუთრებულ სიმყუდროვეს ქმნიდა შინ.

— გთხოვთ დაბრძანდეთ, ბატონებო, პატივი დამდეთ და ფუძე-ჭერი დამილოცეთ. სტუმარი იშვიათად მყავს — დასძინა მასპინძელმა.

მშვენიერ სავარძლებში მოკალათდნენ ქვისუბნელები. ორი პირბადე აფარებული მანდილოსანი ემსახურებოდა მაგიდას. ოქროს ჭურჭლით გააწყეს სუფრა ქალებმა, საჭმელი, ნუგბარიც უხვად მოზიდეს სტუმართა პატივსაცემად.

— იოთამ, — მხნედ ალაპარაკდა მგელკაცი — ვიცი, რისთვისაც მობრძანდით აქ. ისიც კარგად ვუწყი, რომ ჩემი გალავნის სამივე კართან ხეებსა რგავენ თქვენი თანასოფლელნი და თუ მეოთხე კარის გაჭრას დავიწყებ, სამივე ხეს იქ დარგავენ. ისიც კარგად ვუწყი, რომ ჯადო წიგნის ხელთაპყრობა გაქვთ განზრახული და ჩემი მოშთობა ახლად მოქცეული მგელკაცის ხელით გსურთ. თქვენ ჩემდამი მტრობა გაქვთ გულში, მე კი გმასპინძლობთ.

— მართალს ბრძანებ, მასპინძელო ბატონო, — თავდაჯერებულად უპასუხა გედიამ. შენი მოსვლა ჩვენს მხარეში სიკეთეს არ უქადის სოფელს, ამიტომ მოვითხოვთ სოფლის სახელით, დატოვეთ აქაურობა და გაგვეცალეთ. წაბრძანდი იქ, საიდანაც მოხვედი.

— მომწონს პირდაპირობა, — გაეღიმა მგელკაცს — მაგრამ სად უნდა წავიდე, მე ხომ ქვისუბნელი ვარ? თანაც კაჟციხე ჩემი სახლია. სახლიდან გინდათ გამაგდოთ, გედია ბატონო? მე არავის არაფერს ვუშავებ, რა გსურთ ჩემგან?

— ჩვენ ვიცით, როგორ მოგაშთოთ, ჩვენ ყველანი ვიბრძოლებთ შენს წინააღმდეგ და დაგამარცხებთ, იცოდე — სიბრაზე დაეტყო მჭედელს.

— რახან ასეა, იყოს ომი. მხოლოდ იოთამ ფალავანთან მსურს გასაუბრება. ჩემი სახე ხომ არ გეცნობა, იოთამ ბატონო? არ გინდა გამიხსენო? მე ის ფალავანი ვარ, დევის წყაროზე ჭიდილში რომ დაგამარცხე. რატომ დაუმალე შენს ძმადნაფიცებს შენი მარცხი? შეგრცხვა, ბეჭდაუდებელო?

— დამარცხება ბრძოლაში სირცხვილი არ არის, მგელკაცო ბატონო — კოპებშეკრულმა მიუგო იოთამმა.

— გეთანხმები, თუმცა მე სხვა მოსაზრება მაქვს, მაგრამ ეს მერე. მსგავსებას თუ ხედავ ჩვენს შორის, იოთამ ბატონო? — ჩაეკითხა მგელკაცი.

— არა მგონია, მსგავსი ვიყო შენი რითამე — მიუგო იოთამმა.

— გთხოვთ, ბატონებო, ყური მიგდოთ და ჩემი თხრობისას სიტყვა არ გამაწყვეტინოთ. შევთანხმდით?

მძიმედ დაუკრეს თავი თანხმობის ნიშნად სამთავემ.

— მაშ ასე, — წვერზე ხელი ჩამოისვა მგელკაცმა — მე ამ სოფლის მკვიდრი ვარ. ჩემი მამა-პაპაც ამ სოფლის, ქვისუბნის მკვიდრნი იყვნენ იმ განსხვავე-ბით, რომ ისინი ადამიანები იყვნენ, მე კი 25 წლისა კაჟციხის პატრონი მგელ-კაცი გავხდი. ადამიანად ყოფნისას ცოლ-შვილი მყავდა. თუმცა მოდით ყოველივეს წვრილად გიამბობთ. იოთამ, შენა გთხოვ, კარგად მომისმინო — მგელკაცმა წელზე ქამარ-ხანჯალი შეისწორა, შარბათი მოსვა და განაგრძო — ფესვკურთხევა გვქონდა იმ დღეს, ჩემი მეუღლე თებროლე სუფრას დასტრიალებდა, სტუმრებს ველოდით. ფესვკურთხევის რიტუალი დამთავრებული იყო, როცა ღობის იქით ეტლი გაჩერდა. ვიფიქრე, სტუმარი გვეწვია-მეთქი სოფელში. მივეახლე. ეტლიდან ჯანმაგარი ჭარმაგი კაცი გადმოვიდა. კეთილად გაღიმება სცადა, მაგრამ ნადირისეული კბილები გამოუჩნდა ბაგეთა მიღმა. კაჟციხის მეპატრონედ გამაცნო თავი. იმ ღამეს ძროხები ვნახეთ ყელგამოჭრილი და გასაოცარი ის იყო, რომ წვეთი სისხლი არსად ექცია გარშემო. კაჟციხის დასაზვერად წავედით. ქვის უდაბნოდ და ნანგრევად ქცეული ადგილი ბაღნარად ქცეულიყო ერთ ღამეში, მხოლოდ ეგ იყო სასახლის ეზოში მგელკაცნი დააბიჯებდნენ და ფუსფუსებდნენ. კაჟციხის ეზოში სამი ხე იდგა: კაკლისა, მუხისა და ნაძვისა. ვაკვირდებოდით ამ მგლის პირისახის მქონე ხალხს და ახლოს მისვლას ვერა ვბედავდით.

— გამოდის, რომ ნათესავნი იყვნენ შენი — მიმართა მჭედელმა. კაჟ-ციხელმა ხელით ანიშნა, ნუ მაწყვეტინებო და განაგრძო.

— სამი დედოხის ძალისა ეშინოდათ მგელკაცებს. კოშკიდან ის ჭარმაგი კაცი გამოვიდა, ჩემს ეზოში რომ ვნახე. ვეება ცული აიღო და ხეებს შემოსცხო, ნაძვის წიწვნი ისრებად ესობოდნენ მგელკაცთ, გაუსაძლისი ტკივილისაგან

მიწაზე ეცემოდნენ და ავბედითად ყმუოდნენ უწმინდურნი. მხოლოდ ჭარმაგი მგელკაცი უძლებდა ტკივილს, მუხის რკონი ქვად ქცეულნი თავპირს უსისხლიანებდნენ ხის მჭრელს და კაკალი ნაიარევ ადგილს უვსებდა თანამოძმეებს. ვერც ერთი ხე ვერ მოჭრა მგელკაცმა და დაღლილი, სისხლისგან დაცლილი იქვე მიესვენა მინდორზე. გონს რომ მოვიდა, შავი ტყავგადაკრული წიგნი აიღო და შეუძახა „მითხარ უსჯულოთა ტყავით ნაკერო, როგორ მოვაშორო ხეთა წყევლა“ წიგნი გადაიშალა და უცხო საშინელი არსება გადმოვიდა მისგან. უბრძანა „ძალგულვნი დაკბინე, რაითა შენებრ იქცეს, იგი მოსჭრისო ამ ხეებს“

— გამოდის, რომ ის ძალგულვნი შენა ყოფილხარ? — შეეკითხა იოთამი.

— იმ ღამეს სახლში მომივარდა მგელკაცი, ჩემი ვაჟი აიყვანა ხელში და მითხრა — ან შენ გამომყვები კაუცხეს, ან შენ შვილს გამოვჭამო ყელს. უხმლოდ უნდა მეახლოო — მიბრძანა მოსულმა. ცოლ-შვილი სახლში დავტოვე და გავყევ მგელკაცს. იმავ ღამეს შარბათი მასვეს ჯადოსნური და უგონოდ მყოფს მომაჭრევინეს სამივე ხე. როცა გამოვფხიზლდი, მგელკაცთა ჯარი ამხედრებულიყო დიდრონ ტურებზე და სოფლის დასალაშქრად მიდიოდა. იმ დღეს დამკბინა მგელკაცთა შორის უპირველესმა. იქვე ნაძვის ტოტი იყო, გამწარებულმა ის შემოვკარი ცხოველს. კივილი ატყდა, მუხლებზე განერთხა მგელკაცი, დავაკვირდი და თვალებიდანაც სისხლი სდიოდა, ძალა ეცლებოდა მოძალადეს. დანარჩენებიც ყმუოდნენ საშინლად, სისხლად და ნაცრად იცლებოდნენ. მგელკაცმა ძალა მოიკრიბა და მითხრა: „შენ ხარ მოქცეულ მგელკაცად, შენ იქნებიო ჩემი შემდგომი, წიგნი გამომართვი. ეს იქნებაო შენი გრძნეულების და სიძლიერის მტკიცე დასტური“ და ყველაფერი გაქრა. ღამე იყო და ნანგრევებთან ვიდექი გაოგნებული, იქაურობა ისევ ქვის უდაბნოდ გადაქცეულიყო. მხოლოდ ეტლი იდგა, ცხენებშებმული და უცნაური ძალა მეწეოდა შიგნით.

— გამოდის, რომ შენ დაამარცხე ის მგელკაცი და თავად იქეცი მისი საქმის გამგრძელებლად — მიმართა იოთამმა.

— გეთანხმები. იოთამ, შენ ჩემი შვილიშვილი ხარ, ალბათ, გსმენია პაპაშენის დაღუპვის შესახებ,

— კი, მაგრამ, პაპაჩემი ნადირობისას ჩაიჩეხა კლდეში! —

გაკვირვებით ბრძანა იოთამმა.

— არა, ნეტავ ასე ყოფილიყო, ჩემი მეუღლის თებროს საფლავი მოვინახულე გუშინ, ეხლა კი შენ იცი, ჩემო იოთამ, სრული სიმართლე. გუშინდელ ძროხათა სიკვდილს მე ნუ დამაბრალებ. ჭარმაგი მგელკაცი დაბრუნდა ისევ, ჯერ ძალა არ აქვს, რომ შემებრძოლოს, ამიტომ ღამისეულ ნისლში იმალება. მშიერია და ძალასაც მაქციობით იკრებს. ახლა კი მისმინე, წადით ტაძარში, იქ შეეფარეთ, აიღეთ ეს მორები, ეზოში რომ ყრია, ისინია იმ სამი ხის გადანარჩენი. მონასტრის ეზოში დარგეთ. მორი ხედ იქცევა, ტოტები ააჭერით და ჯვარ-სახოვანი სოლები გააკეთეთ, ხეებს არაფერი დაემართებათ, რასაც მოჭრით, იგივე აღუდგება. საკვებად კი ცის მანანა მოგეევლინებათ.

— ზარები ვინ მოიპარა სამრეკლოდან, მგელკაცო? — მიმართა გედიამ.

— მე ჩამოვხსენი — ბრძანა მგელკაცმა.

— რატომ, თუკი ჩვენთვის კარგი გინდა? — გააუკვირდა იოთამს.

— ჭარმაგ მგელკაცს ზართა გუგუნი ძალას ვერ აკლებს, ადამიანთა  შიში მას აახალგაზრდავებს და ძალას ჰმატებს, ხოლო მე კი ძალას მართმევს — განმარტა მგელკაცმა.

— ვერ მოქცეულხარ კარგად, დაგვიბრუნე ზარები! — თითქმის ბრძანების ტოლფასი იყო მჭედლის სიტყვა.

— დაგიბრუნებთ, მხოლოდ გთხოვთ, ახალი წლის ღამეს, ვიდრე შუაღამე არ დადგება, ზარს არ შემოკრათ. მპირდებით?

— აგრე იყოს. მაგრამ მანამდე? — შეეკითხა იოთამი.

— დღე გუგუნებდეს და მწუხრის დადგომისას ნუ დარეკავთ ზარებს, გთხოვთ — მოწყენით ბრძანა მგელკაცმა.

— როდის გეახლება ჭარმაგი მგელკაცი? ან შენ როგორ ფიქრობ მასპინძლობას? — მიმართა იოთამმა.

— როცა გაძლიერდება. დაიმახსოვრეთ, ჩვენი შებრძოლებისას არავინ მოხვიდეთ ახლოს. ბრძოლის მერე ჩვენს შორის გამარჯვებული ღონემიხდილი იქნება. ნუ შეგაშინებთ მისი საშიში სახე, შეიპყარით, მიწაზე დააკარით, მუხის ჯვაროსანი სოლი გულში ჩააჭედეთ. მუხა ფესვს გაიდგამს და მისი ნაყოფი ქვად გადაიქცევა მგელკაცის გულში. ნაძვის სოლი თავში ჩააჭედეთ. წიწვნი ნაძვისანი გონებას ჩაესობიან და

გონს ვეღარ მოიკრებს გამარჯვებული. კაკლის სოლი კი ფეხებში ჩააჭედეთ. კაკლის სიმძიმე ფეხის განძრევის საშუალებას არ მისცემს ავ სულს. ხოლო წიგნს უნათლავი ბალღი მიეახლოს და ცეცხლში ჩააგდოს იგი. შემდეგ მონათლეთ ბალღი და უვნებელი დარჩება სიავისაგან. ახლა კი წადით და მოემზადეთ.

გაოგნებულნი დაიძრნენ სოფლისკენ სამთავე. მამა წყალობას მოახსენეს ყოველივე წვრილად.

— ესე იგი, მართალი ყოფილა, თებროლე, სიკვდილის წინ რომ ბრძანა — მძიმედ წარმოთქვა მამაომ.

— როგორ, ესე იგი ის მგელ კაცი პაპაა ჩემი? — გაუკვირდა იოთამს.

— ხო, შვილო ჩემო — მძიმედ დაუკრა თავი მოძღვარმა.

დეკემბრის ერთ ღამეს ეზოში გავიდა მოძღვარი და ელდა ეცა — კაუციხიდან ჩამოტანილი მკვიდრი მორები სამ მშვენიერ ხედ ქცეულიყო ტაძრის ეზოში. „ჟამი მოახლოებულა“ — გაიფიქრა მოძღვარმა.

დილით ადრიანად დაიწყეს ჯვრისსახიან სოლთა გამოთლა ქვისუბნელებმა. მრავალი გამოთალეს. სამივე ხის ჯვრით შეიარაღდა თითოეული.

ახლა უნათლავი მოიკითხეს მონასტერს შეხიზნულებმა. მხოლოდ ერთი გოგონა აღმოჩნდა მოუნათლავი, სოფლის ობოლი იყო იგი. ძველი წლის უკანასკნელი დილა გათენდა. შავი ღრუბლები ერთად იყრიდნენ ცაზე თავს. ელვა და ქუხილი ებრძოდნენ ერთმანეთს ცის კაბადონზე. მზის სხივნი ძლივსღა აღწევდნენ მიწას. ქარბორბალასავით დატრიალდნენ უცებ ღრუბლები, ავის მომასწავებელი ღმუილი გაჰქონდა გრიგალადქცეულ ქარს ტაძრის გალავანგარეთა ქვეყანაზე. ნისლი დაიძრა მთებიდან, მგელთა ყმუილი გაისმოდა ირგვლივ.

— დაიწყო რკენა, — აღმოხდა მამა წყალობას — შენ გვიშველე, ზეციერო. ხალხნო, ლოცვად ემზადეთ.

კაუციხის მხრიდან გრგვინვის ხმა უფრო ძლიერდებოდა. გრიგალი ლეწავდა ხეებს. ნისლმა დაფარა მთელი სოფელი და სისხლის წვიმა დაიძრა ციდან. ელვის ენები ამოკრთოდნენ მგელკაცის სასახლის მხრიდან. ბინდი წვებოდა. ამბოხებული ბუნება მეტი ძალით ეხეთქებოდა სოფელს. უცბად ყველაფერი მიწყნარდა. მთვარემ გამოანათა. ცაც გადაიწმინდა.

ვარსკვლავები აციმციმდნენ თვალისმომჭრელად.

— ალბათ, მოთავდა რკენა, ვიჩქაროთ, აბა, ცხენებზე ჩქარა! — შეუძახა იოთამმა მეგობრებს.

თავშეწირული ობოლი და მამა წყალობა ერთ ცხენზე შესხდნენ. თავდაუზოგავად მიჰქროდა სოფლის გზაზე ოთხი მხედარი, — იოთამი, მჭედელი, მენახირე და მოძღვარი მოუნათლავთან ერთად.

მტვრად ქცეულიყო მშვენიერი ციხე-დარბაზი. ფეხზე ერთი მგელსახიანი იდგა მხოლოდ კიდურმოგლეჯილი. ერთი შეხედა მოსულთ გამარჯვებულმა და საშინელი ხრიალით დაიძრა მათკენ. პირველი სოლი, ჯვრის სახიანი აძგერეს მკერდში არამიწიერს. მეორეც ჩააჭედეს მყისვე, კაკლის ჯვარსახოვანი, ფეხებიც დაუოკეს, დამარცხებულსაც ასევე მოექცნენ. შავ წიგნს მიეახლა მოუნათლავი. ხელში იპყრო.

— არ გადაშალო, თეონა! — შეჰყვირა იოთამმა — ცეცხლში ისროლე პირდაპირ!

გოგონამ მძლავრად გაიქნია წიგნი კოცონისკენ. შიშინით იწვოდა იგი. ზარი შემოჰკრა მნათემ, ახალი წლის დადგომა აცნობა სოფელს.

— მადლობა იოთამ, — აღმოხდა მიწაზე მიჯაჭვულ მგელკაცს, — ადამიანად რომ მაქციე კვლავ...

მთვარის შუქზე დააკვირდა იოთამი მოკლულს. ის მასპინძელი ჭაბუკი შეიცნო.

საახალწლო წირვა-ლოცვა აღავლინა მოძღვარმა. თათიას ნათლავდა მამა წყალობა, ნათლია იოთამს ავალებდა ნათლულის ბედზე ზრუნვას.

დღესაც კაჟეიხის ნასახლარზე ძალუმად დგანან მუხანი, ნაძვნი და კაკალნი. იქაურობის ხელის ხლებას დღესაც ვერ ბედავს ვერც ერთი სულიერი. ამბობენ, ბროწეულებიც გაშენდნენო იქ.

# ხელოვნური ერი
## (კლონირებული ერი)

1939 წ. ბერლინი. ნაციონალ-სოციალისტური პარტიის შტაბ-ბინა. დოქტორი გებელსის კაბინეტი. დილის 9 საათი. განსაკუთრებული მნიშვნელობის თათბირი. სხდომის ოქმი არ არსებობს. სხდომა – გრიფით „სრულიად საიდუმლო.“

დოქტორი გებელსი – ბატონებო, თქვენ აქ, ამ კაბინეტში მოწვეული ხართ გერმანიის უდიდესი მეცნიერები, პოლიტოლოგები, იდეოლოგები, ლიტერატორები, კრიტიკოსები, თეატრმცოდნეები, კინემატოგრაფები, მსახიობები, თეოლოგები, ფილოსოფოსები, იურისტები და, რაც ყველაზე უფრო აღსანიშნავია, მსოფლიოს სამი რელიგიის სპეციალისტები. თქვენ გერმანიის იმპერიის განსაკუთრებული მნიშვნელობის ასეული ხართ. თქვენ იმ არმიას წარმოადგენთ, რომლის წინაშე მსოფლიო ცივილიზაცია მუხლს მოიდრეკს და მესამე რეიხის წინაშე სრულ მორჩილებას განაცხადებს.

დოქტორი ვიქტორ ვაისი (სოციოლოგი, პროფესორი, მიუნხენის უნივერსიტეტის სოციოლოგია-ფილოსოფიის კათედრის გამგე) – დოქტორო გებელს, მე ეჭვიც არ მეპარება მესამე რეიხის აბსოლუტურ გამარჯვებაზე მსოფლიოში, მაგრამ ჩემი აზრით, ის პროგრამა, რომელიც თქვენი სახელით გადმოგვეცა და რის საფუძველზეც მე და ჩემმა კოლეგებმა მოვამზადეთ მოხსენებები, მე მგონი, ახლა აქ, ამ თათბირზე მისი წარმოადგენა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნია. ვცდები?

დოქტორი ჰებელსი – არა, არ ცდებით, პროფესორო ვაის. თქვენ აქ შეკრებილი ხართ განსაკუთრებული მისიის შესასრულებლად და ის ბროშურები, რომლებიც თქვენ დაგირიგდათ და რის მიხედვითაც თქვენ მოხსენებები მოამზადეთ, ახლა, აი აქ და ამ დროს არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. თქვენ წარმოადგენთ გერმანიის გონებას. აქ ხართ მოწვეულნი გერმანიის ტიტანები, გერმანელები, ფრანგები, იტალიელები, ებრაელები, რუსები, ესპანელები. თქვენი ძირითადი მისია ზესაიდუმლოა. ახლა ეს-ესის სპეცგანყოფილების თანხლებით ჩვენ ყველანი ერთად გავემგზავრებით. იქ

სასიამოვნო სიურპრიზი გელით. ხოლო რაც შეეხება თქვენს ოჯახებს, შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, მათზე პარტია იზრუნებს და თავს ისე იგრძნობენ, როგორც სავანეში. ბატონებო, გთხოვთ, გამომყვეთ...

— ეს ყველაფერი დაწვრილებით მახსოვს. მე ვიყავი ერთ-ერთი იმ წევრთაგანი, რომელსაც გერმანიის რეიხმა უდიდესი მისია დაგვაკისრა. აგერ ახლა 98 წლის კაცი ვარ. საწოლს მიჯაჭვული, ინვალიდი. საკუთარი შარდის აბაზანაში ვცურავ  თუ სანიტარი დროზე არ გამომიცვლის თეთრეულს, აქ ჩემს პალატაში ისეთივე სუნია, როგორიც საკონცენტრაციო ბანაკში — მე იოჰიმ კრაუზე, ასე უსახლოდ და დიდების შარავანდების გარეშე მივემგზავრები იმქვეყნად. თუმცა მე და ჩემმა თანაგუნდელებმა შევძელით ის, რაც დედამიწაზე ჯერ არავის გაუკეთებია. ეს არის კლონირებული ერი. დიახ, მე...  — ავადმყოფს ხველა აუვარდა, სისხლიანი დუჟი მოსჩქეფდა პირიდან.

— ბაბუა, მომიყევი ის, რაც გახსოვს, რას ნიშნავს კლონირებული ერი? გთხოვ. — მოხუცის სარეცელთან ახალგაზრდა მამაკაცს ცალი მუხლი მოეყარა და დოლბანდით ცდილობდა მოხუცის სახისათვის ეს სიბინძურე მოეშორებინა.

— მე ყველაფერი მახსოვს, ბაბუა — სული მოითქვა მოხუცმა — ჩვენ 1939 წელს, 10 იანვარს გერმანიის ჩრდილოეთ ზესაიდუმლო ბაზაზე გავემგზავრეთ. ჰებელსი ჩვენ არ გამოგვყოლია. იქ მარტონი ჩავედით. სასტუმრო, სადაც ჩვენ დაგვაბინავეს, იქვე ბაზის ტერიტორიაზე იყო აშენებული. ზედმიწევნით სისუფთავე და უმაღლესი დონის კომფორტი, მხოლოდ ასე შემიძლია იქაურობა დავახასიათო. მასპინძლობას ეს-ესის გრუპენფიურერი ვინმე ზოლცი გვიწევდა. წარმოგიდგენია? ისეთი გოგონები გვემსახურებოდნენ, რომ დღევანდელ თქვენს თანამედროვე პოდიუმებს არც დაესიზმრებათ. ჩვენ ყველაფერი გვქონდა ნებადართული, მეც ამით ვისარგებლე. ხე-ხე-ხე, მშვენიერი იყო ფრიდა, მისი სახელი ეხლაც კი მახსოვს. ხო, სად გავჩერდი?

— ბაზაზე, სასტუმროში დაგვაბინავესო, ბრძანეთ, ბაბუა.

— ხო, გამახსენდა. მეორე თუ მესამე დღეს, ღამის 2 საათზე გაგვაღვიძეს. მთელი დელეგაცია, ასე ვთქვათ, ერთ-

ნაირ, 3 ინტელექტუალურ ჯგუფად დაგვყვეს. გაგიკვირდება, მაგრამ ჩვენი ნივთები ნომრებში უკვე აღარ იყო. მხოლოდ საგზაო ტანსაცმელი დაეტოვებინათ დივანზე აკურატულად გადაფენილი. საშინლად ციოდა, ავტობუსებში ჩაგვსვეს და პორტისაკენ გავემგზავრეთ.

მოზრდილ ანგარს მივუახლოვდით. დანარჩენმა ავტობუსებმა გზა განაგრძეს, ღამის სიბნელეში კონტურები ჩანდა მხოლოდ სანაპიროს გასწვრივ ჩამწკრივებული ანგარებისა. ვიღაც სამხედრო ამოვიდა, მხედრული სალამი მოგვცა და გვთხოვა ავტობუსი დაგვეტოვებინა. თითქმის სირბილით შევედით ანგარში. შიგნით ისეთი სითბო იყო, ივლისის ცხელი დღე გეგონებოდა. დიდი მოჩანდა შიგნიდან შენობა, საკმაოდ დიდი. ჩემდა გასაოცრად, გერმანიის ჰიმნის შესრულებისას მიწაზე გართხმული რეიხის დროშა ნელ-ნელა ზევით აცურდა და ჩვენს წინაშე წყალქვეშა ნავი აღიმართა. სიმართლე გითხრა, პირველად ვნახე ასეთი ხომალდი, თუმცა, მე ხომ მაშინ ვნახე პირველად წყალქვეშა ნავი. რაღაც სამხედრო რიტუალები შეასრულეს. შემდეგ ვიღაც გესტაპოელი მოგვიახლოვდა, თან სამოქალაქო პირიც ახლდა. მთელ ჯგუფს საბუთები ჩამოგვართვეს.

— რატომ, ბაბუა?

— არ ვიცი, შვილო. მხოლოდ ის გვითხრეს, რომ იქ, სადაც ჩვენ მივდიოდით, საბუთები არაფერში გვჭირდებოდა. მოკლედ, გემში ჩავსხედით. ოო, ვერ წარმოიდგენ რა სივიწროვეა შიგნით, რამდენი კაბელი, ონკანი, რაღაც აღმრიცხველები და ათასი სხვა რამ. გემის ეკიპაჟი მხოლოდ 5 თუ 6 კაცისაგან შედგებოდა. ზორბა ბიჭები იყვნენ, ეტყობა სპეციალურად შეარჩიეს. გზაში, სანამ მივცურავდით, თუმცა არ ვიცი საით, საინტერესო არაფერი მომხდარა. ყველაზე უფრო ჩემი სიგარების გარეშე ყოფნა მიჭირდა. გემზე მოწევა სასტიკად იკრძალებოდა. თითქმის ერთი კვირა მივცურავდით. ერთხელაც, დილის 8 საათზე, გემზე სირენა ჩაირთო. დაფეთებულები წამოვცვივდით. „ნუ ნერვიულობთ, საგანგაშო არაფერია, თქვენ დანიშნულების ადგილას იმყოფებით, გთხოვთ, დატოვოთ ხომალდი!“ — მორიდებული გაპანღურებას ჰგავდა კაპიტნის სიტყვები.

ჩვენ მიწისქვეშეთში ამოვყავით თავი. მე შემეძლო წარმომედგინა რაღაც გასაოცარი მასშტაბების სამხედრო ბაზა, მაგრამ ასეთი ჩემს ფანტაზიასაც კი აღემატებოდა. უბრალოდ გეტყვი, ამ ობიექტს საკუთარი ელექტროსადგური, საწარმოები, საავადმყოფო, აეროდრომი და წარმოგიდგენია, საბავშვო ბაღიც კი ჰქონდა. მოდი, ცოტა დაწვრილებით მოგიყვები ყველაფერს.

— „გთხოვთ, დასტოვოთ ხომალდი! — ეს უკვე კაპიტნის ბრძანება იყო. მან სამხედრო სალამი მოგვცა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია რათა გზა მოეცა ჩვენთვის კიბეზე ასასვლელად. 35 კაცი, მიუხედავად ჩვენი ასაკისა, თუმცა მე ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი, მაქსიმალური სისწრაფით ვტოვებდით ხომალდს.

სუბმარინის გემბანზე კიბე მოედგათ ნაპირზე გადასასვლელად. საოცრად სულელურად გამოვიყურებოდით, როცა ვცდილობდით სამხედრო მარშით გადავსულიყავით ნაპირზე.

გესტაპოს ოფიცერმა ზიზღნარევი თვალებით შემოგვხედა და გვიბრძანა მწკრივში ჩავმდგარიყავით.

— ბატონებო! — თავდაჯერებული ხმით ამეტყველდა გესტაპოელი — თქვენ რეიხის ერთ-ერთ საიდუმლო ბაზაზე იმყოფებით. ორიოდ წუთში მოგათავსებენ თქვენთვის განკუთვნილ ბლოკში, დამატებით ინსტრუქციებსაც იქ მიიღებთ, გასაგებია? ჰაილ ჰიტლერ!

ხელი აგვიღო ამ იდიოტმა და მის უკან მდგომ სამხედროთა ათეულს მიმართა.

— გიბრძანებთ, ეს ბატონები მიაცილოთ ბლოკ ნომერ 102-ში. იმოქმედეთ ინსტრუქციის მიხედვით! — შემდეგ ჩვენსკენ მობრუნდა ეს ხორცშესხმული მარიონეტი და მოგვმართა — გთხოვთ, მოემზადეთ, აიღეთ თქვენი ნივთები და გაყევით ჯარისკაცებს. ყველაფერი გასაგებია? შეასრულეთ!

ათიოდე ნაბიჯის იქით ლიანდაგებზე ვაგონეტები იდგა. ეტყობა უფრო ტვირთის გადასაზიდად ხმარობდნენ მათ, მაგრამ ახლა ჩვენს პატივსაცემად, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, ზურგიანი სკამები ჩაელაგებინათ. მეავტომატეებმა გაგვაგებინეს, რომ ამ ვაგონებს სხვა საქმეც ჰქონდათ და დროზე უნდა გაგენძრია ერთი ადგილი.

ჩვენმა, ასე ვთქვათ „ელმავალმა“ ნელ-ნელა აკრიფა სიჩქარე. ჩრდილოეთისკენ მივდიოდით. გზაზე აუარებელ სამხედრო ტექნიკას ვხედავდით, თუმცა ბევრი ისეთი რამეც კი იყო, რომლის შესახებ წარმოდგენაც კი არ მქონდა. გვირაბს მივუახლოვდით. „ელმავალმა“ სიჩქარეს უმატა, თითქმის მივქროდით. გვირაბში დაახლოებით 20 წუთის შემდეგ განათებულ ბაქანს მივუახლოვდით. სიმართლე გითხრა, ეს მეტროს სადგურს უფრო ჰგავდა, ვიდრე სამხედრო დაწესებულებას. მეავტომატეები უჩვეულო სიმარდით ჩამოხტნენ ვაგონეტებიდან და მწყობრში ჩადგნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ დანიშნულების ადგილას მოვედით, მაგრამ სად? ეს ჩვენთვის უცნობი იყო. ბაქანი ჩაკეტილ სისტემას წარმოადგენდა, თუ გვირაბს არ მივიღებთ მხედველობაში. სირენა ჩაირთო და ჭერზე წითელი ნათურები აციმციმდნენ. ორიოდ წუთში პირდაპირ ყრუ კედელმა ზემოთ დაიწყო აცოცება. ჩვენდა გასაოცრად კედლის უკან უზარმაზარი სივრცე გამოჩნდა, თითქმის დაბის ტიპის სამოქალაქო დასახლება. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი მოგვიახლოვდა. საკმაოდ თბილად მოგვესალმა და გვთხოვა მას გავყოლოდით. მე მე-20 საუკუნის ზღაპარში აღმოვჩნდი. მთელი დელეგაცია დაბნეულ ბავშვებს ვგავდით. მესამე რეიხის გენიალობის მკაფიო მაგალითი ჩვენს თვალწინ იყო. ორსართულიან შენობაში განგვათავსეს. რაღაც ლაბორატორიას უფრო ჰგავდა იქაურობა, ვიდრე პანსიონატს ან სასტუმროს, თუმცა ოთახები, სადაც ჩვენ უნდა გვეცხოვრა, მაქსიმალურ სიმყუდროვეს უზრუნველყოფდა. იმ დღეს სხვა მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. არ ვიცოდი დღე იყო, თუ ღამე, თუმცა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა. მე აქედან გაღწევას ვერ შევძლებდი. ბედს შევეგუე. ოთახის ათვისებას შევუდექი. ელდა მეცა, როდესაც კარადაში ჩემი პირადი ნივთები აღმოვაჩინე გარეცხილი, დაუთოებული და აკურატულად დალაგებული თაროებზე. ჩემი საყვარელი სპორტული კოსტიუმიც ცელოფანში შეფუთული აკურატულად იყო ჩამოკიდებული გარდერობში. ტანისამოსი გამოვიცვალე. თავი უფრო თავისუფლად ვიგრძენი. დივანზე მივესვენე. მხოლოდ ახლაღა მივხვდი, რომ საშინლად ვიყავი დაღლილი, არა იმ-

დენად ფიზიკურად, არამედ მორალურად ვიყავი დაქანცული. რამდენი ხანი მეძინა, ვერ ვიტყვი, როდესაც კარებზე კაკუნმა გამაღვიძა.

— მობრძანდით.

— შეიძლება, ბატონო პროფესორო? — ვიღაც მოხდენილი და ვიტყოდი, მშვენიერი ასული შემოვიდა. ხელში ლანგარი ეჭირა, ყავა და რაღაც ტკბილი ეწყო ზედ. იქვე დაბალ მაგიდაზე დაალაგა და ჩემსკენ მობრუნდა, გაეღიმა. ღმერთო, რა ლამაზი იყო, ახლაც კი მახსოვს მისი მარგალიტივით თეთრი კბილები, ბრდღვიალა შავი თვალები და საერთოდ, ულამაზესი იყო იგი.

— მე კატრინი მქვია.

— მოხარული ვარ, კატრინ, თქვენი გაცნობით.

— ბატონო პროფესორო, მე თქვენთან ვარ მომაგრებული, გთხოვთ, უარს ნუ მეტყვით.

— კი, მაგრამ, რაზე უნდა გითხრათ უარი?

— იმაზე, რომ ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ.

— კი, მაგრამ, რატომ?

— ბატონო პროფესორო, გაგიმხელთ ერთ ფრიად მნიშვნელოვან სამხედრო საიდუმლოს, თანახმა ხართ? — მითხრა მან და კეკლუცად შემომცინა.

— გთხოვთ.

— მე თქვენი მომვლელი, მოსიყვარულე და ერთგული ადამიანი უნდა გავხდე...

— უფრო დაწვრილებით, თუ შეიძლება.

— კარგით, თქვენ ახალგაზრდა ხართ, 45 წლის. გიყვართ ქალები, სისუფთავე. ისიც ცნობილია ჩემთვის, რომ თქვენს კათედრაზე, გერმანიაში თითქმის არცერთი ასისტენტი გოგონა და ქალბატონი არ დაგიტოვებიათ თქვენი გულმხურვალე სასიყვარულო ისტორიების გარეშე. აქ კი ამ ყველაფერს მე შევავსებ, გამიგეთ?

— მე რომ გთხოვოთ, ახლა აქ ამ წუთში გაშიშვლდითმეთქი, რას იზამთ?

კატრინმა სწრაფი მოძრაობით დაიწყო შარვლის გახდა, პერანგიც გადაჰკიდა სავარძელზე. იგი დედიშობილა იდგა ჩემს წინაშე, შემდეგ მომიახლოვდა, კალთაში ჩამიჯდა, მომეხვია და თითქმის ჩურჩულით მითხრა:

— მე კამა-სუტრას აბსოლუტურად ვფლობ, ჩემო მეუფევ.

ენა დამება, თუმცა ყველაფერი დანარჩენი რეიხის არმიასავით ბრძოლისუნარიანი იყო. მე თავდავიწყებით გადავედი შეტევაზე. კატრინი ვნებიანი კვნესით მიმოწმებდა ჩემი „საბრძოლო“ ტექნიკის სისწორეს. თუმცა იმასაც დავამატებ, რომ კატრინის „შეტევებიც“ არანაკლები „აგრესიულობით და ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდა“. მკვდარივით ვიყავი, კატრინი წამოდგა, აბაზანაში შევიდა შხაპის მისაღებად. „მშვენიერია“ – ვფიქრობდი მე – „ცოლი შეთავსებით, გენიალურია“.

– ბატონო პროფესორო, მოხარული ვარ, რომ ერთმანეთს გავუგეთ, – ღიმილით წამოიწყო საუბარი კატრინმა. თეთრი პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული, იცი, რა ლამაზი იყო? ტელეფონმა დარეკა, ყურმილში ვიღაცის ბოხი ხმა გაისმა.

– ბატონო პროფესორო, გთხოვთ მობრძანდეთ თქვენს კათედრაზე. იმედი მაქვს თქვენი მშვენიერი მეუღლე მოგაცილებთ ჩვენამდე.

– კატრინ, ყავა, თუ შეიძლება.

– დიახ, ჩემო ძვირფასო, ინებე.

– ესე იგი, შენ უკვე ჩემი, ასე ვთქვათ...

– ხო, ჩემო სიცოცხლე, მე თქვენი აქაური მეუღლე ვარ, რასაკვირველია, თუ გსურთ რომ ოჯახს დაემსგავსოს, მე მზად ვარ გაგიჩინო ან ბიჭი ან გოგონა, როგორც შენ ინებებ, ჩემო საყვარელო..

თითქმის დარეტიანებულები გავემართეთ მე და კატრინი კათედრაზე. ეგრეთ წოდებული ქუჩა საკმაოდ განათებული იყო. მე მაშინ პირველად ვნახე ელექტრომობილები, ეტყობა კომპანია „დაიმლერმა” სპეციალურად აქაურობისთვის შექმნა ეს მანქანები. ერთ-ერთი ასეთი მანქანა თურმე მე მეკუთვნოდა. ხო, მართლა, ქუჩა ვახსენე. გაზონების მაგივრად ქვის, ან აგურის ფილები ეწყო, ტროტუარებიც აგურით იყო მოწყობილი. სიმყუდროვისთვის სახლების წინ გრძელი სკამები დაელაგებინათ და მთელი ქუჩის გაყოლებაზე ხელოვნური ხეები დაერგოთ. მე მომეწონა იქაურობა. კატრინმა მანქანა დაძრა. ჩემი „ლიმუზინი“ ორადგილიანი იყო. ჩვენ გზაზე 30კმ/სთ სიჩქარით „მივქროდით“. კატრინმა მარჯვნივ მოუხვია და საკმაოდ ლამაზ ორსართულიან შენობას მივადექით.

— ბატონო პროფესორო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. მოხარული ვარ, რომ ესოდენ დიდ ავტორიტეტთან ხელის ჩამორთმევის საშუალება მომეცა — ალბათ, დაზეპირებული ჰქონდა ეს სიტყვები ამ დაწესებულების ადმინისტრატორს.

— გმადლობთ, ბატონო. იქნებ შემახსენოთ, საიდან უფრო მოსახერხებელია ჩემს კაბინეტამდე მისვლა?

— ო, ბატონო პროფესორო, თქვენ როგორც ყოველთვის, ხუმრობთ, თქვენს მომხიბვლელ მეუღლეს აქვს თქვენი კაბინეტის გასაღები,

— გმადლობთ.

— ყოველთვის მზად ვარ სამსახურისთვის, ბატონო პროფესორო.

კატრინი კეკლუცი ღიმილით მიყურებდა, ეს კაცი კი თავისი ენაწყლიანობით მიღებდა ბოლოს. ეს რაღაც ჯოჯოხეთში მოვხვდი მგონი.

— ძვირფასო — მომმართა კატრინმა — აი, შენი კაბინეტის გასაღები, ნუ გამიბრაზდები, თუ მეყო კადნიერება და თავს ნება მივეცი, გასაღები მე წამომეღო.

ჩემმა „მეუღლემ“ ნაზად მომხვია ხელი და საკმაოდ ვნებიანად მაკოცა ტუჩებში. ისე, რომ კორიდორში მყოფი ხალხისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

— ბრავო, პროფესორო, თქვენ, ალბათ, სანიმუშო მეუღლე ბრძანდებით — ღიმილით მომმართა დოქტორმა გოლდბალტმა, — ჩვენ ერთი კრუიზის წევრები ვიყავით, პროფესორო, გახსოვართ?

— რასაკვირველია, დოქტორო, კატრინ, გაიცანი, დოქტორი გოლდბალტი — კატრინს ვნების აღმძვრელმა სიწითლემ გადაჰკრა სახეზე და მორიდებით ამეტყველდა:

— მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, დოქტორო, იოჰიმი თქვენდამი დიდი პატივისცემითაა განმსჭვალული.

— გმადლობთ კომპლიმენტისათვის, ქალბატონო კრაუზე და ნება მიბოძეთ ჩემი მეუღლე ფრიდა წარმოგიდგინოთ. ვიმედოვნებ, რომ თქვენ კარგი მეგობრები გახდებით.

— ფრიდა...

— კატრინ...

მოკლე მისალმებებით და გულითადი ხელის ჩამორთმევით

გამოხატეს „ქალბატონმა გოლდბალტმა“ და ჩემმა „მეუღლემ“ ურთიერთპატივისცემა.

იცი, მე მგონი ეს მოჯადოებული სამყარო, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ტესტი იყო. ადამიანთა ურთიერთობის შესწავლის გენიალური მეთოდიკა, თუმცა ვერ გეტყვი, ვინ ჩამოაყალიბა იგი, მაგრამ ეს თეორია გენიალურად მიმაჩნია.

მთელი ეკიპაჟის წევრები აუდიტორიაში შევედით. აქაურობა მაქსიმალური ფუფუნების ამსახველი იყო. მეტიც, ეს ოთახი ერთგვარ ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა. აუდიტორიის უკანა კარიდან კაკუნი გაისმა და ვიღაც ჭარმაგი კაცი შემოვიდა, მე-18-19 საუკუნის კონფერანსიეს ტანსაცმელში გამოწყობილი და მოგვახსენა:

— ბატონი ალან ჰაგენი. გთხოვთ, ფეხზე ადგომით შეეგებოთ მას.

ოცდაათივე ფეხზე წამოვდექით. აუდიტორიაში ასე 30-35 წლის ახალგაზრდა კაცი შემოვიდა და კათედრისკენ გაემართა. მომეჩვენა, რომ ჩვენ მისთვის არარაობათა კრებულს წარმოვადგენდით.

— ბატონებო — ეს პირველი ბგერები, რომელიც ამ ბატონმა წარმოთქვა სექსუალური გადახრების მქონე მამაკაცის ტონს ჰგავდა — მე პროექტის ხელმძღვანელი გახლავართ, თუმცა თქვენთვის არაფერია ამ საქმესთან დაკავშირებით ცნობილი. ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, თქვენს წინაშე დალაგებულ საქაღალდეებში მოცემულია ამ პროექტის შესახებ სრული ინფორმაცია და თითოეული თქვენგანისადმი კონკრეტული დავალება. ამ პროექტის კოდური სახელია „კლონირებული ერი“. იმის გამო, რომ თქვენთვის ამ პროექტის შესახებ არაფერია ცნობილი, მე თქვენ მოგცემთ ერთკვირიან ვადას, რათა გაეცნოთ მას და თქვენი მოსაზრებები მომახსენოთ. ამ საქაღალდეებში რეიხის მომავალია, ბატონებო!

## თავი I

იოჰიმმა საქაღალდეს დახედა. მის ყდაზე მესამე რეიხის სიმბოლო იყო გამოსახული. „თქვენ ჰქმნით კაცობრიობის მომავალს, აყალიბებთ ახალ ერს“. „ეს სიტყვები, ალბათ, ვიღაც იდიოტმა დაწერა“ – გაიფიქრა იოჰიმმა.

კატრინი ეზოში ელოდა „მეუღლეს“.

– შეხვედრით კმაყოფილი ხარ, ძვირფასო? – ნაზად ამეტყველდა კატრინი.

– ხო, თუმცა ბევრი არაფერი თქმულა. აი, ეს საქაღალდე მომაჩეჩეს და მთხოვეს გავცნობოდი. – თითქმის ოხვრით გასცა პასუხი „ცოლს“.

– იცი, აქ შესანიშნავი მაღაზიაა, გთხოვ, დამდე პატივი და გამომყევი.

– კარგი, წავიდეთ.

– შენ არასოდეს მეუბნები, „ძვირფასო“, ან „საყვარელო“, შენ ჩემი ახალი კაბაც ვერ შეამჩნიე, იცოდე, გაგებუტები – და კატრინმა გაბუტული ბავშვის იერი მიიღო.

– კარგი, ვერ შეგამჩნიე. მაპატიე, მე ჯერ ჩვენი პირველი ურთიერთობის განცდებში ვარ.

– მართლა? ჯანდაბას მაღაზია, იცოდე, დღეს საძინებელში უფრო „მძიმე“ გამოცდა გელის, ვიდრე ოდესმე.

– შენ შეგიძლია შეეგუო ახალი ნივთების შეუძენლობას?

– ჩემთვის შენი ბედნიერებაა მთავარი და არა ნივთი.

კატრინმა პედალს ფეხი დააჭირა და ელექტრომობილიც დაიძრა. „მძღოლმა” სპეციალურად ფეხი ოდნავ გვერდზე გასწია, რათა ნიავს კაბა აეფრიალებინა.

– კატრინ, ძვირფასო, ნიავი კაბას გიფრიალებს.

– ჰოდა, შენ ჩამომაფარე, აქ კაბის ქვეშეთში ხომ მხოლოდ შენი საკუთრებაა, დაგავიწყდა? ნუთუ მისცემ უფლებას ვინმემ თვალი შეავლოს შენს „სამფლობელოს“?

– შენ მე გამაგიჟებ, ძვირფასო.

– ღმერთო, რა ბედნიერი ვარ, შენ ეს თქვი.

– რა ვთქვი?

– „ძვირფასო“. აი მოვედით კიდეც, მე შენ სიურპრიზი მოგიმზადე.

— რა სიურპრიზი?

— ნახავ, ნუ იქნები სულსწრაფი.

კატრინმა კარი გააღო. შემოსასვლელში უკუნი სიბნელე იდგა.

— იოჰიმ, შუქი არ აანთო, გთხოვ. მე შემიშვი პირველად.

— გთხოვ, მოწყალეო ქალბატონო.

კატრინი სიბნელემ შთანთქა. ბინის წიაღიდან ნელ-ნელა მკრთალი შუქი მოაპობდა სიბნელის ლაბირინთებს, სინათლე ნელ-ნელა ძლიერდებოდა, იოჰიმი გაუნძრევლად იდგა ზღურბლზე. რაღაცის სასიამოვნო სუნი ტრიალებდა სახლში.

— იოჰამ, შემოდი.

პროფესორი ნელი ნაბიჯით შევიდა სახლში, კარი ფრთხილად დახურა.

— იოჰიმ, გთხოვ, გაიხადე, სულ გაიხადე, გთხოვ.

ახლაღა იგრძნო პროფესორმა, რომ ხალიჩაზე იდგა. ტანსაცმელი ნელ-ნელა შემოიძარცვა და დიდი ოთახისაკენ გაემართა, სანთლების ალი განსაკუთრებულ ინტიმურ გარემოს ჰქმნიდა ოთახში, აგიზგიზებული ბუხარი ამ ინტიმს აძლიერებდა.

— მომიახლოვდი, იოჰიმ.

იოჰიმის თვალწინ წითელ პენუარში გამოწყობილი კატრინი იდგა. იატაკზე ფუმფულა თეთრი ხალიჩა ეფინა, დიდი მუთაქები ეყარა ზედ, იქვე, ბუხართან, შემპანური და ორი ბოკალი მდუმარედ ელოდა წყვილს.

ოხ, რა ბობოქარი იყო იოჰიმი. საკუთარი თავი არასოდეს ახსოვდა ასეთი შემართებული პროფესორს. მას კატრინი უკვე უყვარდა.

ლოგინიდან ფრთხილად წამოდგა იოჰიმი, კატრინს გადახედა, ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა ბაგეებზე ქალბატონ კრაუზეს.

ხალათი მოისხა პროფესორმა და კაბინეტისკენ გასწია. მაგიდის ლამპა აანთო, საქაღალდე გადაშალა.

ლამაზი, გამოყვანილი ასოებით იყო ნაწერი. თავფურცელზე ასევე მომხიბვლელი ასოებით ეწერა „ბატონ კრაუზეს — შესრულებულია ერთ ეგზემპლიარად — სრულიად საიდუმლო“. „ხო, რასაკვირველია, გერმანიაში ხომ რესტორნის

მენიუც სრულიად საიდუმლოა – გაიფიქრა იოჰიმმა და კითხვა განაგრძო: „ბატონო პროფესორო, ამოცანა, რომელიც ჩვენ დავისახეთ მიზნად, ფრიად უჩვეულოა. თემა, რაზედაც თქვენ მოგიწევთ მუშაობა, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების პროექტის ნაწილი იქნება. სახელმწიფოს ამ პროექტის სრულყოფილი განხორციელებით თავად ფიურერია დაინტერესებული. უპირველესად, გვსურს შესავლის სახით მოგახსენოთ იმ მთავარ თემათა შესახებ, რომლებზედაც მოუწევს მუშაობა თქვენს ჯგუფს და კერძოდ თქვენც.

1. სახელმწიფოთა იდეოლოგიური მანქანის გავლენის შესუსტება;
2. ეროვნული ტრადიციების  და ფასეულობების გადაფასება;
3. ერთა ნაციონალური თვითშეგნების შესუსტება;
4. ლოიალური დამოკიდებულება ოჯახის ტრადიციულ აღქმაზე;
5. გრძნობათა გათავისუფლება სირცხვილის ქიმერისაგან;
6. ხელოვნებაში სულიერი მარტოობის, სიშიშვლის და ადამიანის მტაცებლური ბუნების განსაკუთრებული ხაზგასმა;
7. ადამიანთა ურთიერთობის ტრადიციული ფორმების გადაფასება და მათი შეცვლა სამსახურებრივი და ფულადი ურთიერთობით;
8. ოჯახის ტრადიციათა გადაფასება, კერძოდ, ქალისა და მამაკაცის აბსოლუტური თანასწორობა;
9. პოლიტიკურ, სამხედრო და სხვა სახის სამსახურებში ქალთა მასობრივი დაწინაურება;
10. სქესობრივი ურთიერთობის თემატიკის ფართო საზოგადოებრივი პოპულარიზაცია.

ბატონო კრაუზე, ეს პროექტის პირველი ეტაპია.

მეორე ეტაპი წარმოადგენს:

1. რელიგიური დოგმებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ხელშეწყობა;
2. მცირერიცხოვანი რელიგიური ჯგუფებისა და სექტანტური მოძრაობების ხელშეწყობა;

3. მსოფლიოსათვის ახალი რელიგიური მიმდევრობების შექმნა.

მესამე ეტაპი:

1. მსოფლიო ფასიანი ქაღალდების მობილიზება ერთ სისტემაში;

2. მსოფლიო საბანკო სისტემის შექმნა;

3. მსოფლიო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გლობალიზაცია, ერთი მთლიანობა;

4. სახელმწიფო ვალუტის, ფულადი ერთეულის მოსპობა, ეროვნული ბანკების რეგიონალურ გლობალური სავალუტო სისტემების შემუშავება და მათში ჩართვა.

5. რეგიონული საგადამხდელო საშუალებების ჩამოყალიბება:

ა. ევროპული ვალუტა;

ბ. აზიის ვალუტა

გ. ამერიკის ვალუტა;

დ. აფრიკის ვალუტა

შემდეგში მათი ცენტრალიზაციის მიზნით.

მე-4 ეტაპი: 1. გლობალური საომარი ობიექტები;

2. ტერორიზმის ხელშეწყობა, მათ შორის რელიგიურ საფუძველზე;

3. ნარკოტიკული ინდუსტრიის გაფართოება, მასების გარკვეულ ნაწილზე აბსოლუტური მმართველობის მოპოვებისთვის;

მე-5 ეტაპი: 1. პრესისა და ტელევიზიის მაქსიმალური განვითარება, მასებზე ზემოქმედების სხვა ბერკეტების შექმნა;

2.მსოფლიო ფიგურების პირადი ცხოვრების გაშუქება.

მე-6 ეტაპი: 1. ჰუმანიტარული ორგანიზაციების როლის გაფართოება განვითარებად ან დაბალ განვითარებულ ქვეყნებთან ურთიერთობაში;

2. ჰუმანიტარული ორგანიზაციების გაფართოება მსოფლიო სამედიცინო და ფარმაცევტული ინდუსტრიის განვითარების საქმეში;

მე-7 ეტაპი: 1. ენერგორესურსებზე აბსოლუტური კონტროლი.

იოჰიმმა კითხვა შეწყვიტა. სიგარეტს მოუკიდა. კაბინეტში ბოლთას სცემდა გაოცებული პროფესორი.

„ეს რა იდიოტობაა? ეს შეუძლებელია. ნუთუ ბერლინს შესწევს უნარი ეს ყველაფერი გააკეთოს? ამ პროექტის განვითარება და განხორციელება მსოფლიო პყრობას ნიშნავს“ – ფიქრობდა პროფესორი. კითხვა აღარ გაუგრძელებია, საძინებელში დაბრუნდა. კატრინს საბანი გადაეხადა, მისი მშვენიერი სხეული მსუბუქი სინათლის ფონზე განსაკუთრებით მიმზიდველი ჩანდა. საბანი დააფარა ქმარმა მეუღლეს და მისდა გასაოცრად ნაზად აკოცა მძინარე კატრინს ლოყაზე. დაღლილ იოჰიმს მალე ჩაეძინა.

მაღვიძარას ხმა ჩაესმა მძინარეს. „ალბათ, უკვე გათენდა“ – ძილიდან გამოერკვა იოჰიმი. თვალები გაახილა, საძინებლის კარი ღია დაეტოვებინა კატრინს. ღია კარიდან კარგად ჩანდა გულმოდგინედ მოსაქმე კატრინი. იგი აუთოებდა. ჩუმი ხმით რაღაც მელოდიას ღიღინებდა. ყურადღება დაძაბა პროფესორმა, მისი ნამდვილი მეუღლის საყვარელი მელოდიის ჰანგები იღვრებოდა ოთახში.

– ეს უფრო მოუხდება? – იოჰიმის პერანგს ათვალიერებდა კატრინი – და იქვე სავარძელზე მიაფინა რუდუნებით. მაღვიძარამ კიდევ დარეკა, კატრინმა უმალვე ჩააკმენდინა ხმა მექანიზმს და საძინებლისკენ გამოიხედა, – „მეუღლე ხომ არ გამიღვიძაო ამ საზიზღარმა მაღვიძარამ“. იოჰიმმა თვალები სასწრაფოდ დახუჭა. ცოლმა საქმე განაგრძო. ახლა იოჰიმის საცვლებისა და წინდების დაუთოებას შეუდგა კატრინი, თან მელოდიის ღიღინს განაგრძობდა. „ნუთუ მართლა ვუყვარვარ“, – ფიქრობდა „ქმარი“ – ალბათ, ნაბრძანები აქვს ჩემი მოვლა და ამიტომ იქცევა ასე. არა. ნუთუ მცირეხნიანმა ურთიერთობამ შეიძლება ქალში სიყვარული დაბადოს? მისი მოქმედება ბრძანების შესრულებას არ ჰგავს, ეს უეჭველია“.

– კატრინ, რომელი საათია? – გასძახა იოჰიმმა მეუღლეს.

– ხომ არ გაგაღვიძე? – შეშფოთებული სახით შემოვიდა ოთახში კატრინი. – შენს ტანსაცმელს ვაწესრიგებდი. მომიტევე, თუ მყუდროება დაგირღვიე, – დაჩაგრული ბავშვის ტონით ამეტყველდა ქალი და შერიგების ნიშნად მეუღლეს ლოყაზე აკოცა.

— არა, ჩემით გამეღვიძა, მშვენიერი ღამე გვქონდა, შენ რას იტყვი, ძვირფასო?

— ჩემთვის ყოველი წუთი ძვირფასია შენთან ერთად. მაპატიე, კიდევ ერთხელ, თუ ჩემი დაუდევრობით გაგაღვიძე. შევრიგდეთ?

—რასაკვირველია, ოღონდ ჩემი საბნის ქვეშ.

— მსუნაგო.

— არა, ცდები.

— აბა, როგორ გავიგოთ თქვენი თხოვნა? — კატრინი მკერდზე მიეხუტა მეუღლეს.

— რა შუაშია თხოვნა, მხოლოდ მოქმედება, ძვირფასო.

— ნუთუ ძალა კიდევ შემოგრჩა წუხანდელს მერე?

— ჩემი ბატარეები ბოლომდეა დატენილი.

— ვნახოთ, ვნახოთ — მაცდური ღიმილით მიმართა კატრინმა მეუღლეს.

ვნებათა მორევში თავქვე გადაეშვნენ თანამეცხედრენი.

— მშვენიერო კატრინ, — ძალუმად უცემდა გული იოჰიმს — შენ ნამდვილი ტანკის ძალა გაქვს.

— შენი მეშერსშიცებიც კარგად ბომბავენ ძვირფასო.

ორივეს სიცილი აუტყდა.

— კარგი, წავედი, სამუშაო მაქვს, შენ შეუდარებელი ხარ, კატრინ.

— მიყვარხარ, იოჰიმ — კატრინის თვალებზე ცრემლი აკიაფდა.

ვნებადაცლილი და გონებადაწმენდილი მიუჯდა სამუშაო მაგიდას პროფესორი.

საქაღალდე გადაშალა და საქმიანობას შეუდგა. თაბახების დასტა დაიდო წინ.

— მაშ ასე, ვირჩევთ საკითხს, დავუშვათ ეტაპი პირველი. თემა მეშვიდე „ადამიანთა ურთიერთობების ტრადიციული ფორმების გადაფასება და მათი შეცვლა სამსახურებრივი და ფულადი ურთიერთობებით“. შესანიშნავი თემაა, ძნელია, მაგრამ მიმზიდველი. აბა, ფანტაზია დაძაბეთ, პროფესორო, — თავს შეუძახა იოჰიმმა — და ფიქრი განაგრძო — რა არის ადამიანთა ურთიერთობა და რაში გამოიხატება იგი? იქნებ იერარქიული კიბის თემით დავიწყოთ? არა, ფუფუნება და

ფუფუნების საგნები? შესაძლოა. არა, ეს გამოსავალი არ არის. რა შეუძლია ფულს? ფულით შეიძლება იყიდო ან „რა“ ან „ვინ“. დიახ „ვინ“ ან „პროცესი“, იყიდო თავისუფლება, ესე იგი აუცილებელია „შეზღუდვა“, „შეზღუდვა“ არსებობს მოქმედების, შესაძლებლობების და თავისუფლების. რა აღიზიანებთ მასებს? – უკანონობის დაკანონება. ესე იგი ფულით ნაყიდი ხელშეუხებლობა. კი, მაგრამ, საიდან ფული? უკანონობიდან! ერთი წუთით. შექმნა უკანონობა, ნიშნავს შექმნა დამნაშავე. დამნაშავე და მსაჯული, ეს უკვე თემაა, მაგრამ დამნაშავემ რომ მოიპოვოს თავისუფლება, უნდა იყიდოს მართლმსაჯულება, ან ზეწოლა უნდა მოხდეს მოსამართლეზე, ესე იგი საჭიროა სახელმწიფო ინსტიტუტებში კორუფცია. ხო, რასაკვირველია დეპუტატები, და ლორდები და სენატორები, პრაქტიკულად ხელშეუხებლები არიან. სამივე ნიშნავს ზეგავლენას და ძალაუფლებას. მათ ძალაუფლება უნდა შეინარჩუნონ. ამისათვის საჭიროა ფული, ფული აქვს დამნაშავეს ან თან ახლავს მუდმივ განვითარებად პროცესს. ეს არის ბიზნესი. დავუშვათ, დავუშვათ. როგორ მივიტანოთ ეს მასებამდე? პრესით? არა, ეს ნიშნავს, რომ არსებობს ფაქტი. თუ გამოვიყენებთ ბულვარულ პრესას, მაშინ? იქმნება ჭორი, ჭორი ვირუსია, აავადებს იმიჯს. კომპრომატი? რასაკვირველია, არსებობს კომპრომატი ხელშეუხებელ სახელმწიფო პირზე. ვინ ეძებს კომპრომატს? ჟურნალისტი ქმნის კომპრომატს – კონკურენტი, ან დაინტერესებული პირი. სტოპ, არის რაღაც. ესე იგი, არის დამნაშავეთა სამყარო, როგორი? სოლისტები არ გამოდგებიან. საჭიროა ავტორიტეტი. ერთი თუ ათი? ოჯახი? რასაკვირველია, ოჯახური დამნაშავეობრივი სინდიკატი. არის პრეცენდენტი? იტალია. რასაკვირველია, კოზა ნოსტრა. რასაკვირველია, ძალაუფლება, გავლენა, ფული, როგორ?! – ეს ორგანიზმი იქმნება ტრადიციაზე. რასაკვირველია ოჯახი ყველასთვის წმინდაა. საჭიროა კანონი, კანონი – დუმილის შესახებ. დამნაშავე ისჯება სიკვდილით ან იღუპება კანონის დარღვევისათვის. ოჯახი? ეს შიშია. შიში ქმნის დუმილს? დავუშვათ, ის სოლისტია. მისი სიკვდილი ქმნის წამებულს, ეს დაუშვებელია, იქმნება კომპრომატი. პიროვნება, სოლისტი, განიარაღდება, ეცემა მისი იმიჯი და

იგი გაუვნებელყოფილია, ეს მიდგომა სწორია. ესე იგი იქმნება პირველი დებულება, „არ დავუშვათ წამებული“. დებულება მეორე, „არ არსებობს იდეალები, არსებობენ ინტერესები“. მესამე დებულება „არ არსებობს ჩაგვრა, არსებობს მფარველობა“, შესანიშნავია. გავნაგრძოთ, რითი ვიწყებთ? იდეოლოგიით, ვქმნით სინდრომს, „ძაღლი და პატრონი“. კარგი, მაგრამ სად იქმნება იგი? საზოგადოების დაბალ ფენებში, რასაკვირველია. ეს ფენა ყველაზე ნაკლებად აღელვებს მთავრობებს. აუცილებელია სიმართლე, დიახ, ძალისმიერი სიმართლე. ესე იგი ვქმნით ქუჩურ კლანს, მკაცრი წესებით და უცვლელი იდეოლოგიით. „სახელმწიფო კანონის უზენაესობის უარყოფა“ – კლანის ქვაკუთხედი. „კლანის კანონის უზენაესობა“ – მრწამსი, გავლენის სფერო – დაჩაგრულები. მასალა – ბავშვები, მოზარდები. სისტემა, მჩაგვრელი – ძაღლი, მხსნელი – პატრონი, ჩაგრულის იდეალი – პატრონი. კარგია. პატრონთა ერთობლიობა – კლანი, კლანის პატრონი – ხელშეუხებელი იდეოლოგი. მორჩილი ფენა – ქუჩის, უბნის, კვარტლის ან ქალაქის წვრილი საქმიანი წრეები. ესე იგი მასა, ხელშეუხებელი იდეოლოგიის ბერკეტი – „დაგეშილი ძაღლები“. ძაღლის გეში – მკვლელობის ლიცენზია.

ყოფითი აუცილებლობა – ამომრჩევლის ხმა. მომხმარებელი – პოლიტიკოსი. ესე იგი გვაქვს კომპრომატი, პოლიტიკოსი მართვადია. მმართველი ძალა – იდეოლოგიის მქონე აპარატი. ეს შეიძლება იყოს პარტია ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მართვად პოლიტიკოსთა გაერთიანება – ძაღლი, მყეფარი. პატრონი – ხელშეუხებელი იდეოლოგი. სისტემა მუშაობს. სისტემის დასაყრდენი – ამომრჩეველთა სახელმწიფოებრივი სიამაყე. განვითარება – სახელმწიფო მართვის ბერკეტების პყრობა. ფარი – კონსტიტუცია.

„თითქოს რაღაცას ჰგავს“ – გაიფიქრა იოჰიმმა – ახლა მათი გაშიფვრაა საჭირო“.

დრო შეუმჩნევლად გადიოდა, ფრთხილი ნაბიჯები შემოესმა უცებ, კატრინი მოაბიჯებდა. ლანგარზე ყავა და ბუტერბროდები დაეწყო. საწერ მაგიდაზე ფრთხილად დაუდგა ფინჯანი. კატრინი ის იყო გასვლას აპირებდა ოთახიდან, რომ მეუღლემ მიმართა:

— ხომ არ მოიწყინე, საყვარელო? ფრიად დიდ თემაზე ვმუშაობ, მაპატიე მოუცლელობა. თუმცა ცოტა ხნით შესვენება მინდა გამოვაცხადო.

— მესმის შენი. მაგრამ ჩემთვის, ქალისთვის ძნელად ასატანია უყურადღებობა.

— რით შემიძლია...

— შვილით! ნუ გიკვირს, მე ქალი ვარ და ჩემი უპირველესი მიზანია ოჯახი ოჯახს ჰგავდეს. გთხოვ, დედობა მარგუნე. ეს ჩემთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე...

— რატომ გაჩუმდი? ვიდრე რა?

— იოჰიმ, მე მინდა დედა ვიყო, გთხოვ...

— კი, მაგრამ მე ნამდვილი ცოლიც მყავს და შვილებიც, კატრინ!

— ვიცი. ბოდიში. არ მინდოდა ჩემი ქალური სისუსტის გამოვლინება. შოკოლადი ხომ არ მოგიტანო?

— კატრინ, მისმინე. მე, რასაკვირველია, შემიძლია შენი სურვილის ასრულება...

— მაგრამ პასუხისმგებლობა გაშინებს.

— არა.

— შენ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ხარ ამქვეყნად. მაპატიე, თუ დისკომფორტი შეგიქმენი. გთხოვ, შემინდე.

— კატრინ, მოიცა. მე მეგონა ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ... როგორ გითხრა?

— პროექტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო?

— ხო.

—იცი, ეს პროექტები ადამიანურ ფაქტორს არ ითვალისწინებდა, ის ქალური ფაქტორის გათვალისწინების გარეშე შეიქმნა. ალბათ, ძალიან ბევრს მოვითხოვ შენგან, მე ხომ მხოლოდ თოჯინა უნდა ვყოფილიყავი შენს ხელში.

— შენ, მე... უკვე...

— მიყვარხარ, ნუთუ ეს ასე ძნელია, რომ გაიგო?

— ხო... კი, მაგრამ იცი...

— ყავა გაგიცივდება, იოჰიმ. შენ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საქმე გაქვს საკეთებელი ვიდრე მე...

— კატრინ, აქ ეკლესია არის?

— არა, აქ რეიხია.

— კატრინ, მუხლმოდრეკილი გთხოვ ხელს, გთხოვ, გახდე ჩემი მეუღლე, თანახმა ხარ?

— იოჰიმ, შენგან მსახიობი არ გამოვა, ძვირფასო. ადექი ფეხზე.

— მართალი ხარ, მე არ ვარ მსახიობი, მაგრამ რაც გითხარი, სიმართლეა.

— იოჰიმ, გთხოვ, სულში არ ჩამაფურთხო. მე, უპირველესად, ქალი ვარ და შემდეგ სამხედრო მოსამსახურე.

— გეთანხმები. ჯვრისწერისას შენი სამხედრო უნტეროფიცრის ფორმა არ გამოგადგება, საჭიროა საქორწინო კაბა.

— მე ბედნიერი ვარ, იოჰიმ.

კტრინი ხელებს უკოცნიდა ქმარ-საქმროს.

პროფესორი ტელეფონის ყურმილს დასწვდა — „კომუტატორი გისმენთ“.

— შემაერთეთ პროფესორ ბერგმანს და შემდეგ დოქტორ გოლდბალტს.

— მესმის, ჰერ პროფესორო.

ორიოდ წამში ბერგმანის ბოხი ხმა გაისმა ყურმილში.

— გისმენთ.

— კურტ, გამარჯობა, იოჰიმი ვარ.

— როგორ ხარ, ძველო? ხომ არ გაიჭედე პრობლემებში?

— არა, ამის გაკეთებას ახლა ვაპირებ. ცოლი მომყავს და მეჯვარეობას გთხოვ.

— სიამოვნებით, მე თანახმა ვარ. იცი, მომავალ კვირას მე და ელეონორაც ვაპირებთ დაოჯახებას. ასე რომ, შეგიძლია შენც მომილოცო. ხო, მართლა, როდის იწერთ ჯვარს?

— ზეგ დილის 12 საათზე.

— ხო, მაგრამ აქ ხომ ეკლესია არ არის. ალბათ, კომენდატურაში არა?

— არა, ჩემთან სახლში. მე წმინდა პეტრეს ნაკურთხი ხატი მაქვს წამოღებული, რიტუალს კი, როგორც მლოცველები, ისე ჩავატარებთ. ესე იგი შევთანხმდით?

— რასაკვირველია.

— მაშ ასე, ზეგ 12 საათამდე.

ორიოდ წუთში მეორე ზარი გაისმა.

— დოქტორო გოლდბალტ...

— დიახ,

—ხმაზეც ვერ მცნობ?

— იოჰიმ, შენ ხარ?

— მე ვარ, გამარჯობა. როგორ მიდის პროექტზე მუშაობა?

— მშვენივრად, ყოველ შემთხვევაში წინსვლა მაქვს. ხო მართლა, კურტის მეუღლემ დარეკა, ჩემს მეუღლეს ელაპარაკა მეორე ტელეფონზე. შენ რა, შეიშალე?

— ხო.

— კი მაგრამ, რატომ?

— ეს ხომ სასიამოვნოა.

— შესაძლოა.

— გელოდები. ზეგ 12 საათზე ჩემთან სახლში.

— იცი, იოჰიმ, შენ ყოველთვის შეგიძლია იყო ბედნიერი, იმიტომ რომ შეგიძლია ოცნება რეალობად აქციო და რეალობა იდეალად.

— შევთანხმდით?

— შამპანური ჩემზეა.

იოჰიმმა ყურმილი დადო. საათს დახედა.

— კატრინ, სად ხარ?

— აქ, სამზარეულოში. — უპასუხა კატრინმა.

— მაშ ასე, ძვირფასო, სტუმრები დავპატიჟეთ. შენი მეგობრები არ დაგაფასებენ?

— რასაკვირველია. მე უკვე დავურეკე ჩემს მეგობარს. იოჰიმ, მეშინია.

— რისი, ძვირფასო?

— არ ვიცი. ან დიდი ბედნიერების მოლოდინი იწვევს ჩემში ამ განცდას, ან, ან არ ვიცი.

— ყველაფერი კარგად იქნება...

— იოჰიმ, ჩვენ გვეყოლება შვილები?

— ნუთუ შენ დედობაზე არ ოცნებობ?

— მე ხომ ქალი ვარ, იოჰიმ?

— იცი, ეცადე, პირველი ბიჭი გამიჩინო, მეორე შენი შეხედულების მიხედვით და ასე შემდეგ.

— იოჰიმ, მე ბედნიერი ვარ, მე არ ვიცი, რით დამთავრდება ეს ყველაფერი ან რამდენი ხანი ვიქნებით ერთად, მაგრამ მე ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა შენთან შემახვედრა.

— მეც ბედნიერი ვარ, ჩემო სიცოცხლე, ხოლო შიში ამოიღე გულიდან. მე პროფესორი კრაუზე ვარ.

— ზუსტად მაგის მეშინია, იოჰიმ.

— მესმის შენი. შენ ხომ ჩემთან ურთიერთობით სამხედრო მნიშვნელობის დავალებას ასრულებდი, ხომ ასეა?

— დიახ.

— კატრინ, შენ გრძნობ, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილი გვაქვს?

— რა გსურს ჩემგან, იოჰიმ?

— გავიგო შენს შესახებ ყველაფერი.

— გთხოვ, ოღონდ ახლა არა.

— კარგი, ასე იყოს.

— იოჰიმ, იცი, მე ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ, უპატრონო ბავშვთა სახლში გავიზარდე. მომეცი უფლება, წარმოსახვით მაინც განვიცადო ვიყო ქალი, მეუღლე და... და...

— დედა.

— ხო, დედა.

— ესე იგი, პირველი ჩვენი შვილი იქნება...

— ვაჟი... ალბათ, სახელიც შერჩეული გაქვს?

— რასაკვირველია. იცი, ჩვილი თურმე ძალიან ჭირვეული ვყოფილვარ. თუ ამ მხრივ მე დამემსგავსა, მოგვიწევს ღამეების თენება.

— ხო, ასე იქნება.

კატრინი ცოტა ხნით დადუმდა. ხელები აიფარა სახეზე.

— კეტრინ, რა მოგივიდა? შემომხედე კატრინ.

კატრინმა ხელები სახიდან ნელ-ნელა ჩამოიღო. განცდების ბზარები გასჩენოდა კატრინის პირველყოფილ ნიღაბს. კატრინი ტიროდა. ნიკაპი და ტუჩები უთრთოდა უნტეროფიცერს. იოჰიმის წინაშე ქალი იდგა.

— კატრინ, მაპატიე, თუ შენი ცრემლების მიზეზი მე ვარ. მაპატიე, ძვირფასო.

— იოჰიმ. — თითქმის ყვირილით აღმოხდა კატრინს, გაშმაგებული დაეკონა ქმრის ტუჩებს, ლოყებს, ხელებს... მუხლებზე დაეცა — მე ბედნიერი ვარ.

— კატრინ, რა მოგდის? ასე როგორ შეიძლება. აბა პირი დაიბანე სასწრაფოდ და „დამიბრუნე“ ჩემი „კატრინი“. გასაგებია, უნტერ-ოფიცერო? — ღიმილით მიმართავდა იოჰიმი მეუღლეს — ნუ დაგავიწყდა, რომ საკურთხეველთან გეტყვიან „იყავ მონა ქმრისა შენისა“, ასე რომ, ახლავე შეეჩვიე „მონობას“.

— მესმის, ჩემო ფიურერო...

— არა, ასე არა, სჯობს... — სიტყვებს დაუწყო ძებნა იოჰიმმა.

— ჩემო მფარველო, სიცოცხლეო და... — სიტყვები შეაშველა კეტრინმა

— ასე სჯობს. ხო, მართლა, ყავა დაგვრჩა?

— სად ინებებ, რომ მოგართვათ? აქ, სამზარეულოში, თუ თქვენთან კაბინეტში?

— ეჰ, კაბინეტში? არა, აქ, აქ სჯობს. იქ, — კაბინეტისკენ გაიშვირა ხელი იოჰიმმა — იქ სამსახურია, აქ ოჯახი.

— ინებე, მე მგონი კარგი გამომივიდა, ნამცხვარი ხომ არ გინდა?

— მინდა.

— რომელი გსურს?

მაცივარი გამოაღო კატრინმა.

— ყველაზე ტკბილი... „კატრინი“.

კაბინეტში განმარტოვდა პროფესორი.

„სად გავჩერდი, ხო, გამახსენდა. ჩვენ ვქმნით მონსტრს”. საკმაოდ მძიმედ მოეჩვენა თემა პროფესორს. საკმარისზე მეტად სიღრმისეულად „სულიერება აქ არ არსებობს“, „ეს სქემა იმუშავებს“.

პროფესორი ანალიზს უკეთებდა ნაშრომს.

კატრინი ჭურჭელს რეცხავდა. „ვინ მოვიწვიო ჯვრისწერაზე? ალბათ, პირველ რიგში ის ჯოჯო, მიუნხენელი მეძავი, კაპიტანი ირენ ვოლფი, ჩემი „მწყალობელი“, რას იზამს ბიურო, როცა ამ ამბავს გაიგებს? ყველაფერს. მე ხომ თოჯინა ვარ, მარიონეტი, ის კახპა ელენიც უნდა დავპატიჟო, ჰო, რასაკვირველია, ის ხომ ბიუროს მთავარი ექსპერტია, თანაც ოფიცერი, რისი ოფიცერი? რისი და როგორ ვისწავლოთ მეძაობა. ინგა? სოციოლოგი და ფსიქოლოგი, ეს კიოლნელი ბორდელების მეპატრონე, დღეს ეს-ესის შტუმბანფიურერი. ეს არის ჩემი საზოგადოება. ის კიდევ მუშაობს. ჩემი მეჯვარე ვინ იქნება? იქნებ იოჰიმის რომელიმე მეგობრის „ცოლი“? რომელი „ცოლი“, ჩვენ ხომ ყველანი ბიუროს, უფრო სწორედ სახელმწიფო იდეოლოგიის მანქანის ბოზები ვართ, მხოლოდ მარიონეტები, ფიგურები, რომლითაც შეგიძლია ითამაშო.

იოჰიმი კაბინეტში ბოლთას სცემდა.

„ძნელია ასე ეტაპობრივად განვითარება. სისტემა ჰარმონიულად უნდა ამუშავდეს. ასე საკითხების დაყენება არ შეიძლება. ფიურერი ამბობს, რომ გერმანიას პარლამენტი არ სჭირდება. ესე იგი დემოკრატიული ინსტიტუტი იცვლება ტოტალიტარულში. პრაქტიკულად ნაციონალიზმი ერთგვარ სამხედრო იდეოლოგიურ მანქანად გადაიქცევა, გამოდის, რომ არსებობს ბრძანება და არის მისი შემსრულებელი. მეორე საკითხი, ნაციონალიზმი ითვალისწინებს ეროვნული ცენზის პრიორიტეტებს. ვთქვათ, ჰიტლერმა დაიწყო ებრაელთა წინააღმდეგ ნაციონალისტური ბერკეტების გამოყენება. მე მხედველობაში მაქვს სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად აქციო ეს საკითხი. მაშინ? ეს ვერანაირად ვერ გამოვა, იმიტომ, რომ ისიც ხომ ებრაელია, მისი დედა ხომ ებრაელი იყო? და მაინც თუ ასე მოხდა, მაშინ გერმანია ხდება მხოლოდ სამხედრო მანქანა. ვინ მართავს მას? ესე იგი საჭიროა ძლიერი გონი, ვინც ამ სამხედრო ასხმულას აამოქმედებს. მოიცა, მოიცა. თუ გერმანია ევროპას დაიპყრობს, მაშინ გერმანიის საქმიან ფენებს საშუალება ექნებათ პრაქტიკულად განახორციელონ ევროპაში ეკონომიკური აგრესია. კერძოდ, საწარმოებს და სხვა სამრეწველო ობიექტების ან ყიდვა ან წილობრივი მონაწილეობა. ნიშნავს ეს ეკონომიკურ ექსპანსიას? არა, რასაკვირველია, არა, ამისთვის არსებობენ ბანკები და ბანკის უძლიერესი მექანიზმი – კრედიტი. ესე იგი გვაქვს რეიხის მარკები, ყველაზე მყარი ვალუტა. მაშასადამე, ევროპის სავალუტო ბაზარზე გერმანული მარკა ხდება დომინანტი. რასაკვირველია, არსებობს იარაღი, არა ტანკი, არა თვითმფრინავი, არამედ ფული. რამდენად შესაძლებელია რეიხის მარკა გახდეს ევროპული ვალუტა? რატომაც არა, თუ ევროპის უმსხვილესი ბანკების აქციების მფლობელები გახდებიან გერმანელები, ეს ნიშნავს, გერმანული მარკის ნებისმიერ ევროპის ქვეყანაში მათ უპრობლემო კონვერტაციას, თუმცა ამის პრობლემა არც მანამდე იყო. მაშინ? ერთი წუთით, არსებობს დაპყრობილი და არსებობს დამპყრობელი. დაპყრობილის ეკონომიკური ბერკეტები მოშლილია. ესე იგი, არსებობს ინფლაცია. მაშასადამე, ეროვნული ვალუტის მაგივრად ხდება გერმანული მარკით ჩანაცვლება. მშვენიერია, ესე იგი, ფულით ფულს ვყიდულობთ. ეროვნულ

ბანკს ემიტენტის ფუნქციას უკარგავ და ინარჩუნებ კურსს. ანაბარი დაპყრობილი ქვეყნის ეროვნულ ბანკში. შესაბამისი საგადასახადო კანონი, ეს უკვე ეკონომისტების სამუშაოა და ვინარჩუნებთ ქვეყანაში პარლამენტს, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს. ესე იგი, მყეფარებს, ანუ მართვად უმრავლესობას. აქ საჭიროა პრესა, ორივე სახის პრესა და პოლიტიკური შოუ. საჭიროა მტრის ხატი. ვის ებრძვის გერმანია? ევროპას? არა, არ შეიძლება, საჭიროა სხვა მტერი. როგორი მტერი? აი, ამოცანა. მარქსიზმი, დიახ, მარქსიზმი. ესე იგი საბჭოეთი, თუკი იარსებებს მტრის ხატი და ამ შემთხვევაში აუცილებელია მძლავრი იდეოლოგიური მანქანა, მაშინ შესაძლებელია ევროპის სახელმწიფოთა მთავრობების გაერთიანება ერთი მიზნისკენ და პარალელურად ამ ქვეყნებში ეკონომიკური ბერკეტების ხელში ჩაგდება. ესე იგი, მარქსი ჯერ ხდება გენიოსი, შემდეგ ბოროტი გენია ევროპისთვის და ამის საფუძველზე წარმოიშობა საბჭოეთის სინდრომი. თუმცა ეს თემა დასახვეწია. ვინ არის გერმანიის კონკურენტი? ამერიკა. ეს სერიოზული ძალაა და თანაც ძალიან შორს. ვთქვათ, გერმანიამ დაიპყრო ევროპა და გაჩერდა, იდეოლოგიურმა მანქანამ შექმნა მტრის ხატი. გამოვიყენოთ საბჭოეთში ჩატარებული წმენდა და გულაგებში გადასახლებული  და დახვრეტილი ხალხი წარმოვაჩინოთ წამებულებად. ვუშვებთ უნდობლობას საბჭოეთის შიგნით საკუთარი მთავრობისადმი და პათოლოგიურ შიშს ევროპაში. მაშ, ასე:

1. გერმანია იპყრობს ევროპას;
2. ეკონომიკური და ფულად-საკრედიტო სფეროს დარეგულირება;
3. ევროპის სახელმწიფო სტრუქტურების შენარჩუნება და იქ სახელმწიფო მართვის ბერკეტების ფლობა;
4. ევროპის სახელმწიფოთა ნაციონალური პოლიტიკის ხელახალი დემოკრატიზაცია;
5. მტრის ხატი;

„მე მგონი კარგია, მაგრამ გოლდბელტს მოვეთათბირები. ის ევროპის სპეციალისტია. კიდევ ერთხელ ჩამოვყალიბდეთ, სადმე ღრეჩო ხომ არ დარჩა...“

კატრინი ცარიელი ყავის ჭიქას აწვალებდა. „ერთი კვირაც არ გასულა და ვთხოვდები. ჩემი არტისტიზმი მშველის, მაგრამ იქნებ ეს ყველაფერი მართალია? ხომ შეიძლება იოჰიმს

მე მართლაც ვუყვარდე? ხომ შეიძლება რეალურად ფრაუ კრაუზე გავხდე? იმ დეგენერატ ირენს მინიმუმ ობერლეიტ-ენანტობას დავტყუებ. შესანიშნავია. მაგრამ, თუ იოჰიმს მართლა ვუყვარვარ, მაშინ? მე ხომ არავის ვყვარებივარ. იქნებ მეთამაშება იოჰიმი და დრო გაჰყავს? ის ხომ რეიხის ტვინია, მე კი არავინ, უბრალოდ სამხრეებიანი ბოზი. რაზე ვნერვიულობ? მე მისთვის მხოლოდ „სახმარი“ ობიექტი ვარ. მან ხომ იცის, რომ აქ დროებითაა? მას იდეა სჭირდება, პრინციპში ეს ასეც იყო გათვალისწინებული, მაგრამ მე თუ დედა გავხდი, მაშინ? თუ მართლა შეიქმნა ოჯახი? მაშინ? ერთადერთი, რისიც მეშინია, ეს სიყვარულია, მე ვერ შევძლებ დავალების შესრულებას და მთელ სიბინძურეს მოვუყვები იოჰიმს. ბიურო თუ იოჰიმი?”

— ბაბუა, კი მაგრამ საიდან გახდა შენთვის ცნობილი კატრინის ფიქრები — გაკვირვებით ეკითხებოდა შვილიშვილი პაპას.

— მან თვითონ მომიყვა გარკვეული დროის შემდეგ.

— ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობდით ლაბორატორიაში, ჩვენ ესე იგი, მთელი დელეგაცია. სიმართლეს გეტყვი, რეიხის კაპიტალდაბანდების მთელი პროგრამა „იქ“ შემუშავდა. მთელი გერმანული კაპიტალი ევროპაში გაიფანტა. შევქმენით სააქციო საზოგადოებები, ფირმები, კომპანიები, სინდიკატები. ოოოო, ეს დიდებული იყო. წარმოგიდგენია, ასობით მილიარდი, რეიხის მარკა შემოდიოდა გერმანიის ბიუჯეტში. ჩვენ პრაქტიკულად ევროპის ეკონომიკის გამგებლები გავხდით... ევროპული საბანკო სექტორი ბერლინის კონტროლს ექვემდებარებოდა.

— ბაბუ, ერთი შეკითხვა მაქვს. თქვენ პროექტში გათვალისწინებული იყო მარცხი?

— რასაკვირველია. ამიტომაც გაკეთდა ეს ყველაფერი. თუ გერმანია საბჭოეთს დაამარცხებდა, მაშინ ბუნებრივია, ბერლინი ევრაზიის ბატონი გახდებოდა და აქ უკვე ყველაფერი მარტივი იყო. ხოლო თუ რეიხი დამარცხდებოდა, მას საკმაოდ მძლავრი ფინანსური მანქანა ეყოლებოდა სიცოცხლის უნარიანობის გასაგრძელებლად.

— და შენ გინდა თქვა, რომ მარცხის შემთხვევაში რეიხი

ფინანსურ მონსტრად გადაიქცეოდა?

— ხო. ამიტომ არ დაიპყრო ჰიტლერმა შვეიცარია. ეს ცალკე თემაა და მერე მოგიყვები.

— შემდეგ, ბაბუ...

## თავი II
## წარსული მომავალი

„ზეგინდელი დღე — ფიქრებში წავიდა იოჰიმი — ესე იგი, მე ახალ ოჯახს ვქმნი. რატომაც არა. მე აქედან ვერასოდეს გავაღწევ, ეს უკვე ნათელია. პასპორტი მე არ მაქვს, იქნებ, ჩემებმა მიიღეს შეტყობინება, რომ მე მოვკვდი? ძალიან შორს წავედი ჩემს ფანტაზიებში". იოჰიმმა საათს დახედა, 12 სრულდებოდა. „ლაბორატორიაში მაგვიანდება" — დაასკვნა პროფესორმა — გოლდბერგს კი ლოდინი არ უყვარს, არც სხვებს, და არც მე, ამიტომ..."

— კატრინ, ძვირფასო, თუ არ შეწუხდები, იქნებ შემოხვიდე ჩემთან. სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა იოჰიმს, რომ კატრინმა შემოაღო კარი.

— კატრინ, ძვირფასო, ნამტირალევი ჩანხარ. რატომ? თუ შენ ჩვენი ქორწინება გაშინებს, გადავდოთ.

— მე შენ მაშინებ, იოჰიმ.

— რითი, რა ჩავიდინე ასეთი?

— გთხოვ, მიგდე ყური. შენ გერმანიის სიამაყე ხარ, მე კი მხოლოდ პაიკობას მონატრებული ხის ძელაკი. შენ ჩემს წარსულს არ იცნობ. ჩვენ ხომ ერთი კვირაა, რაც ვიცნობთ ერთმანეთს. გთხოვ, დრო მომეცი და დრო მიეცი შენს თავსაც. იქნებ შემდეგ აღმოვაჩინოთ ჩვენი თავი ერთმანეთში. ნუ მიწყენ, იოჰიმ, გთხოვ.

— კატრინ...

— არა. მისმინე, მე სიყვარულის მეშინია, გესმის?

— ნუ ღელავ, ძვირფასო, იყოს შენი ნება. ახლა კი ჩემი სურვილი აასრულე. ჩაიცვი და ჩვენი ლიმუზინით კათედრაზე წამიყვანე. ხო, მართლა, დღეს თეატრში წავალთ. შესანიშნავი ოპერაა „ტრავიატა". არ ვიცი, ვინ ასრულებენ არიებს,

მაგრამ მგონი ვისიამოვნებთ, შევთანხმდით?

— რასაკვირველია, რასაც შენ იტყვი.

— მაშინ წავედით.

ორი საათი იყო დაწყებული აუდიტორიაში რომ შევიდა იოჰიმი. აქ კი ნამდვილი ბრძოლა იყო გაჩაღებული, იოჰიმიც ჩაერთო დისკუსიაში.

— მიმაჩნია, რომ გერმანიამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიპყროს შვეიცარია — ბოხი ხმით ლაპარაკობდა გეორგ მაზური — ამ შემთხვევაში ჩვენ კაპიტალდაბანდების სერიოზული პრობლემები შეგვექმნება ამერიკაში.

— გეთანხმებით, გეორგ — მხარი დაუჭირა გერდ კინსკიმ. — შვეიცარიის დაპყრობით ამერიკა ევროპისათვის საფონდო ბირჟას დაკეტავს.

— მაშ ასე, — ამოღერღა ჰაგენმა, — თითოეული თქვენგანის შრომრები მე უკვე მაქვს. ბატონო იოჰიმ, გმადლობთ, რომ მოგვისწარით.

— აი, ჩემი ნაშრომი, აქ ჩემი მოსაზრებებია ყველა დასმულ საკითხზე.

— ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენი ნაშრომი გენიალურია.

— გმადლობთ, პერ ჰაგენ.

— მაშ ასე, თქვენს წინაშეა რელიგიური მოძღვრება, რომელიც ჩვენმა სპეციალისტებმა შექმნეს. მის განსახილველად დრო შეზღუდულია, მხოლოდ 2 თვე. კონსულტაციები ყოველ მეორე დღეს, ესე იგი ათვლას ვიწყებთ დღეიდან. ბატონო იოჰიმ, გილოცავთ. თქვენი გადაწყვეტილების შესახებ ბატონმა გოლდბელტმა მითხრა. ეს შესანიშნავია, მაგრამ მე მგონი ცოტა ნაჩქარევი. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— გეთანხმებით. თქვენ ხომ რეიხს წარმოადგენთ აქ, ამიტომ თქვენს რჩევას ვითვალისწინებ.

— ოოო, გმადლობთ ქათინაურისათვის.

— მაშ ასე, ზეგიდან. სწორად გავიგე?

— რასაკვირველია, ახლა ექვსის ნახევარია — საათს დახედა ჰაგენმა — გმადლობთ ნაყოფიერი მუშაობისათვის. დღეს ამით დავამთავროთ ჩვენი შეხვედრა, გმადლობთ, ბატონებო.

იოჰიმი ჩქარი ნაბიჯით დაეშვა კიბეზე. „კატრინი, ალბათ, უკვე მიცდის“. ეზოში გავიდა. კატრინი იქ არ იყო. „აგვი-

ანებს. ოხ, ეს ქალები, ან საპარიკმახეროშია, ან კაბა ვერ შეარჩია“. ვიღაც ქალი მიუახლოვდა პროფესორს კონვერტით ხელში.

— ბატონი კრაუზე ბრძანდებით?

— დიახ.

— ეს წერილი თქვენთან გამომატანეს.

— გმადლობთ, მაგრამ ვინ გამოგატანათ?

„ფოსტალიონი” უპასუხოდ გაშორდა იოჰიმს.

იოჰიმმა კონვერტი სასწრაფოდ გახსნა, ფურცელზე მკაფიოდ ეწერა „ლოჟა №5, გელი, კატრინი“.

— „ოჰო, ეს უკვე მომწონს“ — გაუელვა იოჰიმს.

სპექტაკლი დაწყებული იყო. „ლოჟა №5, აქ არის“. კარი ფრთხილად გააღო, ხავერდის ფარდები გადასწია პროფესორმა, ვიღაც ქალბატონი იჯდა ზურგით.

— მოხვედი, ძვირფასო? მართლაც შესანიშნავი წარმოდგენაა.

— შენ ოპერაში ერკვევი?

— არა, მე გრძნობების ხელოვანი ვარ. ახლა ვუსმინოთ.

იოჰიმს მზერა არ მოუცილებია კატრინისთვის. ცრემლის პირველი წვეთი მოსწყდა კატრინის თვალებს, სახე შეცვლოდა მშვენიერ ქალს, იდუმალ მრისხანებას მონაზვნური თანაგრძნობა ცვლიდა, სპექტაკლი დამთავრდა, ერთადერთი ვინც ტაშს არ უკრავდა, კატრინი იყო.

ისინი ქუჩაში გავიდნენ. ახლადა დააკვირდა იოჰიმი მანდილოსანს. უმშვენიერესი იყო იგი ქალთა შორის.

— საჭესთან შენ დაჯექი, იოჰიმ, გთხოვ.

— რასაკვირველია, ძვირფასო.

— იცი, მე მისი შემშურდა.

— ვისი?

— კარმენის.

— რატომ?

— ის ზღაპარია, მე კი რეალობა.

— გთხოვ, საღამოს ნუ გავიფუჭებთ, კატრინ.

— იოჰიმ, სადმე დამპატიჟე.

— რესტორანში?

— არა, ლუდის ბარში.

— იქ რა გინდა?

— სიმართლე ჩემს შესახებ.

ხმა არ ამოუღია იოჰიმს, ელექტრომობილი ბარისკენ დაძრა.

მანქანა ბართან შეაჩერა. მდუმარედ გაემართნენ შენობისკენ.

— იოჰიმ, მე ამ სამყაროს ვეკუთვნოდი.

— ახლა?

— შენ შეგიძლია, ისევ იქ დამაბრუნო.

— მოიცა. სანამ შევალთ ბარში, მინდა გკითხო, რისთვისაა ეს ყველაფერი?

— იმისთვის, რომ ნახო...

— მე ისედაც ვიცი შენს შესახებ ყველაფერი.

— მხოლოდ წაკითხული ან სხვისი მონაყოლი.

— არა. ეს წერილი წავიკითხე და აი ფოტოებიც.

იოჰიმმა ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და კატრინს გაუწოდა. ფოტოებზე კატრინი იყო გამოსახული, სრულიად შიშველი მამაკაცების გარემოცვაში, სხვადასხვა პოზებში იყო იგი წარმოდგენილი სხვადასხვა მამაკაცთან. წერილი აღარ წაუკითხავს კატრინს.

— შენ ეს იცოდი?

— რასაკვირველია.

— მაშინ რატომ დამცინე?

— მე არ დამიცინია და არც შეურაცხყოფის მოყენება მიფიქრია შენთვის.

— აბა, ეს!

— რა, ეს!

— ეს სურათები და ეს წერილი...

— მისმინეთ, ობერლეიტენანტო...

— რა სთქვი?

— შენ ხომ ამისკენ მიისწრაფოდი?

— ხო, მაგრამ არა ამ ფასად.

— ხარკი გადახდილი გაქვს, კატრინ.

— რას მიპირებ?

— იცი, ხვალისთვის არცერთი შარვალი არ მაქვს დაუთოებული და შენ რას მიპირებ?

— იოჰიმ, შენ ერთადერთი ხარ, ვისგანაც სიკვდილსაც, როგორც წყალობას, ისე მივიღებ.

— სენტიმენტალიზმი ჩვენი ერის აქილევსის ქუსლია. ხო მართლა, ლუდი არ დავლიოთ?

— სიამოვნებით, პროფესორო. "

„იმ საღამოს კეტრინი მე ყველაფერს მომიყვა. როგორ მოხვდა უპატრონო ბავშვთა სახლში. შემდეგ სპეციალურ გიმნაზიაში, რათა რაიმე პროფესია ჰქონოდა, რითაც ლუკმა-პურის ფულს გამოიმუშავებდა. იცი, ყველაზე უფრო ის მაკ-ვირვებდა, რომ ამ უპატრონო გოგომ მიუნხენის საფერშლო სკოლა დაამთავრა. ერთი პერიოდი მედდად მუშაობდა.

შემდეგ საბავშვო ბაღის გამგე ყოფილა. იმ პერიოდში მი-აქცია მას ყურადღება დაზვერვამ. იცი რატომ? იმიტომ, რომ მის ჯგუფებში ჩარიცხულ ოცდაათივე ბავშვს დედაზე მეტად კატრინი უყვარდა. წარმოგიდგენია, ბავშვებს მშობლები იმით აშინებდნენ, რომ თუ კარგად არ მოიქცეოდნენ, სხვა საბავშ-ვო ბაღში წაიყვანდნენ და დეიდა კატრინს ვერასოდეს ვე-ღარ ნახავდნენ. საოცარია, არა? შემდეგ ბუდიზმმა გაიტაცა. ბერლინის უნივერსიტეტში აპირებდა სწავლის გაგრძელებას. ერთ საღამოს წვეულებაზე ვიღაც მდიდარი კაცის შვილს გაუცილებია სახლამდე და... მოკლედ გაუუპატიურებია. რას-აკვირველია, პოლიციამ კატრინი გაამტყუნა, თუმცა ციხეში არ ჩასვეს, მაგრამ სამსახური დაკარგა. პურის ფულიც კი გაუჭირდა კატრინს. ძველმა ნაცნობმა გაუწია დახმარების ხელი და წმინდა ელენეს სახელობის საავადმყოფოში მოაწ-ყეს ექთნად. იმ მდიდარ ნაბიჭვარს იქაც მიუგნია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა თურმე. იმიტომ, რომ ერთ საღამოს, როცა კატრინთან მიდიოდა სამსახურში, საკმაოდ კარგი მთ-ვრალი ყოფილა და ავტობუსს შეეჯახა თავისი მანქანით. აქაც კატრინი დაადანაშაულეს და იგი ქუჩაში აღმოჩნდა. შემდეგ ბუდისტებს მიაშურა და იქ კამა-სუტრას ხელოვნებას დაეუფლა. 1938 წლიდან კი გერმანიის დაზვერვის აგენტი გახდა. იცი, მან არაფრიდან დაიწყო და ჩემთან ურთიერ-თობისას ობერლეიტენანტიც გახდა. თუმცა, მერე, მე მგონი, გერმანიის არმიაში ერთადერთი ქალი იყო, რომელმაც სამხ-

ედრო კარიერა ობერ გრუპენ ფიურერის ჩინით დაასრულა. თუმცა ამას შემდეგ მოგიყვები, ხომ არ დაგღალე, შვილო?

— არა, ბაბუა, გისმენ, განაგრძე, გთხოვ..”

იმ საღამოს კატრინმა მთელი თავისი ცხოვრების ისტორია მოუყვა იოჰიმს. ყველა დეტალი გაჭრილი ვაშლივით ემთხვეოდა ირენ კუნცის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. კატრინი სიმართლეს ჰყვებოდა.

გვიან დაბრუნდნენ სახლში კრაუზეები.

— იოჰიმ, შენ დაიძინე. დასვენება გჭირდება. მე შენს შარვლებს მივხედავ. ღამე ნებისა, იოჰიმ.

— იცი, დღეს პირველად ვიყავი მღვდლის როლში, რომელიც აღსარებას იბარებს.

— ცდები. მე აღსარება არ მითქვამს. მე შენ სიყვარულში გამოგიტყდი, იოჰიმ.

— კატრინ, გმადლობთ ყველაფრისთვის.

— რისთვის მიხდი მადლობას?

— არ ვიცი, ალბათ, სიმართლისთვის. კატრინ, გთხოვ, დაანებე მაგ შარვლებს თავი და დავწვეთ. მე შენი სითბო მწყურია.

— კარგი, მხოლოდ შხაპს მივიღებ.

— არა, არ არის საჭირო. უბრალოდ შენთან ერთად მინდა ვიყო.

— როგორც ინებებ.

— ცდები. ჩვენ ხომ თითქმის ოჯახი ვართ? მართალი ვარ?

— ჰო, იოჰიმ, ასეა.

კატრინს უაღრესი მადლიერება ეხატა სახეზე. მისი თვალები ქალურ სითბოს და გულუხვობას აფრქვევდნენ. იმ ღამეს იოჰიმს არ სძინებია. მკერდზე მიხუტებულ მძინარე კატრინზე ფიქრობდა პროფესორი. ლაბორატორიაში კონსულტაციებზე საინტერესო არაფერი ხდებოდა, მხოლოდ „გერმანიის ტვინებს“ ერთმანეთის ნახვის საშუალება ჰქონდათ და თითქმის განტვირთვის პერიოდი უფრო იყო მათთვის ეს შეხვედრები, ვიდრე სამუშაო ატმოსფერო. ერთი საინტერესო ფაქტიც მოხდა ამ პერიოდში. ახალი რელიგია, რომელიც მეცნიერებმა შექმნეს ქრისტიანობის, ისლამის და იუდაიზმის

ნაზავს წარმოადგენდა. თუმცა სამ სხვადასხვა მოძღვრებაში რომელიც რელიგიის სპეციალისტებმა შექმნეს შესაბამისად ის რელიგია იყო წამოწეული წინ, რომელი სამყაროსთვისაც იყო განკუთვნილი. პერ ჰაგენმა რეიხისეული „მამაო ჩვენოს“ განხილვა მოითხოვა. იოჰიმი სახლში დაბრუნდა. როგორც ყოველთვის, კატრინი ეგებებოდა მას, მაგრამ იმ დღეს კატრინი დივანზე დაძინებული დახვდა პროფესორ კრაუზეს. ჩუმად შევიდა იოჰიმი სამზარეულოში, ყავა მოადუღა და ნამცხვარს შეექცეოდა.

— შენ უკვე დაბრუნდი? ვერ გავიგე, ძვირფასო, ჩამძინებია, მაპატიე.

— რა მოუქნელი ვარ. ალბათ, ვიხმაურე, არა?

— არა.

— რა მოგივიდა, ადამიანის ფერი არ გადევს, რაშია საქმე?

— მე უნდა დაგტოვო, იოჰიმ.

— რატომ?

— ბიურომ მიბრძანა.

— ბოდიში და, თქვენს ბიუროს ძალიან დიდი წარმოდგენა ხომ არ აქვს თავის თავზე?

— ვერ გეტყვი.

— ერთი წუთით დამაცადე, უნდა დავრეკო.

— იოჰიმ, არ გინდა, ვერაფერს შეცვლი.

— ეს მე უკეთ ვიცი.

იოჰიმი ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

კომუტატორი — გისმენთ, ბატონო პროფესორო.

იოჰიმი — ბიუროსთან შემაერთეთ.

კომუტატორი — ვინმესთან გსურთ კერძოდ დალაპარაკება?

იოჰიმი — ირენ კუნცი, სასწრაფოდ.

კომუტატორი — ახლავე, დაგველოდეთ.

ირენ კუნცი — ირენ კუნცი გისმენთ.

იოჰიმი — პროფესორი კრაუზე ვარ.

ირენ კუნცი — რით შემიძლია გემსახუროთ, პერ კრაუზე?

იოჰიმი — რას ნიშნავს კატრინის შეცვლა? შეგიძლიათ ამიხსნათ?

ირენ კუნცი – თქვენთვის ნაკლები პრობლემის მიზნით.

იოჰიმი – ვინ გადაწყვიტა?

ირენ კუნცი – ბიუროს ხელმძღვანელობამ.

იოჰიმი – მისმინეთ, ქალბატონო, ფეხებზე მკიდია რას ნიშნავს თქვენი ბიურო. როგორ გგონიათ, რამდენად ესიამოვნება დოქტორ ჰებლს, როცა გაიგებს, რომ თქვენი ბიუროს ხისთავიანი ხელმძღვანელობის გამო ნობელის პრემიის ლაურეატ იოჰიმ კრაუზეს სამსახურეობრივი დისკომფორტი შეუქმენით? თავები არ შეგრჩებათ მხრებზე, კუნც. მითხარით, რაშია საქმე, გისმენთ.

ირენ კუნცი – მოგახსენებთ. კატრინი ფეხმძიმედაა. მან ან აბორტი უნდა გაიკეთოს, ან უნდა შეიცვალოს და...

იოჰიმი – თქვე დეგენერატებო, ჩემი შვილის მოკვლა გსურთ?

ირენ კუნცი – თქვენი მოსაზრება გასაგებია. ბიურო ბოდიშს გიხდით თავისი გადაწყვეტილების გამო. სხვა რაიმეს ხომ არ ინებებდა პროფესორი?

იოჰიმი – მომვლელი გამოგზავნეთ, გამოცდილი მომვლელი კატრინისათვის. შეასრულეთ.

იოჰიმმა ყურმილი დაახეთქა. ცოტა ხანი მდუმარედ იდგა. შემდეგ ნელ-ნელა მიბრუნდა კატრინისაკენ. ამ უკანასკნელს საშინელი შიში აღბეჭდოდა სახეზე.

– კატრინ, ბავშვი ჩემია? – ბრძანების კილოთი იკითხა იოჰიმმა.

– კი – შიშნარევი ხმით უპასუხა კატრინმა.

– ბიჭია თუ გოგო?

– ჯერ არ ვიცი, იოჰიმ.

– ხო, მაგრამ შენი აზრით ვინ არის? დედობრივი გუმანი რას გეუბნება?

– ის ნამდვილად ვიცი, რომ კრაუზეა, ოღონდ „ძე“ თუ „ასული“ არ ვიცი.

– კატრინ, შეიძლება მოვეფერო?

– ვის, იოჰიმ?

– ჩემს შვილს.

– ჯერ პატარაა – დაიბნა კატრინი – მე ხომ ჯერ მესამე თვეში ვარ.

— ხო, მაგრამ მამის ალერსს ხომ გაიგებს?

— მე გადავცემ, იოჰიმ.

— გმადლობთ, კატრინ.

—პირიქით, მადლობა შენ, რომ ჩემი ამქვეყანაზე არსებობის გამართლება მომეცი.

— კატრინ, მომაფერებინე რა ბავშვზე. ეს ეგოისტობაა შენი მხრივ.

— კარგი, ოღონდ არ ატკინო.

— გაკოცო შეიძლება?

კატრინმა გადაიკისკისა, იოჰიმს ხელები მოხვია და ტუჩებზე დაადნა.

—კატრინ, სახელს რას დაარქმევ?

— ჯერ არ ვიცი. ხო მართლა, ბიუროში...

— დაივიწყე შენი ბიურო, შენ ახლა ჩემს ბიუროში ხარ. გაიგეთ თუ უფრო დაწვრილებით აგიხსნათ, უკვე ხვალიდან, ქალბატონო კრაუზე. და კიდევ, გთხოვთ, რეცხვით და უთოობით ჩვენს შვილს დისკომფორტი არ შეუქმნათ. გასაგებია, ობერლეიტენანტო?

— მესმის, ბატონო პროფესორო — სამხედრო წესით მიმართა კატრინმა.

სპეციალური განკარგულებით ჯგუფს განსაკუთრებული ლოცვა უნდა დაეწერა. იოჰიმს წარმოდგენა არ ჰქონდა საიდან დაეწყო საქმის კეთება. ეს დავალება ხომ მასაც ეხებოდა. თითქმის ერთი თვის განმავლობაში ეცნობოდა ქრისტიანულ, მუსულმანურ თუ ებრაულ ლოცვებს. აქედან სინთეზი უნდა მიეღო, მაგრამ როგორ? ბოლო კონსულტაციებზე ჰაგენმა გამოსავალი შესთავაზა აუდიტორიას. ყველას შეეძლო გამოეჩინა იმპროვიზაციის უნარი და ან სურას ან თორას რომელიმე ლოცვა მიესადაგებინა ახალი რელიგიური მოძღვრებისათვის. საქმეს ჯგუფში რელიგიაში გათვითცნობიერებული პიროვნების არარსებობა ართულებდა.

კატრინს დამხმარე გამოუგზავნეს, შუახნის სანდომიანი ქალბატონი, თუმცა ეტყობოდა სამხედრო წვრთნებს უკვალოდ არ ჩაევლო მისთვის. ელისაბედი ერქვა, თითქმის მთელი ხელსაქმე მან გადაიბარა. სიტყვაძუნწი აღმოჩნდა გუვერნანტი, მაგრამ კატრინი კმაყოფილი იყო, მისი საქმე მხოლოდ იოჰიმით შემოიფარგლებოდა.

პროფესორი თითქმის ღამეებს ათენებდა „ახალი რელიგიის“ „მრწამსის“ შესამუშავებლად.

— კატრინ — კაბინეტიდან გასძახა „მეუღლეს“ იოჰიმმა.

— გისმენ, ძვირფასო.

— თუ შეიძლება რამდენიმე წუთი დამითმე, რაღაც მინდა წაგიკითხო.

— ბედნიერი იყოს ჩემი ფეხი თქვენს კაბინეტში, პროფესორო.

— ხო, კარგი, ნუ დამცინი.

— გისმენ, იოჰიმ.

— იცი, მუცელი უკვე შეგეტყო.

— რას იზამ, პატარა კრაუზე ტერიტორიას აფართოებს და თანაც ტყუპ წიხლსაც გულუხვად იმეტებს ჩემთვის.

— მე მგავს.

— ვითომ რატომ?

— მამა მე ვარ.

— მე კი დედა, თანაც მე მას „ელენს“ დავარქმევ.

— ის გოგონაა?

— არ ვიცი.

— ესე იგი „რიჰარდი“ ყოფილა.

— ვნახოთ. რაზე მიხმე, ძვირფასო?

— რაღაც მინდა წაგიკითხო და შენი შეფასება მჭირდება.

— გისმენ.

— ეს ერთგვარი ლოცვაა. თუმცა როგორი გამომივიდა, არ ვიცი.

— და ეს შენ შექმენი?

— ხო, შევცვალე.

— სიამოვნებით მოვისმენ.

— დავიწყო?

— გთხოვ.

— ოღონდ არ გაგეცინოს.

— რატომ უნდა გამეცინოს?

— ვიწყებ.

„შენ ხარ ღმერთი ერთი, მპყრობელი ყოვლისა მარად,
ყოველთა ცოცხალთა და არა ცოცხალთა.
შობილისა და მომავალ ქმნილად.

მწამხარ შენ სახიერებითა შენითა,
ძლევამოსილებითა შენითა ცათა შინა,
მიწასა ზედა და ქვესკნელსა ქვეშე.
გმონებ და გემორჩილები, ვითარცა მონა
შენ ყოველ მპყრობელს. მომეც ძალა
რაითა ავასრულო ნება შენი და განვავრცო
სახელითა შენითა სიტყვა შენი, რამეთუ
იგი არს მართალ. უკეთუ მომივლენ
გამოცდას რწმენისა ჩემისა, ნუ სჯად მყოფ
ცოდვათა ჩემთა, რაითა მე ადამიანი ვარ
სახითა შენითა და განდევნილ ვყავ ცთომათა
უკეთურითა შენისა ნებისა წინაშე.
შემინდე შეცოდებანი ჩემნი ვითარცა მონას
გულმოწყალე ბატონო“.
– მოგწონს, კატრინ?
– იცი, შენგან შესანიშნავი მქადაგებელი დადგებოდა.
– მახარებს ეგ სიტყვა. ახლა მეორე:
„სიტყვითა შენითა, და ბრძანებისა შენგან
არა ვამხილო უსჯულოთა წინაშე სიწმინდე შენი.
რაითა არა მიადგეს ჩრდილი დიდებას შენსა.
არამედ ვარწმუნო მოძღვრება მათი, რამეთუ
ვიცნა იგი და განგადიდო შენ ვითარცა ღმერთი
ჩემი ყოვლის მპყრობელი.
მომეც ძალა, რაითა მივაქციო რწმენად და ლოცვად
წინაშე შენდა ურწმუნონი და ვამცნო მათ
საქმენი შენი წმინდანი.
არა ვიჯერო არა სხვაითა წინასწარმეტყველებაი
რაიც არა გსურს არა იქნების ამასა
ქვეყანასა ზედა. არა ვირწმუნო მოციქულთა და
მოწამეთა შენისა გარდა საქმენი სხვათა
ფარისევლებისაი, რამეთუ შენ ხარ
ერით მპყრობელი ყოველთა. არა ვირწმუნო
სახიერება ნახატთა, რამეთუ შენი სახე მოკვდავთაგან
არავინ უწყის, შენ ხარ ანი და ჰოე
დასაბამი ყოვლისა და აღსასრული ყოველთა.
გწამებ შენ ყოველგან სახლში, ტყესა თუ წყალში

რაითა შენ არა მრთე მე უფლება
სახითა ადამიანისათა გელოცო შენ რამეთუ
შენ ყველგან ხარ. რა ვაღიარო ადგილი
ესრე ლოცვისაი უსჯულოთა სახეთა.
რამეთუ სახლი შენი არს ყველგან
საიცა ისურვებ.
— როგორია?
— შენ მე მაკვირვებ.
— ახლა მესამე:
„მოვაქციო სახელითა შენითა უცხონი ტომნი
რწმენად შენდა. ბელადნი თუ ყმანი
მათნი დიდებად შენდა. რამეთუ ვამცნო
სისუსტენი მათნი და დაუმკვიდრო
ბედნიერებაი სიცოცხლეში მათდა და
ეცხონნენ მორწმუნენი შენი
სახლსა და ეზოსა შენისას შინა
მომეც ძალა აღვასრულო ნება შენი
რამეთუ მონა ვარ შენი ერთგული“.
— ვარგა რამედ, კატრინ?
— მაზურს წააკითხე, იგი ხომ რელიგიის სპეციალისტია.
—კარგი იდეაა. თუმცა, ამ ნამუშევრებს ხვალ ლაბორატორიაში წარვადგენ, ვნახოთ რას მეტყვიან.
— კარგი, ძვირფასო. იცი ჩვენ მოგვშივდა.
— შესანიშნავია, შენ წარმოიდგინე, მეც მშია.
— ვნახავ, რა მოგვიმზადეს.
—გაგაცილებ, ძვირფასო, ან ერთად წავიდეთ სამზარეულოში.
ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა საუბარი იოჰიმს.
— გისმენთ... დიახ... რასაკვირველია... რა ბრძანეთ... კი მაგრამ, საიდან... მესმის... ახლავე წამოვალ... ჰაილ ჰიტლერ!
და პროფესორმა ყურმილი დაკიდა.
— რა მოხდა, ძვირფასო?
— არაფერი, დაუყოვნებლივ მთხოვეს ბაზის ხელმძღვანელო ბასთან შეხვედრა.
— ჩემს გამო?
— არა. მითხრეს განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეაო.

„ეზოში რომ ჩამოვედი, ესესელები დამხვდნენ. სამხედრო სალამი მომცეს და ბრძანება გამაცნეს, წერილობითი ფორმით იყო შედგენილი. იმავე გვირაბით წამიყვანეს, რითიც ბლოკ 102 მოვხვდი თავიდან. ვერმახტის გენერალიტეტიდან იყვნენ. მოკლედ გეტყვი, საკონცენტრაციო ბანაკებიდან ბავშვები გადმოჰყავდათ ბაზაში განსაკუთრებულ საბავშვო ბაღებში. მომავალი გერმანიის უხილავი ფრონტის მეომრები უნდა გამხდარიყვნენ ისინი. ჩვენ კი სანამ ბავშვები 5-6 წლის ასაკს მიაღწევდნენ, პედაგოგთა მომზადება გვევალებოდა. ამისთვის  პროგრამა უკვე შედგენილი იყო, ესაჭიროებოდა მისი დამუშავება პედაგოგიკის დონეზე და შემდეგში კადრების მომზადება.

— ბაბუა, რა ეწერა ამ პროგრამაში?

— მოგიყვები.

ბაზის მთავარი შტაბის ეზოში პროფესორი კრაუზე ესესის მეავტომატეთა თანხლებით შევიდა.

— გამარჯობათ, ბატონო პროფესორო.  გთხოვთ, გამომყვეთ.

იოჰიმი მდუმარედ გაჰყვა კომენდანტს. შენობაში შევიდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ლუვრში არ არის იმდენი ფერწერული ტილო, რამდენიც ამ შენობის მისაღებში იყო გამოფენილი. შენობა კი თითქმის ვერსალის სასახლის იდენტური იყო, ოღონდ შემცირებული ზომებით. პროფესორი კაბინეტში შეიყვანეს.

— ჰერ პროფესორო, გთხოვთ, აქ დაელოდოთ შემდეგ განკარგულებას, ჰაილ ჰიტლერ! — სამხედრო წესით მიმართეს კომენდანტებმა იოჰიმს და კარი გაიხურეს. ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია კრაუზეს. კომენდანტმა მალევე მოაკითხა და უბრძანა გაჰყოლოდა. საკმაოდ მოზრდილ ოთახში შევიდნენ, ერთ მხარეს ჰიტლერის სურათი და გერმანიის უზარმაზარი დროშა იყო გამოფენილი. ოთახის შუაში დიდი ოვალური მაგიდა და მაღალი საზურგიანი სკამები იყო განთავსებული.

— გთხოვთ, დაბრძანდეთ, პროფესორო — ზრდილობიანად ამეტყველდა კომენდანტი — თქვენის ნებართვით დაგტოვებთ.

მოპირდაპიდე მხარეს კარი გაიღო. ვიღაც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პიროვნება გამოჩნდა.

— ბატონო პროფესორო, მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, მე დოქტორი მიულერი გახლავართ. გთხოვთ დაბრძანდეთ, ბატონო კრაუზე.

— მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, ბატონო მიულერ.

— ცოტა ხანში თათბირი დაიწყება, თქვენი დასწრება აუცილებელია.

— მზად ვარ გემსახუროთ.

დარბაზში იოჰიმისთვის სრულიად უცნობმა ხალხმა იწყო დენა. მდუმარედ შემოდიოდნენ. მათი პირქუში სახეები და ზიზღნარევი თვალები ამ საზოგადოებისადმი აბსოლუტურ უნდობლობას უნერგავდა იოჰიმს. ბატონი ვალცი სხდომის თავმჯდომარის ადგილას დაჯდა. სათვალე შეისწორა და მტკიცე ხმით მიმართა საზოგადოებას.

— ბატონებო, მოხარული ვარ, რომ თქვენთან შეხვედრის საშუალება მომეცა. თქვენ წარმოადგენთ გერმანიის იმპერიის ყველა სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურს. ჩვენ პატივი დაგვდო ბერლინმა, თათბირზე დასასწრებად მოავლინა თვით ფიურერის პირადი მრჩევლები და მადლობა მინდა მოვახსენო დოქტორ ჰერცს მისი აპარატის წარმომადგენლის მოვლინებისთვის ამ შეხვედრაზე. მინდა სიამაყით აღვნიშნო, რომ პროგრამა „კლონირებული ერი“ საკმაოდ დაიხვეწა და მინდა ასევე სიამაყით აღვნიშნო, რომ შეიქმნა ახალი რელიგიაც კი, რომლის შესახებ თქვენ უკვე ხართ ინფორმირებულები. ამ ეტაპზე, ჩვენ, პროგრამის ხელმძღვანელები ვმუშაობთ პროგრამის საბოლოო სახემდე მიყვანაზე, რაც, ალბათ, წლის ბოლომდე მზად იქნება, სულ რამდენიმე თვეში, ამის საშუალებას დრო გვაძლევს. რაც შეეხება საბოლოო ეტაპს — „თაობა“, ამასთან დაკავშირებით ინსტრუქციებს თქვენგან ველოდებით, ბატონებო.

ერთ-ერთი, ასე ვთქვათ, დელეგატთაგანი წამოდგა. მას თავისი ვინაობა არ გაუმხელია, ჩემი აზრით, ჩემს გარდა მას ყველა იცნობდა. თავდაჯერებული და ამაყი ხმით ალაპარაკდა. გონებაში მას „ვირთაგვა“ შევარქვი.

— ბატონებო, მოგახსენებთ, ჩვენი სამსახურის ძირითად

მიზანს ადამიანთა ზომბირება წარმოადგენს, გთხოვთ, ეს სიტყვა ნუ შეგაშინებთ – ბრძანებდა „ვირთაგვა“ – ეს პროცესი, მე მხედველობაში მაქვს ადამიანის ზომბირება, ფრიად უმტკივნეულოა ობიექტისათვის, თუმცა გარკვეულ გართულებებს მაინც აქვს ადგილი. მოგეხსენებათ, ყოველი ადამიანი მეტ-ნაკლებად მგრძნობიარეა ჰიპნოზისადმი. ობიექტებზე, რომლებიც წარმოებაში არიან ჩაშვებულნი, სამედიცინო პერსონალი ინსტრუქციის შესაბამისად აწარმოებს ზემოქმედებას და შემდეგ ხდება მათი ჰიპნოზირება, ბატონებო, მომიტევეთ მე ამ საქმის სპეციალისტი არ გახლავართ, ამიტომ შევეცდები, გასაგები ენით მოგახსენოთ ჩვენი მიღწევების შესახებ. ჩვენი მეთოდიკით ნებისმიერი ობიექტის დამუშავება შესაძლებელია ჩვეულებრივ სამოქალაქო პირობებშიც. ჩვენი სპეციალისტები იყენებენ ჩინეთის, ფილიპინელი აბორიგენების, ავსტრალიელი აბორიგენების, ინდიელთა და სხვათა ადამიანის ზომბირებასთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ჩვენმა მეცნიერებმა შექმნეს ფსიქოტროპული და ჯერ მსოფლიოსთვის უცნობი ნარკოტიკული ნივთიერებები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია სტრესის დროს ობიექტი მზად იყოს ნებისმიერი ქმედების ჩასადენად, მათ შორის ჩაატაროს მითითებულ პირთა სალიკვიდაციო სამუშაოები. მე სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ თითოეულ ამ სახის ობიექტში ჩადებულია თვითლიკვიდაციის კოდი, რაც ჰიპნოზირების მეთოდის გამოყენებით იქნა მიღწეული. რაც შეეხება ნარკოტიკებს, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე აღვნიშნე, ეს პრეპარატები ობიექტებს სისტემატურად მიეწოდება. შედეგები, ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შესახებ იძლევა იმის გარანტიას, რომ რეიხის სადაზვერვო სამსახურს შეიარაღებაში აქვს იარაღის ახალი ტიპი, რომელსაც „სანიტრები“ ვუწოდეთ. ასე, რომ პროგრამა „კლონირებული ერის“ ეს ნაწილი პრაქტიკულად დამთავრებულია, დარჩენილია მხოლოდ ზოგიერთი საორგანიზაციო საკითხი, რომელიც „სანიტრების“ განვითარებას ეხება. ვიმედოვნებ, რომ ამ საკითხსაც წარმატებით გადავწყვეტთ. ჩვენი საქმიანობის დეტალების შესახებ თითოეულ თქვენგანს გადაეცემა აქტების კრებული, რათა უფრო ნათელი გახდეს ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს

სირთულე და აუცილებლობა გერმანიის შეიარაღებული ძალების გაძლიერების მიზნით. გმადლობთ.

— გმადლობთ მოხსენებისთვის, შემდეგ მომხსენებელს ვთხოვთ! — ბრძანა მიულერმა.

ეს ახალი მომხსენებელი მაღალი, თითქმის ავადმყოფური შესახედაობის ადამიანი იყო, არც მას დაუსახელებია თავისი ვინაობა, იოჰიმმა მასაც მოუნახა სახელი „ნემსიყლაპია“.

— ბატონებო, — ამტკიცებდა „ნემსიყლაპია“ — ჩვენი სამუშაოები ძირითადად მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ეხებოდა. ვეცდები, მოკლედ მოგახსენოთ ჩვენს მიერ ჩატარებულ სამუშაოთა შესახებ.

„ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, მექსიკაში და მთელ სამხრეთ ამერიკაში შექმნილია ფირმები და კომპანიები, რომლებიც თავიდან ბერლინის მიერ გამოყოფილი თანხებით დაფინანსდა. ეს კომპანიები აკონტროლებენ ძირითად სავაჭრო და სამომხმარებლო ბაზარს, ასევე მსხვილი ინვესტიციები გამოიყო საკურორტო, დასასვენებელი და გასართობი ობიექტების შესაქმნელად. სამხრეთ ამერიკაში ფუნქციონირებს ჩვენს დაქვემდებარებაში მყოფი ათი ფარმაცევტული ქარხანა, რომელთა მიერ წარმოებული პრეპარატების უმეტესობა გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში სამეცნიერო ექსპერიმენტების შედეგად მიღებულ გამოცდილებას ემყარება. ჩვენ ვაკონტროლებთ სამხრეთ ამერიკის სატრანსპორტო, საფოსტო და საფარმაციო სამსახურების 25%-ს. ჩვენი ძირითადი ოფისები განლაგებულია ნიუ-იორკში, ფლორიდაში, ბუენოს აირესში და რიოდეჟანეიროში, ევროპაში: პარიზში, ლონდონში და რომში. მინდა მოგახსენოთ, რომ დღეისათვის ევროპის საწარმოთა სრული სააქციო პაკეტის 41%-ს ბერლინი განაგებს. რაც შეეხება ენერგეტიკას, ევროპის 32% ჩვენს განკარგულებაშია. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა პეკინის, დელის და ანკარის ოფისების ჩამოყალიბებასთან დაკავშირე ბით. მოგახსენებთ, ეს უკანასკნელი იქმნება ევროპის და ამერიკის მოსახლობაში უმუშევრობის გაზრდის მიზნით, რათა მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩვენს კონტროლს ექვემდებარებოდეს, თუმცა ამ პროექტის განვითარებას დრო სჭირდება. მოგეხსენებათ, ეს ქვეყნები მე

მხედველობაში მაქვს, განვითარებადი ქვეყნები, აქ საკმაოდ იაფი მუშახელია. თანაც ამ საკითხებს პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. აშშ-ში შექმნილია 3 ჰუმანიტარული ფონდი, რომელიც სამხრეთ ამერიკიდან და ფლორიდიდან იკვებება, განსაკუთრებით დიდი სამუშაოები მიმდინარეობს სათამაშო ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით. ჩვენ მაქსიმუმ ორი წლის განმავლობაში მზად გვექნება საშუალება პროგრამა „კლონირებული ერის“ ხელმძღვანელობას ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოების დასრულებული სახე წარვუდგინოთ. მადლობა ყურადღებისათვის.

— გმადლობთ მოხსენებისათვის. ბატონო კრაუზე, დამსწრე საზოგადოება გელით, გთხოვთ — მიმართა მიულერმა იოჰიმს.

— ბატონებო, უპირველესად, მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ მიულერს ჩემი აქ მოწვევისათვის და ასევე მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა თქვენი გაცნობისა, ბატონებო...

— ბევრი ვილაპარაკე, შვილო. ძალიან ბევრი, თითქმის ნახევარი საათი. მთელი იქ დამსწრე საზოგადოება ყურებდაცქვეტილი მისმენდა. თითოეული ეტაპი განვიხილე პუნქტების მიხედვით და როცა რელიგიის საკითხების განხილვას მოვრჩი, მათ თვალებში უსაზღვრო ზიზღი დავინახე.

— რატომ, ბაბუა, შენც ხომ ერთ-ერთი იმათგანი იყავი?

— ხო, მაგრამ მაინც ვეზიზღებოდი ყველას. მეც მძულდა ჩემი თავი.

— ბატონო კრაუზე — მომმართა „ვირთაგვამ“ — თქვენს მიერ ჩატარებული სამუშაოების და თეორიების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ თვით ეშმაკიც კი თქვენი მონა-მორჩილი ყოფილა.

— ნება მიბოძეთ, გკითხოთ, რა გაძლევთ ასეთი დასკვნის საბაბს?

— თქვენს „ლოცვებში“ არ აღიარებთ არც ხატებს, არც ეკლესიას, არც სინაგოგას და არც მეჩეთს, საერთოდ არანაირ სამლოცველოს, თქვენთვის არ არსებობს მესია და წინასწარმეტყველი. განა ჩემს მიერ მოყვანილი არგუმენტები არ ადასტურებს ჩემი მოსაზრების სისწორეს?

—ვერნან, შეწყვიტეთ — ღიმილით მიმართა მიულერმა „ვირთაგვას“ — თქვენს მიმართ, ალბათ, იდეოლოგიური მუშაობის დაწყებას მოვითხოვ.

„ვირთაგვას“ სახე დაუგრძელდა.

— მაპატიეთ, ჰერ კრაუზე, ალბათ, უხეშად ვიხუმრე, გთხოვთ, მომიტევოთ. — აკანკალებული ხმით მომმართა „ვირთაგვამ“.

— ბატონო კრაუზე, მე თქვენ განსაკუთრებული დავალება უნდა მოგცეთ. საქმე ისაა, რომ თქვენი ჯგუფის ხელმძღვანელი გესტაპომ აიყვანა გარკვეული მოსაზრების გამო. ჯგუფმა რეკომენდაცია თქვენ მოგცათ. გილოცავთ, პროფესორო.

— გმადლობთ, ბატონო ჩემო. მზად ვარ, ვემსახურო ფიურერს.

— იცით, — ღიმილით მომიგო მიულერმა — თქვენგან სამხედრო არ დადგება, მაგრამ მსოფლიო პიროვნება, რასაკვირველია, თუმცა უკვე ბრძანდებით მსოფლიო რანგის მეცნიერი. ხო, მართლა, ფრაუ კრაუზეს დაწინაურების შესახებ მგონი არაფერი იცით. ერთი საათის წინ იგი პროექტ „მომავლის ახალგაზრდების“ ხელმძღვანელი გახდა. მომავლის ახალგაზრდობა კი საბავშვო ბაღებში უნდა გაიზარდოს. თვითონ მომავალმა დედამ ორი ათასზე მეტ ბავშვს უნდა გაუნაწილოს დედობრივი სითბო და, რაც მთავარია, ახალი რელიგიით უნდა აღზარდოს თქვენს მიერ შეთხზულ ლოცვებზე დაყრდნობით.

— მე გაოგნებული ვარ.

— ნუ გაოგნდებით, თქვენს მუღლეს ჰაუპშტურმფიურერ ფრაუ კატრინ კრაუზეს მოკითხვა გადაეცით. ის მე ყოველთვის „ჯალათს“ მიწოდებდა. ნახვამდის, პროფესორო.

— ნახვამდის...

— თქვენ გაგაცილებენ — ბრძანა მიულერმა და იქვე მდგომ ესესელებს რაღაც ანიშნა.

სახლში დარეტიანებული დავბრუნდი.

— იოჰიმ, რა კარგია, რომ მოხვედი. — აჭიკჭიკდა კატრინი — იცი, ბავშვი ისე ძალუმად მიბრახუნებს, რომ ლამისაა შუაზე გავსკდე. დღემ როგორ ჩაიარა, ძვირფასო?

— გილოცავ დაწინაურებას.

— რა გაქვს მხედველობაში, იოჰიმ?

— ქალბატონო ჰაუპშტურმფიურერო, თქვენ „ჯალათმა“ მოკითხვა გადმოგცათ და დამავალა გადმომეცა, რომ პროგრამა „მომავლის საზოგადოება“ შენი განკარგულებებით დაიწყებს მოქმედებას.

— რა არეულად მელაპარაკები, ჩემო სიცოცხლე?

— შენ ყველაფერს მიაღწიე, ფრაუ კრაუზე, ოღონდ ჩემს ხარჯზე.

— თუ შენ ჩემი წინსვლა განერვიულებს, მე უარს ვამბობ ყველაფერზე, გპირდები.

— შენ რა, შეიშალე?

— არა.

— აბა რა გჭირს?

— სიყვარული, დედობა და მეუღლეობა.

— კარგად თვალთმაქცობ.

— არა. თუ შენ რაიმეთი ხარ გაღიზიანებული, გთხოვ, ჯავრს ჩემზე ნუ იყრი.

— ხვალიდან შენი მოვალეობის შესრულებას უნდა შეუდგე. აი ინსტრუქცია.

— იოჰიმ, მომეხმარები?

— ვნახოთ.

— იოჰიმ, გთხოვ, ნუ მიბრაზდები.

— დილის ცხრა საათზე ერთად გავალთ სახლიდან. ლაბორატორიაში უნდა წავიდეთ, შენს ხელქვეითებს უნდა წარუდგინო თავი.

— კარგი, ოღონდ გთხოვ, ნუ მიყვირი, ნუ მიყვირი, გესმის? კატრინი ატირდა, უმწეო ბავშვივით ქვითინებდა ვერმახტის კადრის ოფიცერი.

— ხო, კარგი, ნუ ტირი, გთხოვ. დღეს მძიმე დღე მქონდა, მაპატიე.

— არა, არ გაპატიებ.

— რას იზამ?

— რას და... ჯერ მოვიფიქრებ.

— კარგი, ნუ სლუკუნებ. გთხოვ, გაჩუმდი. აბა შემომხედე, ასე. გაიცინე, გაიცინე, გეხვეწები. აი, აი, მუხლმოდრეკილი

გეკედრები, გამიცინე, გაიგე? ჩემთვის ღიმილი გენანება?

— შენთვის სიცოცხლე არ მენანება, იოჰიმ. ჩემს ჯერარდაბადებულ შვილს ვფიცავარ. მე მთელი გულით მიყვარხარ, იოჰიმ, დამიჯერე, გთხოვ.

— მაპატიე.

იოჰიმმა ნაზად აკოცა კატრინს.

— აბა, ეს რას ჰგავს, კატრინ? ცხვირი მოწიე, უნდა მოგხოცო, ნუ მეჯიუტები, აბა ერთი ჰჰჰჰ ქენი, ასე.

— ნუ მაბავშვებ, ჰერ კრაუზე.

— აბა, დედობა გსურს, ჩემო გოგონა?

— დიახაც, მინდა. კი, მაგრამ რა ინსტრუქცია მომიტანე? ესეც ხომ შენი დაწერილია, ჰოდა, მითხარი რა მევალება.

— ღმერთო, რა დავაშავე. რა დროს ამის ბავშვი იყო, ჯერ თვითონ ბავშვია.

— ჰოდა, ჩემი თოჯინა მეყოლება, შენ კი ორი თოჯინა გეყოლებით.

— ხო, კარგი, სულ ნუ გადამრევ.

— მიდი, გადაირიე რაა, გეხვეწებით ორივე, გადაირიე რა.

— მე შენ გადაგრევ ახლა, ვიტამინები რატომ არ მიიღე?

ან წვენებს რატომ არ სვამ? იცოდე, იცოდე...

— ერთ ადგილს ამიწითლებ იოჰან?

— დიახაც.

— მერე მატკენ?

— გატკენ, ჩემო სიცოცხლე.

— ამ კრაუზებმა რა გამიწყალეთ გული, მამა მეჩხუბება, შვილი კი წიხლებს მიშენს.

კატრინმა ბლუზა აწია და ორი თითი მუცელზე მიიტკაპუნა.

— რას შვები, კატრინ?

— მივტყიპე, აქ ტაკუნები ჰქონდა და მოვცხე.

— ღმერთო, ნუ გადამრევ.

იოჰიმი ღიმილით გაშორდა კატრინს და კაბინეტში შევიდა, კატრინი თავისთვის ალაპარაკდა.

— შვილო, წამო, მამიკო გავაბრაზოთ, გინდა? არ გინდა? იქნება მერე მაინც იფიქროს ჩვენი მოფერება. წამო, წავიდეთ, ფეხაკრეფით მივეპაროთ მამიკოს.

კატრინი წამოდგა და ფეხის წვერებზე მდგარი ნელ-ნელა დაიძრა იოჰიმისკენ, ღია კარში იოჰიმს ყველაფერი ესმოდა.

— არ მანებებთ თავს, თქვე ოინბაზებო?

— არა, ჯერ მოგვეფერე, მერე ვნახოთ. ნუ დაგავიწყდება, ჩვენ ორნი ვართ, შენ ერთი, იცოდე, მოგერევით.”

ის საღამო უბედნიერესი იყო ჩემთვის, მე პირველად ვიგრძენი თავი ბედნიერ კაცად მთელი ამ ხნის განმავლობაში. მეორე დღე კი ნამდვილი ჯოჯოხეთის დასაწყისი აღმოჩნდა.

— კეტრინ, გაიღვიძე.

— არ მინდა.

— ქალბატონო, ეს-დეს ჰაუპშტურმფიურერო, სასწრაფოდ ადექით ლოგინიდან!

— მესმის, ჩემო ფიურერო. — ამოიკვნესა კატრინმა და საბანი წაიხურა.

— კატრინ, კაი რა, ნუ გადამრევ, სამსახურში არ მოდიხარ?

— ჩემს ფიურერს სძინავს, შენ წადი და შენს ფიურერს ემსახურე. — ლოგინიდან ხელი გამოყო კატრინმა და ხელი დაუქნია ქმარს.

— კატრინ!

— ვდგები, ვდგები. მომეხმარე ადგომაში.

— ახლავე, აბა წამოდექი, ასე.

— აუ, რამხელა მუცელი მაქვს, არა?

— ჰო, ჩემო კარგო.

— აუ, რა გაბღენძილი მივალ სამსახურში.

— მიყვარხარ, კატრინ.

— მეც მიყვარხარ, ოღონდ კაბა მომაწოდე რაა.”

ჩვენ ხელკავით გამოვედით ქუჩაში. ჩვენი მანქანა სადგომზე დავტოვეთ და ფეხით გავუყევით გზას. პრინციპში ლაბორატორიამდე შორი არ იყო. თანაც კეტრინისთვის ფეხით გასეირნება ფრიად მიზანშეწონილად მიმაჩნდა. იცი, მე ბერლინში არასოდეს მიფიქრია ჩემს მეუღლესთან ერთად სეირნობაზე, ჩემი შვილებიც ისე გაიზარდნენ, რომ თითქმის

ხელში არ ამიყვანია არც ერთი. ჩემი ქალ-ვაჟი, ჩემი შვილები იცი როგორ მენატრებოდნენ? ამის ახსნა სიტყვებით შეუძლებელია. ახლა კი მე ხელახლა უნდა განმეცადა მამობა. ყველანაირად ვცდილობდი ვყოფილიყავი ისეთი, რაღაც იდეალური, მოსიყვარულე, თბილი, თუმცა... განვაგრძოთ თხრობა?

— ბაბუა, ხომ არ დაიღალე? იქნებ შეგვესვენა?

— არა, ბაბუა. აქედან იწყება ჩემი ცხოვრების ჟანგიანი ოქროს ხანა.

პროფესორი კრაუზე და მისი მეუღლე ეს-დეს ოფიცერი, ლაბორატორიის ტერიტორიაზე შევიდნენ. მძიმედ, აუჩქარებლად მიაბიჯებდნენ კრაუზები. კატრინს სიარული უჭირდა, იოჰიმიც ცდილობდა ნელა ევლო, რაღაც განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა ქმარი ცოლის მიმართ. შესასვლელთან დაცვის თანამშრომლებმა სამხედრო სალამი მისცეს კატრინს. იოჰიმს კი თავი დაუკრეს მისალმების ნიშნად.

— ხედავ, ძვირფასო, რას ნიშნავს, იყო ვერმახტის ოფიცერი?

— ვხედავ, ჰაუპტშტურმფიურერო.

შემდეგ ყურში ჩასჩურჩულა — იცი, აქ მე ვარ უფროსი, ასე რომ, მე მემორჩილები.

— იოჰიმ, მთელი ჩემი ცხოვრება შენ გმორჩილებ და შენ დაგემორჩილები, ასე რომ ჩემს ჩინზე ნუ იეჭვიანებ.

— გასაგებია, აუდიტორიაში შევიდეთ.

— ჯერ მე შევალ, შემდეგ შენ შემოდი, ინსტრუქციით ასეა გათვალისწინებული.

— კარგი, მიბრძანდი.

— კი არ მიბრძანდი, არამედ უნდა მითხრათ „გთხოვთ, მიბრძანდით, გასაგებია?

— არა, მაგრამ დროზე შედი.

კატრინი გაბუტული ბავშვივით მიაჩერდა, შემდეგ სამხედრო სალამი მისცა და აუდიტორიის კარი შეაღო. კინაღამ სიცილი აუტყდა იოჰიმს.

მკაცრი სახით შევიდა აუდიტორიაში იოჰიმი. ასკაციან აუდიტორიაში ყველა ადგილი დაკავებული აღმოჩნდა. კათედრასთან კატრინი და ინგა ჰერდი, ბიუროს შტუმბნფიურერი

ისხდნენ. აუდიტორიას მოავლო თვალი პროფესორმა, მერხებზე თითქმის ბავშვები, ასე 16-17 წლის ქალ-ვაჟები ისხდნენ. „ალბათ, უკვე დააწყვილეს“, გაუელვა თავში იოჰიმს და კათედრას მიუახლოვდა. მთელი აუდიტორია ფეხზე წამოხტა და სამხედრო სალმით მიესალმა პროფესორს.

— დაბრძანდით. მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა გავცნობოდი ახალი მსოფლიოს „მოციქულთა“ ღირსეულ წარმომადგენლებს. ტერმინი „ახალი მსოფლიოს მოციქულები“ ეს თქვენი ჯგუფის კოდური სახელწოდებაა. თქვენ გეკისრებათ უაღრესად მძიმე და ამავე დროს კეთილშობილური მისია, წინ წარუძღვეთ მსოფლიო ერებს ახალი წესრიგისაკენ. ქრისტიანულ, ისლამურ თუ სხვა აღმსარებლობის მქონე ქვეყნებში ახალი საზოგადოების ჩამოყალიბება თქვენს სახელთან იქნება დაკავშირებული, თქვენ რეალური იმედი ხართ, ამიტომ კეთილი ინებეთ და ის ფუნდამენტური თეორიები და საკითხები, რომელთა შესწავლაც თქვენ გევალებათ, მაინ-კამპფივით სიტყვა-სიტყვით ისწავლეთ და შეისისხლხორცეთ. აქ ჩემს გვერდით ბრძანდებიან თქვენი პედაგოგები ფრაუ ინგა ჰერლი და ფრაუ კატრინ კრაუზე. მათ ერგოთ პატივი იყვნენ „მსოფლიო მოციქულთა“ პირველი პედაგოგები. გახსოვდეთ, აქ რეიხია, ფრონტის წინა ხაზი. გილოცავთ, ჯარისკაცებო, პირველ საბრძოლო ნათლობას.

— ვემსახურებით გერმანიას, ჰაილ ჰიტლერ! — ერთხმად იხუვლა დარბაზმა.

— ნება მიბოძეთ — განაგრძო პროფესორმა — სიტყვა გადავცე ფრაუ ჰერდს.

ფრაუ ჰერდი ეტყობა შთაბეჭდილების მოსახდენად უბრალო, თითქმის საშინაო კაბაში იყო გამოწყობილი. თმაც არ შეეღება. ჭაღარის სიმრავლე მისი პერსონისადმი განსაკუთრებული სიმპათიით გმსჭვალავდა.

— მისმინეთ — თითქმის მონაზვნის ხმით ალაპარაკდა ინგა. ხელებზე დააკვირდა იოჰიმი, უსწორმასწოროდ ჰქონდა დაჭრილი ფრჩხილები „მოძღვარს“. გაოცდა იოჰიმი, — შტუმბენფიურერი ჭეშმარიტი მოძღვარივით ქადაგებდა, კაბინეტებში შექმნილ რელიგიას, თანაც იოჰიმის ხელით შექმნილი ლოცვებით ლოცავდა „მრევლს“.

ეს ახალგაზრდები უნდა ყოფილიყვნენ მომავალი, ახალი, კლონირებული ერის პიონერები. მომავალი, „რეიხის აკვნის“ ანუ საბავშვო ბაგა-ბაღების პედაგოგები. ათასობით ბავშვი, რომელთაგან საკმაოდ დიდი ნაწილი, ჯერ კიდევ ძუძუმწოვარი, მათ უნდა აღეზარდათ ახალი რელიგიით, ახალი მრწამსით და ახალი სულისკვეთებით. ჯგუფი ორად გაიყო. ერთ ჯგუფს კატრინი ჩაუდგა სათავეში, ხოლო მეორეს ინგა. იოჰიმმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ „მოციქულთა“ 20-ზე მეტი სკოლა არსებობდა რეიხის წიაღში და ასი ათასობით ომის შედეგად მიტოვებული, ობლად დარჩენილი, თუ სამშობიაროდან წამოყვანილი ახალშობილის აღსაზრდელად ათობით საბავშვო ბაღი და ბაგა-ბაღი იყო შექმნილი.”

— ხომ არ დაგღალე, შვილო?

— არა. ერთი შეკითხვა მაქვს. შეიძლება?

— ბრძანე.

— ამ ბავშვებს როცა აღზრდიდით, გაანათლებდით, შემდეგ რას უპირებდით, სად უნდა წაგეყვანათ?

— კარგი შეკითხვაა. სანამ ომი დამთავრდებოდა, მთელ ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში უკვე არსებობდა ოჯახები, რომლებიც ბავშვების შემდგომ აღზრდას ითავებდნენ. ეს ოჯახები უკვე საკმაოდ შეძლებულ და გავლენიან სუბიექტებს წარმოადგენდნენ. რაც შეეხება „ოჯახებამდე“ მათ მიყვანას, ამას უპატრონო ბავშვთა სახლები და ჰუმანიტარული მისიები ასრულებდნენ, ეს ორგანიზაციები პროგრამის ნაწილს წარმოადგენდნენ.

— დღეს სად არიან ისინი, ბაბუა?

— სად არიან? ყველგან, მათ „მომავლის ბიურო“ მართავს. „მომავლის ბიურო“ კი ტამპლიერების ორდენისა და მასონთა ლოჟის მმართველობის სისტემის სინთეზია.

— მე?

— რა შენ? შენი მშობლებიც „მომავლის ბიუროს“ დაქვემდება რებაში არიან, ისევე, როგორც შენ.

— მე ვიცი ეს, მაგრამ... შენ მონსტრი ხარ, ბაბუა.

— ვიცი. ახლა რითი ხარ დაკავებული, რას აკეთებ?

— მე ჟურნალისტი ვარ, ბაბუა.

— კარგია, კარგი.

— ბაბუ, ერთი შეკითხვა მაქვს.

— ბრძანე.

— შენ დღეს ალან დე ნევილად იწოდები, რატომ?

— შტერო, იოჰამ კრაუზე მოკვდა, გასაგებია?

— როგორ მოკვდა იოჰამ კრაუზე?

— 1943 წელს გარდაიცვალა იოჰამ კრაუზე და მისი ოჯახი, ინგლისის თვითმფრინავებმა შეადწიეს გერმანიის გულში და ბერლინის გარეუბანი დაბომბეს. ერთ-ერთი სახლი, რომელსაც ჭურვი მოხვდა, კრაუზეს ეკუთვნოდა. სიმართლე ის არის, რომ ეს სახლი მე მართლა მეკუთვნოდა და ის ხალხი, ვინც იმ სახლში დაიღუპა, მართლა ჩემი ცოლ-შვილი იყო. მათი საფლავები მე და ბებიაშენმა მოვინახულეთ ტურისტული მგზავრობის დროს. იქ ჩემი ცოლ-შვილია დამარხული. გესმის?

— ბაბუ, ნუ ტირი, გთხოვ.

— რატომ? რატომ ნუ ვტირი? იქ ჩემი ალფრედი და ელენი არიან დაკრძალულნი, იქ ჩემი მეუღლე მართაა დაკრძალული. ვინ იცის იქნებ თვალების დამხუჭველიც კი არ ჰყავდათ მათ და, ალბათ, სამადლოდ შეჭედილ კუბოებში ჩასვენებულები მიაბარეს მიწას.

— ბაბუა, გთხოვ, გაჩერდი. ეს ხომ დიდი ხნის წინ მოხდა.

— იქ დაკრძალულია იოჰამ კრაუზე, მე კი მისი აჩრდილი ვარ, ლაბორატორიის ვირთხა.

— ჩემი ბებია, როენა? ის კატრინი იყო?

— ხო, ბაბუ, ის კატრინია. ჩვენი შვილები, მამაშენი და ბიძაშენი ორივე „მოციქულთა“ აღზრდილები არიან.

— ბაბუ, მე რატომ მომიყევი ეს ყველაფერი?

— იმიტომ, რომ მე შენში ჩემს პოტენციალს ვხედავ. შენ უნდა განაგრძო ის, რისი გაკეთებაც ჩვენ ვერ შევძელით.

— რა გაქვს მხედველობაში, ბაბუ?

— ქვეყნის და კაცობრიობის მომავალი. შენი ოჯახი მილიონერია და აქ, მექსიკაში შენ შესძლებ...

— ბაბუ, რა მოგდის? ბაბუ, შემომხედე...

— გამიარა.

— ბაბუ, მე შენი ყოველი სიტყვა ჩავიწერე მაგნიტოფონზე, კასეტაზე. მე ამ ყველაფერს ვამცნობ მსოფლიოს...

— რა თქვი? იდიოტო, შენ გინდა დადუპო ყველაფერი?

— არა, ბაბუ. ეს ბოროტება უნდა მოისპოს.

— ის, რაც ჩვენ შევქმენით, მსოფლიოს მოედო. ჩვენ მასების დიდ ნაწილს ვაკონტროლებთ და შენ გინდა, რომ ამ უბადრუკი ჩანაწერით გვეომო? ხა-ხა-ხა...

— მე ამას შევძლებ!

ალენ დე ნეველმა წითელ ღილაკს მიაჭირა ხელი. „სანიტარი" გამოიძახა.

პალატაში ვიღაც უცნობი კაცი შემოვიდა, მაყუჩიანმა პისტოლეტმა სამჯერ დააჩხაკუნა ჩახმახი. ალენ დე ნევილის შვილიშვილის უსულო გვამი ბაბუის საწოლის ქვეშ გაერთხო, სისხლი მოსჩქეფდა ყმაწვილის ტუჩებიდან. „სანიტარში" თვითლიკვიდაციის კოდი ჩაირთო.

პალატაში ექიმები, სანიტრები და პოლიცია შემოცვივდნენ.

— მიშველეთ, მან ჩემი ბავშვი მოკლა — კიოდა დე ნევილი.

— დაწყნარდით, სენიორ დე ნევილ — აწყნარებდა ექიმი — სანიტრებო, სასწრაფოდ გადაიყვანეთ ავადმყოფი ინტენსიური კარდეოლოგიის განყოფილებაში, დროზე...

საღამოს დე ნევილი და კარდეოლოგი მარტონი დარჩნენ პალატაში.

— იოჰიმ, შენმა შვილიშვილმა ტესტი ვერ ჩააბარა.

— გეთანხმები.

— შენც გიმტყუნა ინტუიციამ, მოკითხვა გადაეცი კატრინს.

ექიმმა აპარატი გამორთო.

მეორე დღეს პრესა იუწყებოდა საშინელი მკვლელობის შესახებ.

ცნობილი სავაჭრო კომპანია ნეკროლოგს აქვეყნებდა:

„ღრმა გულისტკივილით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა
კომპანიის პრეზიდენტი და მფლობელი
ბატონი ალენ დე ნევილი".

# იყო და... იყო
## (ზღაპარი)

იყო ერთ დროს მრავალმკითხველიანი ბიბლიოთეკა. სოფელში ყველაზე დაფასებული და გავლენიანი ხალხი იკრიბებოდა მის დარბაზში. არა, წიგნების წასაკითხად კი არა, არამედ, საზოგადოებაში თავის გამოჩენის მიზნით და ახალგაზრდების მაგალითის საჩვენებლად: „აი, რატომ ვართ ჩვენ უფრო ჭკვიანნი, იმიტომ რომ წიგნი ჩვენი მეგობარიაო“.

მერე, მერე ის, რომ სოფელში სხვა ქარმა დაბერა. „ჭკვიანები“ მოგონებად იქცნენ და „ყოჩაღები“ გადიდკაცდნენ. ამბობდნენ, – „ჭკუა წიგნის კითხვაში კი არა, ფულის შოვნაშიაო“. ყველამ დაივიწყა ბიბლიოთეკა, კარები გამოკეტეს და ჰეე... შემთხვევით ჩემს მეზობელს აღმოაჩნდა იმ ბოქლომის ერთ-ერთი გასაღები, რომლითაც ბიბლიოთეკის კარები საიმედოდ ჩაერაზათ. სიყმაწვილის მოგონებები წამომეშალნენ იმ დღეს, „ბიბლიოთეკაში შევისეირნებ, ვნახავ რა ხდება შიგნით“-მეთქი.

საშინელი სუნი იდგა დარბაზში. ობობის ქსელით დაფარული წიგნები საცოდავად შემომეგებნენ: „ეგებ ხელში მაინც აგვიღო და გადაგვშალო, თუ გინდა ნუ წაგვიკითხავ, მხოლოდ ჩვენს ჩაყვითლებულ და გაცრეცილ ყდებს მაინც შეეხე და ადამიანის სითბო მაინც გვაგრძნობინეო“.

დავდიოდი მაგიდებს შორის, ბავშვობა მახსენდებოდა, ბიბლიოთეკარი დეიდა ირინე გამახსენდა, „ვაჰ დრონი, დრონი“... ძველ მაგიდასთან ჩამოვჯექი, ოდესღაც განათების ფლაგმანი სანთლები შევნიშნე, სარკმლის ქვეშ ტაბურეტზე იდო, შანდალიც ახლოსვე დაედოთ. ხუთივე სანთელი ავანთე, ფიქრებს მივეცი თავი და...

– ვინ ხარ შენ, თუ იცი? – უსაშველო იმერული მომესმა ზურგს უკან – არ გესმის ბიჭო, შენეე? აქანა, ბიძია, პატივცემული ხალხი იკრიბება და შენ რამ მოგაბოდიალა აქანა – თქვა?

– მეე, ბატონო? – დავიბენი ცოტა, ალბათ, მოულოდნელობისაგან. – მე, ბატონო ჩემო, სტუმარი ვარ აქოურობას, უკაცრავად პასუხია და თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე ჭინჭრაქა ვარ, გაგიგია ჩემი სახელი?

— რა ბრძანეთ? ვინ ვარო?

— უყურე ამ აბდალას, — ჩაუგურულა ჭინჭრაქამ — რავა, ბაღნობიზა ზღაპარს არავინ გიყვებოდა, შვილო?

„შევეცოდე, ალბათ“.

— კი, მარა, აქანა თუ გნახავდი, არ მეგონა.

— შენ, ქვე შენი ჭირიმე, ნამეტანი კაი ბოშიუნა ჩანხარ — ახლა ჩამირაჭულა ჩემმა მოპასუხემ.

— უკაცრავად, თქვენ საიდან ბრძანდებით, რომელი სოფლიდან?

— ჯო, მე ყველა სოფლიდან ვარ, გაიგე? ჩემ სოფელ-ქვეყანასა საქართველო ჰქვია, მიხთი? — „ახლა კახური აჭარულით მიპასუხა ჭინჭრაქამ.

— გადავირევი ნამდვილად.

— შენ გადარევა ახლა უნდა ნახო!

„აუ სვანურიც გაურია“

— კაი გამარჯობა თქვენი! — ვიღაც მოგვესალმა კიდევ.

— თქვენ ვინ ბრძანდებით, ბატონო?

— მე ნაცარქექია ვარ, პატივცემულო.

— მე მგონი, ზღაპარში ვარ.

— ბიჭო, ჭინჭრაქა, აი ბღარი კაი ყმაი ჩანს და წევიყვანოთ ჩვენებთან, ჩვენ ჩვენი ვუთხრათ, ამან თვისი და გავიართ ამ ღამეს როგორმე. ჰა, რას იტყვი, წამოხვალ ძამა?“

— კი.

— ხოდა, თუ კი, წევედით, აბა ჰე.

ჭინჭრაქამ და ნაცარქექიამ ისე უცბად გამაქანეს სადღაც, დაყვირება კი არა, პირის გაღებაც ვერ მოვასწარი, რომ...

დევი — ვა, ნაცარქექიას გაუმარჯოს!

ნაცარქექია — რავა ხარ, ბიჭო? რას შობი? რავა გაჭაღარავებულხარ, ჩემი არ იყოს.

დევი — ეჰ, ამ სიბერეში რაცხა კისერი მტკივა, გახსოვს, სადგისი რომ ჩამარჭე? ხოდა, მას მერე მტკივა.

ხუთკუნჭულა — კი, მარა, ექიმთან იყავი?

დევი — ვიყავი, ექიმ აიბოლიტს გავესინჯე და თურმანიძის მალამო დამინიშნა.

ჭინჭრაქა – დევო, შენი ძმა ცხრათავიანი დევი სად არის? რამდენი ხანია არ მინახავს, რავა აღარ გვკადრულობს?

დევი – მოვა საცაა, მეორე და მეექვსე თავში წნევა ჰქონდა და აბანცალებს პაწას.

სად იყო და სად არა, ცხრათავიანი დევიც მობაჯბაჯდა.

ცხრათავიანი დევი – ვაა, კამპანიას გაუმარჯოს. რავა ხართ, ბიჭებო, თქვენ შემოგევლოთ ჩემი თავი.

ჭინჭრაქა – რა იყო, ბიჭო, სმა ხომ არ დაიწყე, რა დროს შენი წნევაა?

ცხრათავიანი დევი – იმდენი უმი ხორცი მაჭამეს ამ ულმერთო მეზღაპრეებმა, რომ ეტყობა ქოლესტერინმა ამიწია.

ნაცარქექია – რამ აგიწია?

დევი – მაგას მაინც ვერ გეიგებ, ჩემო ნაცარქექია და ტყვილა ნუ დეიდლი ტვინს.

ხუთკუნჭულა – ე, ბიჭო, სტუმრები მოვლიენ მალე. სუფრა გავშალოთ, თვარა მოგვეჭრება თავი.

ჭინჭრაქა – ჯერა ხმიადით გავიდეთ იოლას, ღვინო კიდენა გვაქვს.

დევი – კაცო, ეს ვინ მოგიყვანიათ?

ნაცარქექია – ადამიანია. ვერ ხედავ?

ცხრათავიანი დევი – კი, მარა, შენ, ჩემო ძმაო, მკითხველი ხარ თუ მელანქოლისტი?

მე – ჩემო ბატონო, აგერ ბატონმა ჭინჭრაქამ და ნაცარქექიამ მომიპატიჟეს თქვენს საზოგადოებაში და მეც მოვედი (მორიდებით ავლაპარაკდი).

ხუთკუნჭულა – მობრძანდი, დაბრძანდი, რა ხდება ქვეყანაზე ახალი?

მე – რა ვიცი, ცხოვრება წინ მიდის, ქვეყანა ვითარდება...

დევი – კი, მარა, უწიგნოდ როგორ ვითარდება?

ხუთკუნჭულა – მაგენს წიგნი არ სჭირდება, ახლა კომპიუტერი აქვთ.

ცხრათავიანი დევი – მაი რაა ძამა?

ჭინჭრაქა – რა და ელექტრო გამომთვლელი მანქანა. შიგნით წერია ყოლიფერი ქვეყნიერებაზე.

დევი – და ამ კომპიუტერში რას ეძებენ ნეტავი თუ კითხვა არ იციან?

ნაცარქექია – ალბათ, ნაცნობ ასოებს.

მე – არა. თქვენ ცდებით, იქ...

დევი – არ ვცდებით, ჩემო ძმაო, ჩვენ კი ვართ ადამ კუკუს დროინდელები, მარა გამოთაყვანებულები კი არ ვართ.

მე – ეს მე არ მიკადრებია, ჩემო ბატონო.

ცხრათავიანი დევი – შენ არა, მარა, შენმა თანამოძმეებმა კი...

მე – რას გულისხმობთ, ბატონო?

ნაცარქექია – ბოქლომს, ჰო, იმ ჟანგიან ბოქლომს, კარზე რომ დაკიდეს ერთ დროს.

ჭინჭრაქა – ... და მის მერე არავის გავხსენებივართ.

ხუთკუნჭულა – აბა, სანამ სტუმრები მოვლენ, თითო ჭიქით წინ წავიწიოთ, რას იტყვით?

დევი – „დავაი“.

ნაცარქექია – ადამიანო, მიირთვი ღვინო, ეს ჩვენებური ხალხური, ნატურალური და თანაც ჯადოსნური, თქვენნაირი „პაროშკოვი“ ხომ არ გგონია?

ნაცარქექია – ხო, ასეა, ახლა იყენებენ პარაშოკს, სპირტს და წყალს და... ვსო“.

დევი – თამადად ვინ ავირჩიოთ?

ხუთკუნჭულა – ცხრათავიანი დევი, როგორც ყოველთვის, ცხრა კუჭი შენ გაქვს, ძმაო და შენ ვინ შეგედრება თუ იცი?

ცხრათავიანი დევი – კაცო, წნევა მქონდა-მეთქი, არ გესმის?

ხუთკუნჭულა – მერე რომელ თავშიც არ გქონდა წნევა, იმით დალიე, გესწავლება?

ცხრათავიანი დევი – აბა, შეავსეთ სასმისები.

მადლიანი „ზღაპრული” რაკრაკით ავსებდა ფიალებს, ძველი ტოლიბაშები ქართულ-ხალხურ პურობას იწყებდნენ.

ცხრათავიანი დევი – ამით იმ კაცს გაუმარჯოს, ვინაც ჩვენ მოგვიგონა, ვინც თაობებს გადასცა ჩვენი ამბები და ჩვენით ასწავლა მოყვასსა მტერ-მოყვარის გარჩევა.

ნაცარქექია – იმ მეზღაპრეს გაუმარჯოს, პატარა ბალღის სასთუმალთან ზღაპრის გუდას პირს რომ მოხსნი-და.

ჭინჭრაქა – ეს იმ ბალღს გაუმარჯოს, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვება რომ ახარებდა.

დევი – ეს იმ ერისკაცს გაუმარჯოს, ჩვენი ამბები რომ

ერთად შეკრიბა და თაობებს გადასცა.

ხუთკუნჭულა – ეს იმ კაცს გაუმარჯოს, პურ-ღვინის მადლი რომ შეაწია ქართულ სიტყვასა.

ცხრათავიანი დევი – შენ რაღას გვეტყვი, სტუმარო?

მე – თქვენ გაგიმარჯოთ, ბედნიერი ვარ თქვენი გაცნობით.

ნაცარქექია – ლიტონ სიტყვას დაგიწუნებ, სტუმარო, ვიცი, თავაზი არ გაკლია, მარა უგულოდა სიტყვას ნუ გვეტყვი, არ მოუხდება ქართულ სიბრძნეს.

მე – იცით, ცოტა დაბნეული ვარ და მომიტევეთ.

ჭინჭრაქა – დაბნეული ფეტვი იყოს.

დევი – კაცო, მართლა, კონკია სად არის?

ხუთკუნჭულა – გათხოვდა, დაგავიწყდა? ეხლა მაგასა ჩვენთვინ აღარ სცალია.

ნაცარქექია – კაცო, ყველამ არ იპოვა თავის გზაა, ამის დედა ვატირე.

ცხრათავიანი დევი – ჩვენც ვიპოვეთ ჩვენი გზა.

ხუთკუნჭულა – რომელი გზა? აბა, გზა?

ცხრათავიანი დევი – მოგონებებში.

ჭინჭრაქა – რომელ მოგონებებში? ჟანგიანი ბოქლომი რომ ადევს?

დევი – ადამიანო, როგორ გგონია, ჩვენ რომ ერთმანეთი გვძულდეს, აი, ამ ხალხზე გეუბნები, ერთ სუფრაზე ვიქნებით ღღესა?

მე – ალბათ, არა.

ნაცარქექია – ჰოდა, იცოდე, ჩვენა ყველა ერთად ვართ, მართალია, სხვადასხვა ზღაპარში, მაგრამ ერთ საქმეში.

მე – რომელ საქმეში?

ცხრათავიანი დევი – ადამიანო, ჩვენ ხალხიდან მოვედით, თითოეული ჩვენთაგანი ბრძენკაცმა მოიგონა. ჩვენი ზღაპრისეული სახე ბევრი თქვენთაგანის მსგავსია. ზოგი დევია, ზოგი ხუთკუნჭულა და ასე შემდეგ...

მე – კი, მაგრამ, ჩვენ რომ ადამიანის ხორცს არ ვჭამთ?

ნაცარქექია – ვინ გითხრა, რომ არ ჭამთ?

ჭინჭრაქა – აბა, კაცო.

დევი – თქვენა, ალბათ, გსმენიათ ეგეთი გამოთქმა „ალე-

გორია?“

მე – რასაკვირველია.

დევი – თითოეული ზღაპარი ადამიანთა ცხოვრების ალეგორიაა, გაიგე?

მე – მგონი, კი.

ხუთკუნჭულა – ვაი, თაო, მარტო რომ „მგონი-კი“.

ჭინჭრაქა – ხო, მართლა, ყავა გვაქვს?

დევი – რა ყავა, კაცო? რომელ ზღაპარში გინახავს ვინმე ყავას სვამდეს?

ნაცარქექია – ბიჭო, შენა დაგავიწყდა, რომ სტუმრებში მანდილოსნებიც ურევიან? რომ მაითხოვონ, მერე რა ვქნათ?

ცხრათავიანი დევი – ოხ, ამ კოლუმბს... ასეც და ისეც. რას მიეთრეოდა იმსიშორეს. მომინდომეს აქ „კოფეპიტიე”.

მე – რატომ? ფინჯან ყავასთან ერთად საუბარი უფრო ინტიმურია.

ჭინჭრაქა – ლოთიანად, ეს ინტიმური რა არის?

ცხრათავიანი დევი – ეგა, როგორ გითხრა. ეს არის, როცა ინტელიგენტურად უსექსავენ ერთმანეთსა ტვინს. მიხვდი?

ჭინჭრაქა – ოოო...

ნაცარქექია – ბიჭო, ეგრე გაგიჭირდათ, კაცო, ადამიანებსა, რო ტვინებზე გადახვედით?

მე – თქვენ ვერ გამიგეთ. ინტიმური ურთიერთობები ეს ძალდაუტანებელი, მშვიდი და გულითადი საუბარია.

ხუთკუნჭულა – ეხლა ვინმე გეკიდება კაცო?

დევი – მოკლეთა ეს ყავა თუ რაღაცა, გვაქვს?

ნაცარქექია – არა.

ჭინჭრაქა – იქნება. ჩემს გვერდზე მე-2 თაროზე ბალზაკს ეგებ ჰქონდეს?

ცხრათავიანი დევი – **Ох, эти дамы, обаятельные головные боли**.

ხუთკუნჭულა – მარა ეგეცა ხოა, „მოდი გავაკეთოთ რამე ჩქარა,

მოდი, აიწიე კაბა, მალე,

მოდი, დაგახურავ საბანს მალე“.

მე – ყოჩაღ, ხუთკუნჭულა. შენ თანამედროვე ქართულ ესტრადაშიც ერკვევი თურმე.

ცხრათავიანი დევი – ვაი, თქვენს პატრონს. ასეთ სიმღერებს თქვენ თუ ესტრადას უძახით, მაშინ ჩვენი ზღაპრები

სოფოკლეს ტრაგედიები ყოფილა.

ჭინჭრაქა – ვიშოვეეე...

ნაცარქექია – რა იშოვე?

ჭინჭრაქა – ყავა ვიშოვე. ონორესგან ვისესხე.

ხუთკუნჭულა – ბიჭო, წავა ეხლა თითების ტუკვაი შიგნით, გულის გახსნები, გზებისა და ტრასების ძებნა.

ცხრათავიანი დევი – ვაი, შე გოიმო შენა. კაცო, სამართალი არ არის? ეს ჭკვიანი უნდა იყოს და მე, ისა, რა ჰქვიან? ხო, „სილა ესტ, უმა ნე ნადო“. სამართალია, ესა კაცო?

ჭინჭრაქა – რა იყო, ცხრათავიანო? ეხლა შენა ტვინსა ნუ გვიინტიმურებ, გაიგე?

დევი – აი, ასეა რა, ტრადიციებში პროგრესის ინტერვენციის შედეგად მიღებული, ინტელექტური დეგრადაციის ნათელი მაგალითი.

ნაცარქექია – ისე, ბატონო ადამიანო, ერთი შეკითხვა მაქვს.

მე – ბრძანეთ.

ნაცარქექია – ე, ბიჭო, ამ ყავას რო სვამენ, ლაქა ხომ რჩება და მერე მკითხაობენ, ხო?

მე – კი.

ნაცარქექია – ხოდა, მაწონში რატომ არ მკითხაობენ, რავა, მაწვნის ლაქები აფერისტობენ, თუ რავაა მანდ საქმე?

მე – ალბათ, ტრადიციაა, რომ შეიძლება იმკითხაო მხოლოდ ყავაზე.

ცხრათავიანი დევი – ოხ, კოლუმბს...

ხუთკუნჭულა – კაი, ხო, ნუ გაგიჟდი და ნუ იქნევ მაგ ხელებს. რა გინდა, თქვი.

ცხრათავიანი დევი – რა და, ადრე რომ აღმოეჩინა ამერიკა, მეც ხო დავლევდი ყავას?

ჭინჭრაქა – ხოდა, გექნებოდა ახლა ცხრავე თავში წნევა.

ცხრათავიანი დევი – ეს ყველაფერი კარგი, მარა ყავას ვინ მოადუღებს?

მე – თუ ჯეზვე გაქვთ, მე ვითავებ ამ საქმეს.

დევი – კი, მარა ცეცხლი?

ხუთკუნჭულა – ბიჭო, ზმეი გარინიჩი აქ იყოს და ყავა ვერ მოვადუღოთ?

ნაცარქექია – დევო, შე კაცო, დროზე გაშალე სუფრა, თვარა ჩემი მადა ნამეტანი ინტიმნად ეპყრობა ჩემს კუჭსა.

ნაცარქექია – ჯოო, სტუმრები მოიდნენ, შევეგებოთ, ხალხნო.

ცხრათავიანი დევი – ვაა, ამათ ვის ვხედავ, როგორა ბრძანდებით, ზმეი გარინიჩ?

ზმეი გარინიჩი – თქვენ როგორ გიკითხოთ, დევო ბატონო, ხომ კარგად, ისე ჩემი არ იყოს, ხნე თქვენც შეგტყობიათ.

ცხრათავიანი დევი – **„Мои года моё богадство“**.

კაშეი ბესმერტნი – მშვიდობა თქვენდა.

ჭინჭრაქა – კაშეი ბატონს ვახლავართ, კაცო, რავა ბიჭა-ბატკანივით გამოიყურება, შეხედე ერთი, ჰა.

კაშეი-ბესმერტნი – აბა რავა, შე კაცო. ნება მიბოძეთ, ჩემი მეუღლე ვასილისა პრეკრასნაია წარმოგიდგინოთ.

ჭინჭრაქა – ქალბატონო ვასილისა, ბატონო კაშეი, მობრძანდით, გთხოვთ, დაგვეწვიეთ ჩვენს სუფრაზე.

ჭინჭრაქა – ბიჭო, ჩერნამორ, მართლა შენ ხარ, თუ თვალები მატყუებს.

ჩერნამორი – როგორ ხარ, კაცო? ბიჭო, ჩვენი ამბების ბოლო გამოცემისას რომ გნახე, მას მერე სულ არ შეცვლილხარ. **„Вот тебе крест, эй богу правда“**.

ცხრათავიანი დევი – ბატონო ჩერნამორ, თქვენი თანმხლები ქალბატონის ვინაობას ხომ ვერ გაამხელდით.

ჩერნამორი – ვერ იცანი? ეს ხომ...

ბაბა იაგა – ცხრათავიანო, ასე რავა დაბერდი, რომ ცხრავე თავში სკლეროზი დაგემართა.

ცხრათავიანი დევი – ვაიმე, დედა, ბოშო, იაგა, შენ ხარ, ქალო?

იაგა – დიახაც, მე ვარ.

ნაცარქექია – ისე, ქალბატონო იაგა, საზღაპრეთში სილამაზის კონკურსი რო ჩატარდეს, სილამაზის დედოფლად „ასიანი” თქვენ დაგასახელებდნენ.

იაგა – **Я польщена**.

კაშეი ბესმერტნი – ერთი ჰკითხეთ, რა არის მისი მშვენიერების საიდუმლო.

ხუთკუნჭულა – ალბათ, ჯადოსნობა.

იაგა – არავითარი, **всё натурально**, უნგრეთში ვიყავი სხეულის კორექციისთვის პროფესორ გრაფ დრაკულასთან

და მის კლინიკაში ჯერ სისხლი გავიწმინდე და შემდეგ კბილებიც ჩავისვი, შესაბამისად სხეულის კორექციაც ჩავიტარე...

მე – მართლა რა ლამაზია ეს შეჩვენებული, ჰა, რას იტყვი დევო?

დევი – აბა, ბიჭო. ქალბატონო იაგა, მოხიბლული ვარ თქვენით.

იაგა – **Ну, конечно**.

დევი – შენ ხომ რუსეთის დედოფლობა დაგშვენდებოდა,
დაგშვენდებოდა, ეხ რარიგად დაგშვენდებოდა,
შენ ერთ სიტყვაზე „დუმელები“ დაიშლებოდნენ
და დაიწყებდნენ ტაიგაში შრიალს პალმები.

ზმეი გარინიჩი – ვაიმე...

ნაცარქექია – შენთვის სადგისი კი არა, ოყნა უნდა გამეკეთებინა, ისიც ბროწეულის.

იაგა – **Ну, мужчины, какая нечесть**.

ზმეი გარინიჩი – კი მარა, რა გითხარი ასეთი, შე ქალო?

იაგა – **заткнись, ты, всероссийская автогенбашка**.

ზმეი გარინიჩი – მე ვარ ავტოგენბაშკა? შე მართლა კაშმარ ხანუმო, შენა.

ცხრათავიანი დევი – ბატონებო და ქალბატონებო, გთხოვთ, სუფრასთან დაბრძანდით, უკეთ მოეწყეთ. გთხოვთ, ქალბატონო ვასილისა.

ვასილისა – ბატონო ცხრათავიანო, მხოლოდ თქვენ იცით მშვენიერების ფასი და თაყვანისცემა.

დევი – რატომ მხოლოდ თაყვანისცემა? ჩვენ სხვა...

ჭინჭრაქა – თამადა ბატონო, სასმისები შევსებულია.

ჩერნამორი – ბატონებო, მე თქვენს რიგებში ახალ სახეს ვხედავ. იქნებ გაგვეცნო ერთმანეთი (და მთელი შინაგანი პოეტურობით მე შემომხედა)

ჭინჭრაქა – ეგი, ბატონო, ადამიანია.

იაგა – **А он ничего, что скажешь, Василиса**?

ვასილისა – **Ну что сказать, я ведь уже замужем**.

ზმეი გარინიჩი – ბატონო თამადა, **Я весь во внимании**.

ცხრათავიანი დევი – ამ ყანწით, ჩემო ძვირფასო სტუმარო,

მე მინდა დღევანდელი დღე დავლოცო. ჩვენ ურთიერთგაგებას გაუმარჯოს, ჩვენ მეგობრობას დავლოცავ იქ შორეულ ევროპაში და აზიაში. ალავერდი შენთან ვარ, გარინიჩ.

ზმეი გარინიჩი – ალავერდის მადლი შეგეწიოს, თამადა ბატონო. ჩვენ ხომ, ადამიანთა ფანტაზიის შედეგად გავჩნდით ამქვეყანაზე. ჩვენი დედა ხომ ხალხია და სული კი ბავშვთა ოცნება. ამის მადლი ნუ მოგიშალოს პეჩორის ლავრამ.

ჭინჭრაქა – გავმცვდარვართ, დავჟანგებულვართ,

ჩვენო ფარნო და შიმშერნო.

ო, როგორ დავბერებულვართ,

რა გიყოთ, როგორ გიშველოთ?

ხუთკუნჭულა – თქვენთან, რუსეთში როგორ გეპყრობიან? უფრო სწორად, ახსოვთ კიდევ ბავშვებს?

ჩერნამორი – აბა, რა გითხრა, ჩემო ხუთკუნჭულა. დღეს ყველას მიკი-მაუსი მოსწონს, ან ტომი და ჯერი. ჩვენც ვახსოვართ, ოღონდ ხანდახან.

ვასილისა პრეკრასნაია – იცით, ხანდახან მგონია, რომ ადამიანებმა თავიანთ მომავალ თაობებს ბავშვობა წაართვეს.

იაგა – არა, ბავშვობა კი არ წაართვეს, არამედ გააპრიმიტივეს. ჩვენ ცხოვრებას ვასწავლიდით. ჩვენ განცდა გვქონდა, ჩვენ სიყვარულით ვცხოვრობდით, მიუხედავად იმისა, ვინ რა როლს ვასრულებდით ზღაპარში.

ნაცარქექია – ვეთანხმები მოსაზრებას და მეტადრე ბავშვებზე. ყველა პირობა შეუქმნეს ადამიანებმა, რომ ბავშვმა მხოლოდ იცინოს. ის კი დაავიწყდათ, რომ ადამიანი კი არ უნდა ძერწო, უნდა გამოკვერო.

ჭინჭრაქა – ეგრეა, თორე შვილის სიყვარული ქათამმაც იცის. მთავარია კაცად გაზარდო, კაცად რომ გაიზარდოს, ეროვნულ ტრადიციას უნდა შეასისხლხორცო.

ზმეი გარინიჩი – თქვენებისგან გამიგია, ვინც წარსულს ივიწყებს, მომავალზე უფლებას კარგავსო.

ჩერნამორი – წავა ჩვენი სიყვარული,

წავა ჩვენი მწუხარება,

წავა ცრემლი, სიხარული

და იქნება მდუმარება.

იაგა – გაიგე, ადამიანო, ნუ გაზრდი ბავშვს კერპად, თორემ

გაიზრდება და თაყვანისცემას მოგთხოვს.

ჭინჭრაქა – ადამიანო, აღზარდე ბავშვი წესიერად, ესაა ქვეყნის ბედნიერი სიბერე, ცუდად თუ აღზრდი, ერის მომავალი მწუხარებაა და თქვენი ცრემლი.

ცხრათავიანი დევი – ფორმა უშინაარსოდ უენო ზარია მხოლოდ.

დევი – თუ სწორად აღზრდი, შვილები იმ ტაძრებს დაემსგავსებიან, პირველნი რომ ეგებებიან მზის სხივებს.

მე – მხოლოდ ზღაპრის გმირები მეგონეთ, თქვენ კი ბრძენთა მთელი კრებული ყოფილხართ.

ცხრათავიანი დევი – ცდები, ჩვენ ხალხური სიბრძნის ანარეკლნი ვართ.

ნაცარქექია – ადამიანი ვენახს ჰგავს. აკი თქმულა, – „ვაზო შვილივით ნაზარდოო“. თუ ვაზს დროულად გასხლავ, მოაშორებ უვარგის ტოტსა და დროულად შეწამლავ, მავნებელი რომ ვერ მიეკაროს, მაშინ რთველიც უხვია და ღვინოც რიგიანი დგება.

ხუთკუნჭულა – კარგი ღვინო კი სიცოცხლეა და ერის ტრადიციის ლაზათი.

იაგა – ადამიანო, ბიბლიოთეკა გამოკეტეთ, გულგრილობით და ამბიციებით კი სიცარიელეს ხატავთ, ეს კი უიმედო ხელოვნებაა, იცოდეთ.

დევი – ბრძენკაცმა თქვა: „შექმნა – ნიშნავს გწამდეს“.

ცხრათავიანი დევი – იქნებ შევცვალოთ თემა?

იაგა – გეთანხმები, ჩემო ფუმფულა. გაკოცებდი, მარა არ ვიცი, რომელ ლოყაზე გეამბორო.

ცხრათავიანი დევი – ქალბატონო იაგა, უხერხულია, გვიყურებენ.

იაგა – რას მეჩურჩულები ნეტავ? „**Любовь первая кажется что последняя, а любовь последняя кажется что первая.**“

ცხრათავიანი დევი – მე რომელი ვარ, **первый** თუ **последний**?

იაგა – მათ შორის, ჩემო ღაბუა.

ჩერნამორი – თამადა ბატონო, ნუ უსმენთ მაგ გადარეულს, იცით, რა უქნა გრაფ დრაკულას? კაცი სისხლს რომ ხედავს, გული მისდის.

ჭინჭრაქა – **Не может быть**.

ვასილისა – რატომ, ბატონო? ჩვენს ზღაპარში ჩემი და

კაშეის ურთიერთობა გახსოვთ?

კაშეი – ოხ, რეჟისორის დედა ვატირე, არ გამომიყვანა ვიღაც არამზადად!

ვასილისა – კაი, ნუ ნერვიულობ, ხომ იცი შენი ნერვიულობა არ შეიძლება.

ჭინჭრაქა – ზმეი გარინიჩ, შენ შემოგევლე. შენი დახმარება გვჭირდება. (გვერდზე გაჰყავს).

გარინიჩი – მოგიკვდეს ჩემი სამივე თავი.

ნაცარქექია – ე, ბიჭო, ყავა გვაქვს მოსადუღებელი და გაზი ქე დაგვრჩა.

გარინიჩი – კაი, შე კაცო.

ნაცარქექია – ამ ქვევრში მოვამზადოთ, მარა შაქარი გვაქვს ცოტა.

დევი – კი მარა, რითი უნდა მიართვათ სტუმრებს?

ხუთკუნჭულა – ფიალებით.

გარინიჩი – რა პრობლემაა?

დევი – შაქარი?

ხუთკუნჭულა – იაგას ჩავაყოფინოთ ენა.

გარინიჩი – და ისეთს გახდის, კავკასიონზე მიჯაჭვულ ამირანს სტრასბურგამდე ღრიალით არბენინებს.

ხუთკუნჭულა – აბა, რა ვქნათ?

დევი – ე, ბიჭო, მურაბა...

გარინიჩი – კაცო, ცოტა გაზის „დავლენიე“ დაეცა და ეტყობა ახალი „ხამუტიც“ უშვებს.

კაშეი (გაიგონებს) – რა იყო, გაზპრომში ვერ დაგიპაჩინკეს?

ჩერნამორი – გარინიჩ, ხომ გითხარი, ეტყობა წყლის და ცეცხლის გამანაწილებელი კორექტორები გაქვს გამოსაცვლელი.

გარინიჩი – მე ახლა ყავას მოვადუღებ და მერე დაგელაპარაკებით.

იაგა – ყავა? რა ბედნიერებაა.

ვასილისა – **Да, Да**.

დევი – დიახ, ეს ჩვენს ურთიერთობას მეტ ინტიმს შეჰმატებს.

იაგა – ინტიმი? **Ну какая прелесть**.

ცხრათავიანი დევი – რას იზამ, დრონი მეფობენ და არა მეფენი. ქართულმა სუფრამაც განიცადა ტრანსფორმაცია.

ჩერნამორი – კაია, ასე თუა. მიტო რომე ჩვენთან ყველაფერმა დეგრადაცია განიცადა და თქვენთან თუ მხოლოდ ტრანსფორმაცია, რას ერჩი, კაია მე და ჩემმა წვერმა.

უცბად –

ჭინჭრაქა – ე, ბიჭო, გარინიჩ, წყლის ვენტილი მოგვიძვრა.

გარინიჩი – ე, ბიჭო, კლაპანი გადაწიე.

დევი – რავა შადრევანივით ასხამს წყალს.

ნაცარქექია – გევიწუწეთ ყველანი.

დევი – სტუმარო, მე ამომეფარე, გაიგე, ადამიანო? თვარა თლად გალუმპულხარ და გაცივდები...

ვასილისა – **Мамааа, Моя прическа**...

ჩერნომორი – ნუ წუხხარ, ძვირფასოო. **Ух, Горынич. Ну ты, старая развалина**.

ცხრათავიანი დევი – რა მოხდა, თქვე კაი ხალხო. ნუ გეწყინებათ გარინიჩ, კაცო, პირდაპირ ყანწებით დავიწყეთ და ეტყობა, სიმთვრალე შეეპარა კაცს. ვეღარ გაერკვა ამ კორექტორ-კლაპანებში, რა მოხდა მერე?

ხუთკუნჭულა – ქალბატონო ვასილისა, ინებეთ, ნამდვილი ქართული, ზღაპრული ყავაა.

ჭინჭრაქა – თქვენი ნებართვით, ქალბატონო იაგა.

იაგა – შესანიშნავია, თანაც რა ორიგინალურია, ღვინის ფიალაში ყავა.

ვასილისა – ბრაზილიურია?

ნაცარქექია – არა, ფრანგული.

ჩერნამორი – აუ, დაიწყებენ ახლა მკითხაობას, ახლა რამხელაა ეს ფიალა, კაცო! სანამ ესენი იპოვიან გზას და ხიდს გადავლენ...

კაშეი – აბა, თქვენ იცით, ქალბატონებო. იქნებ მაგ ფიალაში მაინც იპოვოთ ის სცენარისტი, დრამატურგი და რეჟისორი, რომელიც ერთხელ კიდევ აღგვადგენს მკვდრეთით.

ცხრათავიანი დევი – ახლა ზღაპრები ვიღას სჭირდება.

დევი – დღეს მოდაშია ვესტერნი, განგსტერები, მაფია...

ხუთკუნჭულა – და სერიალები.

მე – ბატონებო, თანამედროვე კინემატოგრაფიაში საკმაოდ არის უხარისხო, დაბალგემოვნებიანი ფილმები, მაგრამ იქმნება შედევრებიც. ასე, რომ ნუ გაგვაკრიტიკებთ. ხოლო, რაც შეეხება ზღაპრებს, ჩვენ გვაქვს „ბეტმენი“, „ადამიანი-ობობა“, სხვა შესანიშნავი საბავშვო ფილმები. იქაც სიკეთისა და ბოროტების მუდმივი ჭიდილია, სადაც სიკეთე იმარჯვებს.

ჭინჭრაქა – ადამიანო, შეიძლება მართალიც ხარ. ალბათ, ძველი ფასეულობები გადაფასდა, ახლით შეიცვალა. ალბათ, ეს სწორია, შეიძლება ასეცაა საჭირო, მაგრამ ჩვენი დავიწყებაც არ იქნება გამართლებული.

დევი – თქვენთან, თქვენს ახალ სამყაროში ახალი გმირები გაჩნდნენ. ეს გასაგებია. თქვენ ხომ უფრო მაღალ საფეხურებს იპყრობთ. ალბათ, მალე იგივე მიკი-მაუსი, დონალდი და სხვა ზღაპრის გმირები ისევე მიეცემიან დავიწყებას, როგორც ჩვენ დღეს.

იაგა – არ გვინდა სენტიმენტები. ჩვენ ბაზისი ვიყავით შთაგონების. ეხლა უკვე „ისტორია“ ვართ.

ზმეი გარინიჩი – მზე ჩადის, მთვარე ამოდის. ბატონებო, ჩემი წასვლის დროა. ჩემს ზღაპარში უნდა დავბრუნდე. შეიძლება ვინმეს გავახსენდე და ჩემი ამბის მოყოლა განიზრახოს პატარებისთვის ძილის წინ.

კაშეი – მართალი ხარ. იქნებ ჩვენც გვერგოს ეგ ბედნიერება. თუმცა ეჭვი მეპარება.

ცხრათავიანი დევი – ბატონებო, ჯერ ძალიან ადრეა. რა დროს დაშლაა, კაცო. ქეიფი ახლა ხურდება, აბა შევავსოთ.

ვასილისა – ჩემო მეგობარო, იცით, რა არის თქვენში მართლაც შესანიშნავი? ის, რომ ჩვენს ზღაპრებში თითქმის ყველაფერი ჯადოსნობაზეა დამყარებული, ხოლო თქვენთან ტრადიციაზე, სუფრაზე, სტუმართმოყვარეობაზე და ოცნებაზე. მე თქვენ მიყვარხართ, ცხრათავიანო.

ჭინჭრაქა – ე ბიჭო, გზას მაინც დაგილოცავთ, ასე რავა გაგიშვებთ.

ჩერნამორი – აბა, ჩვენს ძმობას დავლოცავ. გმადლობთ, თამადა ბატონო, მასპინძლობისათვის. ნეტა, თქვენც ასე გესმოდეთ ადამიანებო, როგორც ჩვენ გვესმის ეთმანეთის.

ჭინჭრაქა – ნუ დაგვივიწყებთ, ხშირად გვესტუმრეთ.

კაშეი – ადამიანო, ჩვენ ხომ თქვენი ოცნების შედეგნი ვართ. თქვენ ხომ ჩვენით წარმოსახეთ ბოროტებაზე სიკეთით

გამარჯვება და რატომ გიჭირთ თქვენვე ადამიანებს რეალურ ცხოვრებაში სიკეთის ქმნა? იქნებ, სიკეთეც ზღაპრის წილხვედრი გახადეთ?

ნაცარქექია – იაგა, რა ლამაზი ხარ. ერთს გაკოცებ რაა...

იაგა – წმინდა პორფირეზე ხომ არ დაგაფიცო ერთაოზივით?

ხუთკუნჭულა – ისე, მაგაზე არც მე ვიტყოდი უარს.

ვასილისა – მომავალ შეხვედრამდე, კარგად.

ზმეი გარინიჩი – ბედნიერად მენახეთ. მშვიდობით, ადამიანო.

დევი – ცხრათავიანო, სუფრა განვაგრძოთ, სტუმრები წავიდნენ, მაგრამ ჩვენ გავაგრძელოთ ქეიფი.

ცხრათავიანი დევი – აგრე იყოს, ჭინჭრაქავ. აბა, ერთი მადლიანი შემოსძახე!

ჭინჭრაქა – სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ...

ნაცარქექია – და მისროლია ისარი.

ხუთკუნჭულა – სად მამა-პაპა მეგულვის...

დევი – იმათი კუბოს ფიცარი.

ცხრათავიანი დევი – ადამიანო, ჩვენი სამშობლო იქ არის.

მე – თითქოს შემცივდა. რა მემართება...

თვალები გავახილე. უკანასკნელი სანთელი ბჟუტავდა სასანთლეში უხეიროდ. მზის სხივები ობობას ქსლად ქცეულ სამკითხველო დარბაზს ვერცხლისფრად აელვარებდა. ბიბლიოთეკის კარები ჭრიალით გაიღო, ბაბუაჩემი ზესა გამოჩნდა ზღურბლზე.

ზესა – სიჭაბუკე მოგენატრა, შვილო?

მე – არ ვიცი. ეტობა, დავიღალე და ჩამეძინა.

ზესა – იცოდე, ესეც ტაძარია, შვილო, თითოეული წიგნი მარადიული ლამპარია ცოდნის. გაუფრთხილდი.

მე – საოცარი სიზმარი ვნახე.

ზეზე ავდექი. ერთი ხეირიანად გავიზმორე. თაროებს თვალი შევავლე, წიგნების სიმძიმით თუ ასაკოვნებით რომ ჩაზნექილიყვნენ. ობობებს უზრუნიათ ადამიანთა მაგიერ და თხელი ფარდა დაუკიდიათ თაროებზე აბლაბუდისა, თითქოს

იცავენ ადამიანის ძეთა სიბრძნეს მათივე ხელყოფისაგანო. თაროსკენ დავიძარი, აბლაბუდების მოშორება და წიგნის ხელში აღება მომინდა უცებ.

ზესა – ხელი არ ახლო თაროებს.

მე – რატომ, ბაბუა?

ზესა – ღირსი არა ხარ, „ყოვლისმცოდნე", სულცარიელო. მაგის უფლება მხოლოდ ბალღსა აქვს. თქვენ კი ეს ბოქლომი სამსხვერპლოზე მიიტანეთ, როგორც თქვენი სამარადჟამო სირცხვილი მოყვასის წინაშე. კარი კი ღია დატოვე, კლიტედაუდებელი.

მე – ბოდიში, ბაბუა, მობილურზე მირეკავენ.

ზესა – ვაი, საცოდავო საქართველო!

# სარჩევი


დღე ყოველი... დებიუტი (პიესა).....3
იოთამი (ზღაპარი).....46
ხელოვნური ერი (მოთხრობა).....60
იყო და... იყო (ზღაპარი).....111

დაიბეჭდა „ეროვნული მწერლობის“

სტამბაში. მხატვრის ქ. 4

ტელ: 31-70- 47

32-73- 62

E-maile
litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com